

ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი
Institute of Georgian and International Law

ადამიანის უფლებათა სამართლის
თანამედროვე გამოწვევები
(ეპლვება ადამიანის უფლებათა
საყოველთაო დაკლაციის 70
წლის იუბილეს)
(საკონფერენციო ნაშრომები)

**MODERN CHALLENGES OF HUMAN
RIGHTS LAW (DEDICATED TO THE
70TH ANNIVERSARY OF UDHR
ADOPTION)
(Conference Papers)**



გამომცემულობა „ანივერსალი“
თბილისი 2019

„ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი“ წარმოადგენს სამართლის სფეროში მოქმედ ორგანიზაციას, რომელიც თავისი საქმიანობის განხორციელებისას ეყრდნობა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. ორგანიზაციის მიზანია სამართლის მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებრივ ცნობიერებასა და მართლშეგნებაზე ზრუნვა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 70 წელი გავიდა. „ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის“ ფარგლებში ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 70 წლის იუბილის პატივსაცემად 2018 წლის 22 დეკემბერს გაიმართა კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც მოხსენებით წარსდგნენ, როგორც ქართველი, ისე უცხოელი პროფესორები. გარდა ამისა კონფერენციაში მონაბილეობა მიიღეს საქართველოს აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებმა. აღნიშნული პუბლიკაცია კი წარმოადგენს სწორედ სტუდენტური მოხსენებების კრებულს.

„ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი“ უერთდება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის სულისკვეთებას და მიზნად ისახავს, ადამიანის უფლებათა პოპულარიზაციისთვის აქტიური და ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

პროექტის მხარდაჭერისთვის გვსურს მადლობა გდავუხადოთ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), ფრიდრიხ ნაუმანის ფონდს თავისუფლებისთვის (Friedrich-Naumann-Stiftung für die Freiheit, FNF) და იურისტების სამყაროს (World of Lawyers).

© ა.ა.ი.პ. „ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი“

ინსტიტუტის წინასწარი წეპართვის გარეშე დაუშვებელია პუბლიკაციის რეპროდუცირება ნებისმიერი სამუალებით, იქნება ეს ტექნიკური, ელექტრონული თუ სხვა საშუალებით. აკრძალულია უურნალში წარმოდგენილი მასალის გამოყენება წყაროს სათანადოდ მითითების გარეშე.

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2019

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-503-7

სარედაქციო კოლეგია:

- მალხაზ ბეგიაშვილი** - სამართლის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი.
- კახაბერ გოშაძე** - სამართლის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
- გიორგი დგებუაძე** - სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ტექნიკური რედაქტორება:

ილია ბაძაღა

ლაშა ლურსმანაშვილი

გიორგი გამტკიცულაშვილი

ნატალი გლოველი



EDITORIAL BOARD:

- Malkhaz Begiashvili** – Ph.D., Professor of Law at University of Georgia.
- Kakhaber Goshadze** – Ph.D., Associate Professor of Law at European University.
- Giorgi Dgebuadze** – Ph.D., Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

TECHNICAL EDITING:

Ilia Badzaghu

Lasha Lursmanashvili

Giorgi Gamktsulashvili

Natali Gloveli

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი	7
კირალი ცხოვრების ხელშეუხებლების დაცვის სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში	
დავით ხურციძე	29
კატიმრობა, როგორც აღმცენის ღონისძიებება	
ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე.....	47
ამნისტია - პირის რესოციალურიზაცია თუ ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევა	
მამია ლურწეკაია	68
საპრნესტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები პრჩევნების მომნესრიგებელ ნორმებთან მიმართებით საძართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით	
მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე	92
კირალი ცხოვრების ხელშეუხებლები ციფრულ სამყაროში	
მარიამ გაბუნია	137
ფემიციდი - თანამედროვე სამყაროს გამოწვევა	

ნინასითყვაობა

ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და პატივისცემის იდეა ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ამოსავალი წერტილია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის უფლებათა სამართალი უშუალოდ მოქმედი სამართალია, ხოლო ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით.

2018 წელს აღინიშნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 70-ე წლისთავი. წინამდებარედოკუმენტის მნიშვნელობა განუზომელია თანამედროვე მსოფლიოსა და ევროპული საზოგადოებისთვის, რომლის განუყოფელ ნაწილსაც საქართველო წარმოადგენს.

„ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი“-ს ყურადღების მიღმა ეს მოვლენა არ დარჩენილა. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 70 წლის იუბილეს პატივსაცემად, ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ღონისძიება, რომელიც მოიცავდა საკონფერენციო ნაშრომების კონსოლიდირებას, მათ საჯარო მოხსენებასა და შემდგომ მათ გამოცემას კრებულის სახით, უდავოდ ხაზს უსვამს ინსტიტუტის მისწრაფებას იყოს ადამიანის უფლებათა დაცვის გლობალური კონცეფციის მონაწილე და შეიტანოს თავისი წვლილი ამ მიმართულებით.

მინდა ალვენიშვილი, რომ ინსტიტუტის მიერ წინამდებარე გამოცემაში მოცემული მოხსენებები აქტუალურია და მნიშვნელოვანი. იმედი მაქვს, ინსტიტუტი კვლავ გააგრძელებს ამ მიმართულებით აქტივობას და თავისი წვლილის შეტანას სამართლებრივი ღირებულებების განმტკიცების მხრივ.

კახაბერ გოშაძე

სამართლის დოქტორი,

ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

**სალომე ჩიტორელიძე
მარიამ ფირცხალაიშვილი**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტები

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალ სტანდარტს აწესებს. თუმცა, ეს ის სფეროა, რომელში ჩარევაც საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ ხშირია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მიმოვისილოთ თუ დაცვის რა სტანდარტს ამკვიდრებს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული უფლების დაცვასთან მიმართებით.

ნაშრომში განხილულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შინაარსი და მნიშვნელობა. კონსტიტუციის მე-15 მუხლით აღიარებულ ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში აწესრიგებს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი, რომლებიც განავრცობენ კონსტიტუციით გარანტირებული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შინაარსს და უფრო ნათლად წარმოაჩენენ მის მნიშვნელობას. მოგეხსენებათ, უზენაეს კანონთან სამართლებრივი ნორმების შესაბამისობის მთავარი კონტროლის ორგანო საკონსტიტუციო სასამართლო. შესაბამისად, ნაშრომში ასე-

ვე განხილული იქნება, როგორც დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზი, ასევე მისი მიმართება საერთაშორისო სტანდარტებთან. აღნიშნული ხელს შეუწყობს მთავარი პრობლემური საკითხების გამოკვეთას. უკვე არსებული პრაქტიკის ანალიზის პარალელურად, ნაშრომში განხილულია ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც, ავტორთა მოსაზრებით, შესაძლოა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს როლი აღნიშნულ უფლების დაცვასა და ბალანსის პოვნაში განუზომლად დიდია. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი თემა – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში – საკმაოდ აქტუალურია, რადგან ის კონსტიტუციურად გარანტირებული უფლების განხილვის კენა მიმართული.

ნაშრომი აგებულია შედარებით-სამართლებრივ და ანალიტიკურ მეთოდებზე. ამავდროულად, სასამართლო პრაქტიკისა და ქართულ კანონმდებლობაში არსებული ნორმების განხილვის საფუძველზე გამოყოფილია ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტები, რომელთა ანალიზიც მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტის განხილვისას.

1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შინაარსი და მნიშვნელობა.

პირადი ცხოვრების უფლება იმდენად ფართო და განსაკუთრებულია, შეუძლებელია მისი ზუსტი და ამომწურავი განმარტება. როგორიცაც ამ უფლებით დაცული სფეროების სრულად განსაზღვრა და ყველა ასპექტის მითითება, რასაც

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზიც ადასტურებს. ყოველივე ეს კი ხაზს უსვამს ამ უფლების მნიშვნელობასა და ღირებულებზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განსაზღვრის შესახებ არსებობს გარკვეული მითითებები სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკიდან. იგი ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ეს უფლება სასიცოცხლო და აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისთვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის. მას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია და უამრავი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება,¹ რაც, ხშირ შემთხვევაში, გამოიხატება იმაში რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა ავტომატურად იწვევს სხვა ისეთი კონსტიტუციური უფლებების დარღვევას როგორიცაა: პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ღირსება, პატივი.

ეს არის პიროვნების უფლება მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება გარესამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლება არის თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი².

პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა

¹ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014 წელი.

² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009 წლის 10 ივნისი, განჩინება – „საქართვლოს მოქალაქეები დავით სართანია და ალექსანდრე მაარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნინააღმდეგ“, №1/2/458.

და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე კი, ერთის მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განვითაროს თავისი პირადი ცხოვრება, ხოლო, მეორეს მხრივ, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან, შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რადგან საშუალებას აძლევს მას, კერძო სფეროში საზოგადოების ჩარევისა და ყურადღებისგან თავისუფალ პირობებში მოახდინოს ინფორმაციის, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაცვლა-გაზიარება.³

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ მიუთითებია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობასა და ღირებულებაზე, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო – ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისა და აღდგენის გარანტი?!

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის, სახელმწიფო ხელისუფლე-

³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2007 წლის 26 დეკემბერი, გადაწყვეტილება – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, № 1/3/407.

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

ბის დანაწილებისა და მისი კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების, კონსტიტუციით აღიარებულ და გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ამ შემთხვევაში ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, დაცვისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიის მიერ განსახილველ საქმეებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის დადგენის საკითხს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით, რის გამოც უფლებადარღვეული პირისთვის საკონსტიტუციო სასამართლო ამ უფლების დაცვისა და აღდგენის გარანტთან ასოცირდება.

საკონსტიტუციო სასამართლოს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტად მიჩნევის ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ არა ერთადერთი, წინაპირობაა საკონსტიტუციო სასამართლოს ხელმისაწვდომობა საქართველოს მოქალაქეებისთვის, რაც ნამდვილად უზრუნველყოფილია. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელით ან წარდგინებით მიმართვის უფლება აქვთ როგორც საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთ მეხუთედს, სახალხო დამცველს, საერთო სასამართლოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, ისე საქართველოს მოქალაქეებს და საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ პირებს.

ერთია უფლების ქონა, მაგრამ მეორე მისი განხორციელების საშუალება. საკონსტიტუციო სასამართლო უფლების დაცვისა და აღდგენის გარანტად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ დაინტერესებულ პირს არა ფორმალურად, არამედ რეალურად შეეძლება დააყენოს არგუმენტირებული, და-

**ადამიანის უფლებათა სამართლის თანამედროვე გამოწვევები
საკონფერენციო ნაშრომები**

საბუთებული მოთხოვნა ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შესახებ და ამავე დროს ექნება იმედი და ლეგიტიმური მოლოდინი იმის, რომ სასამართლო მიუკერძოებლად, ყოველგვარი გარე ფაქტორებისგან დამოუკიდებლად, კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად განახორციელებს თავის მოვალეობას და მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას.

კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს, რომ პირად ცხოვრებაში არათანაბარზომიერი და მიზანშეუწონელი ჩარევისას ინდივიდი უზრუნველყოფილი იყოს მიუკერძოებელი სასამართლო კონტროლის შესაძლებლობით. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს როგორც უფლებადარღვეული, ისე მესამე პირების ინტერესების დაცვა.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობასთან მიმართებით ძალიან მნიშვნელოვანია. არა მხოლოდ ამ საკითხებშე, ზოგადად, ნებისმიერი სასამართლო პრაქტიკის შესწავლა დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა სამართლებრივი აქტის ნორმათა განმარტების პროცესში. სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს სწორად ხდება თუ არა ამა თუ იმ მუხლის განმარტება და გამოყენება. ნათლად ასახავს რამდენად არის კონკრეტული საკითხის საკანონმდებლო რეგულირება მართლმსაჯულების ცოცხალი მექანიზმი – ემსახურება სამართლიანობის დაცვასა და აღდგენას. ყველაზე კარგად პრაქტიკაში ჩანს კანონმდებლობის ხარვეზები, პრობლემები და ის ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია, რათა სამართლებრივი მოწესრიგება გახდეს დარღვეული უფლების აღდგენის გარანტი.

**საკონმეტიტუციო მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით, არც თუ ისე მწირია. არ-სებობს გადაწყვეტილებები პირადი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რომელიც ქმნის ზოგად შეხედულებას საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომებზე, დამოკიდებულებებზე საკითხისადმი, საკანონმდებლო ხარვეზებსა და დაცვის იმ სტანდარტზე, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო გვთავაზობს ამ ფუნდამენტური უფლების დარღვევის შემთხვევაში.

როგორც აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების კვლევამ აჩვენა, სხვა ნორმებთან ერთად, ხშირად დგება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონების იმ ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი, რომლებიც ადამიანის პირადი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს უკავშირდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ნორმატიული აქტები მართლაც შეიცავს დათქმებს, რომლებიც შესაძლოა არღვევენ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას ან იმდენად ორაზროვანი და ბუნდოვანია, არასწორად ხდება მათი აღქმა და იქმნება, არც თუ ისე უსაფუძვლო, განცდა ამ უფლების დარღვევისა. ორივე გარემოება, რა თქმა უნდა, ხარვეზია და შესაბამის რეაგირებას საჭიროებს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან.

ერთ-ერთ საქმეზე⁴ დავის საგანს წარმოადგენდა „ოპე-

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2011წლის 22 დეკემბრი, გადაწყვეტილება – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მაია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №1/4/515.

რატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგი სიტყვების: „და უწყებრივი ნორმატიული აქტებით“ შესაბამისობის საკითხი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებასთან. მოსარჩელეთა მტკიცებით, კანონმდებელმა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ჩატარებისა და შეწყვეტის ვადებთან დაკავშირებული რეგულირებები მიაკუთვნა შინაგან საქმეთა სამინისტროს ისეთ საქმიანობას, რომელიც რეგულირდება უწყებრივი აქტით და არის სახელმწიფო საიდუმლოება. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მოიცავს იმგვარ მოქმედებებს, რაც უკავშირდება პირის საკომუნიკაციო საშუალებების შემოწმებას, მის ფარულ მიყურადებას, კორესპონდენციის შემოწმებას და, შესაბამისად, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ვადის გასაიდუმლოება არღვევს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლო სამართალწარმოების პროცესში ადგენს ერთგვარ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელობს საქმის განხილვისას, მათ შორის თუ საქმე ეხება ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვასა და ხელშეუხებლობასაც. ერთ-ერთი ასეთია სადავო ნორმასა და კონსტიტუციურ დებულებას (ამ შემთხვევაში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) შორის აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება⁵.

ამ საქმესთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ასეთი შინაარსობრივი ურთიერთმიმართება არ იკვეთება, სადავო ნორმის აღქმა მოხდა არასწორებივი მიმართება⁵.

⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009 წლის 10 ნოემბერი, განჩინება, №1/3/469.

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

რად, რადგან აღნიშნული ნორმა უწყებრივი აქტების, რომელიც ადგენს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისა და შეწყვეტის ვადებს, ხელმისაწვდომობის საკითხს არ წყვეტს. ამ აქტების საჯარო ან საიდუმლო ბუნება თავად უწყებრივი აქტის შინაარსზე და ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონმდებლობაზეა დამოკიდებული.

მოყვანილი გადაწყვეტილება ნათელი მაგალითია იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შესაძლოა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ვერ აღადგინოს ან მისი მოსალოდნელი დარღვევა ვერ აიცილოს თავიდან მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, სწორედ ისე, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა. საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია სასარჩელო მოთხოვნით. მან დავა უნდა გადაწყვიტოს და შეაფასოს მხოლოდ დავის საგნის ფარგლებში. ის ხელმძღვანელობს მოსარჩელის მიერ მითითებული სადავო ნორმისა და კონსტიტუციის კონკრეტულ მუხლს შორის კავშირით, ამ კავშირის სიმყარე კი მოსარჩელის დასაბუთებაზე და მის მიერ სადავო ნორმის სწორად აღქმაზეა დამოკიდებული. შესაძლებელია, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი სხვა კონკრეტულ შემთხვევაში მართლაც გახდეს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის მიზეზი, რასაც, ბუნებრივია, ვერ დაეყრდნობა საკონსტიტუციო სასამართლო ამ ნორმის არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. გამომდინარე აქედან, ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სრულ დაცვას, არ უნდა მივიჩნიოთ საკონსტიტუციო სასამართლოს მანკიერ პრაქტიკად. უპირველეს ყოვლი-

სა, უნდა ვეძებოთ მიზეზები, რამაც ეს განაპირობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ დინამიური განვითარების განსაკუთრებული გზა განვლო, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კუთხითაც. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ასევე იმ გარემოებამ, რომ სასამართლო ხშირად იყენებს ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკას, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს ამ კუთხით, და ევროპულ საკანონმდებლო ბაზას. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, პირადი ცხოვრების განმარტებისას ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელიც ამბობს, რომ შეუძლებელია ამ უფლების ზუსტი და ამომწურავი დეფინიცია. ამავე გადაწყვეტილებაში იგი ასევე ეყრდნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებას საქმეზე „ვლოხი პოლონეთის წინააღმდეგ“ წორმის ბუნდოვანებასთან დაკავშირებით. იქვე საუბარია იმაზე, რომ კანონმდებლობა ადეკვატური მექანიზმებით უზდა ქმნიდეს ისეთ ვითარებას, რომ საჯარო ინტერესების მისაღწევად უფლებაში ჩარჩო ხდებოდეს მხოლოდ რეალური აუცილებლობის შემთხვევაში, საჯარო ინტერესების ფარგლების დასადგენად კი

⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2007 წლის 26 დეკემბერი, გადაწყვეტილება – „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე-ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, № 1/3/407.

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის თანახმად უფლებაში ჩარევა დასაშვებია, როდესაც ეს აუცილებელია: დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისთვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მრავალგზის ადასტურებს მის მნიშვნელობას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და ზოგადად კონსტიტუციური დებულებების სრულყოფილი განმარტების ჩამოყალიბებაში, შინაარსის განსაზღვრაში, სხვადასხვა ნორმებით დაცული სფეროების გამოკვეთაში და ადრესატის მიერ ნორმის სწორად აღქმაში.

**4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის ანალიზის
აღსრულების მონიტორინგი.**

საინტერესოა, რამდენად იცვლება კანონმდებლობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში. ამ მიმართულებით, ნაშრომში განხილულია 3 მაგალითი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მონიტორინგს თუ რა დროის შუალედში უზრუნველყოფს საკანონმდებლო ხელისუფლება საკონსტიტუციო გადაწყვეტილების შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას.

1. 2016 წლის 14 აპრილს არაკონსტიტუციურად იქნაცნობილი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქარ-

თველოს კანონის მე-8³ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადებისა და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის წინადადება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან მიმართებით. ცვლილება აისახა დაუყოვნებლივ. 2017 წლის 22 მარტს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა აღნიშნულ მუხლში ცვლილება.

2. 2012 წლის 29 თებერვალს არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან მიმართებით. ცვლილება აისახა დაუყოვნებლივ. 2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა შეიტანა აღნიშნულ მუხლში ცვლილება და კანონს დაემატა მსგავსი შინაარსის მუხლი, შემცირებული ვადითა და განსხვავებული ფორმულირებით.

3. 2007 წლის 26 დეკემბერს არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში სიტყვები „მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით და პროკურორის დადგენილებით“ შემდეგ არსებული ჩანაწერის „... , ან ...“ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან მიმართებით. ცვლილება აისახა დაუყოვნებლივ.

2014 წლის 1 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო წინადადების თანახმად, აღნიშნული კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი სრულად იქნა ამოღებული.

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

**5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის
სტანდარტი საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.**

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მნიშვნელობასა და მისი დაცვის მაღალი სტანდარტის შემუშავების აუცილებლობაზე მიუთითებს არაერთ საერთაშორისო კონვენციასა თუ აქტში აღნიშნული უფლების განმტკიცება. მაგალითად, ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-12 მუხლის მიხედვით, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მის საცხოვრებელსა და მიმოწერაში თვითნებურ ჩარევას, ისევე როგორც მისი პატივისა და რეპუტაციის ხელყოფას. ყველას აქვს უფლება დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან. აღნიშნულ საკითხს მსგავსი პრინციპების საფუძველზე არეგულირებს ასევე საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომლის მე-17 მუხლი ცალსახად უსვამს ხაზს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უპირატესობას. კერძოდ, აღნიშნული პაქტის მიხედვით, „არავინ უნდა დაექვემდებაროს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებურ ან უკანონო ჩარევას ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფას.“ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უფლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თაობაზე გარანტირებულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლითაც. კონკრეტულად, კონვენცია განსაზღვრავს უფლების დაცვის გზებს, თუმცა ამავდროულად აზუსტებს გარემოებებს, როდესაც შესაძლოა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა გადაწონოს სხვა უპირატესა პრინციპებმა. კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მი-

ხედვით, „დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

აღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარანტიები განმტკიცებულია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებითა თუ აქტებით. თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რამდენად დაცულია პერსონალური უფლებები საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. გათვალისწინებულია თუ არა დაცვის უმაღლესი გარანტიები, რაც, ერთი შეხედვით, რეგულირებულია დოკუმენტურად.

ამ მიმართულებით საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე: Barbulescu V. Romania. აღნიშნული საქმე ეხება შემთხვევას, რომლის ფარგლებშიც სასამართლოს უნდა ემსჯელა, ცალკეულ შემთხვევაში, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამსახურეობრივ მიმოწერაზე წვდომა წარმოადგენდა თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ 2007 წელს განმცხადებელი გათავისუფლდა კომპანიიდან, რადგან, დირექტორის მოსაზრებით, მან უხეშად დაარღვია შრომის შინაგანაწესი. კონკრეტულად, სამსახურეობრივი მეილი გამოიყენა ძმასთან და საცოლესთან საკონტაქტოდ,

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

რაც დაუშვებელი იყო. შრომის შინაგანაწესი პირდაპირ განსაზღვრავდა სამსახურეობრივი ელექტრონული ანგარიშის პირადი მიზნებისთვის გამოყენების დაუშვებლობას.

განმცხადებელმა უსამართლოდ მიიჩნია მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი და უარყო მეილით ახლობლებთან ურთიერთობის ფაქტი. ამ ქმედების საპასუხოდ დირექტორმა აჩვენა მეილის ამონაწერი, რითიც საპირისპირო მტკიცდებოდა.

რუმინეთის სასამართლოებმა უარყვეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევის ფაქტი დამსაქმებლის მიერ, რის შემდეგაც განმცხადებელმა განავრძო დავა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე მითითებით. მოცემული საქმის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მნიშვნელოვანია ბალანსის დადგენა დასაქმებულის პირადი ცხოვრების პატივისცემასა და დამსაქმებლის მიერ დადგენილი შრომითი ვალდებულებების დაცვას შორის. განსახილველ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმ მიზეზების გამო, რომ: 1) დასაქმებულს არ მიუღია ნინასწარი გაფრთხილება მიმოწერის შემოწმების შესახებ. 2) დამსაქმებლის მიერ არ იქნა მოძიებული/გამოყენებული გზები, რომელთა გამოყენებაც ნაკლებად დააზიანებდა და ხელყოფდა დასაქმებულის პირად სივრცესა და კორესპონდენციას.

ამ დავის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დაეყრდნო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას უკავშირდება ბალანსს ბიზნეს-ინტერესსა და დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის.

სწორედ არსებული დისპალანსისა და მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალების გამოყენების საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დამსაქმებლის მიერ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის ფაქტი, რაც „პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის“ დარღვევას გულისხმობს.

6. საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სტანდარტთან მიმართებით

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად, ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელი და დაცულია. ნორმის ახალი რედაქცია აღარ შეიცავს ტერმინს „პირადი ცხოვრება“. ძველ რედაქციაში ამ ტერმინის ხსენება ემსახურებოდა იმ ინტერესის ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა არის დაცული. თუ საზოგადოების ცხოვრების განვითარების ფეხდაფეხ შეიქმნებოდა ახალი ინსტიტუტი, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნებოდა, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნიდა და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემდა სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ იქნებოდა⁷. ნორმის ასეთი ცვლილება აჩენს საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ პირადი ცხოვრების ისეთი სფერო, რომელიც სპეციალური ნორმით პირდაპირ არ არის მოწესრიგებული, შესაძლოა, დაცვის გარეშე დარჩეს.

⁷ თ.ტულუში, გ. ბურჟანიძე, გ. მშვენიერაძე, გ. გოცირიძე, ვ. მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, გვ 191.

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

ახალ რედაქციაში ტერმინები: პირადი ჩანაწერი, მიმონერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებები გაერთიანებულია ერთ ცნებაში – ადამიანის პირადი კომუნიკაცია, რითაც პირადი კომუნიკაციის მოწესრიგება უფრო ზოგადი გახდა და დაცვის სფერო გაიზარდა.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად, ისევე როგორც ძველი, ნორმის ახალი ფორმულირებაც უმვებს ამ უფლების დარღვევას მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. პირად სფეროში ჩარევის დროს, უფლებაში ჩარევა შესაბამისი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას უნდა წარმოადგენდეს, ჩარევის მართლზომიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, უფლების შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს თუ არა სხვა კონსტიტუციური სიკეთის დაცვა, რადგან უფლების შეზღუდვის საჭიროება, ზოგადად, იმ შემთხვევაში დგება, როდესაც ამ უფლების რეალიზება შემხებლობაში მოდის სხვათა უფლებებთან ან დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებთან⁸. მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, ამ უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 12 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან 24 საათში, რაც ამ უფლების შეზღუდვის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის კიდევ უფრო მეტ გარანტიას ქმნის.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2013 წლის 11 აპრილი, პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/2/503,513.

პირადი ცხოვრების საიდუმლოება და ხელშეუხებლობა დარეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით. 2004 წლის 16 ივნისამდე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. 2004 წლის 24 ივნისს ცვლილება შევიდა სამოქალაქო კოდექსში და ახლებურად მოწესრიგდა მე-18 მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა, კერძოდ, აღარ არსებობს დათქმა „თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება“. მარტივია, დავინახოთ შეტანილი ცვლილების ღირებულება და მნიშვნელობა. ძველი რედაქცია პირს, რომლის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაირღვა, უზღუდავდა სასამართლოს მეშვეობით ამ უფლების დაცვის საშუალებას, თუ პირადი ცხოვრების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეეფერებოდა და გამავრცელებელი პირი ამას დაამტკიცებდა, რაც, არასწორია, რადგან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იცავს არა პირად ცხოვრებას, ჩანაწერს, კომუნიკაციას და ა.შ, არამედ ადამიანს, ამიტომაც მისი ნების გარეშე ადამიანის პირად ცხოვრებაში შეჭრა, მიუხედავად იმისა პირადი ცხოვრების შემცველი ფაქტების სწორად გადმოცემა ხდება თუ არასწორად, პირადი ცხოვრების დაცვის ხელყოფაა. პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა მხოლოდ მაშინ კი არ ხდება, როცა პირადი ცხოვრების საიდუმლოების ამსახველი ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება, არამედ მაშინაც, როცა ისინი სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ მათი გასაჯაროვებისგან დაცვა პირის ცხოვრებისეულ ინტერესში შედის, ვინაიდან პირადი

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

ცხოვრებისეული ეპიზოდების მისივე ნების საწინააღმდეგოდ გავრცელება ზიანს აყენებს მას.

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების საკანონმდებლო რეგულირების ანალიზისას, აუცილებელია, განვიხილოთ საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რადგან ამ კანონის ერთერთ მიზანს სწორედ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა წარმოადგენს.

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას თავად ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, მითითებული არ არის თუ რა ტიპის მონაცემის და რა საშუალებით დამუშავება შეუძლია პირს, რაც ადამიანის პირადი ცხოვრების სხვადასხვა სფეროების დაცულობას უქმნის საფრთხეს. ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს განსაკუთრებულ მონაცემთა დამუშავების წესი. განსაკუთრებული მონაცემების დამუშავების აღნიშნული საფუძვლები საფრთხეს უქმნის პირის პირადი ცხოვრების იმ ასპექტებს, რომელიც კანონმდებელმა სავსებით სწორად მიიჩნია განსაკუთრებულად. პირადი ცხოვრების ისეთი ასპექტები როგორიცაა რელიგიური მრნამსი, პოლიტიკური შეხედულება, რასობრივი კუთვნილება და ასე შემდეგ, მოითხოვენ განსაკუთრებულ დაცვას და მათი გამუღლავნების შესაძლებლობა ან საერთოდ არ უნდა იყოს ან მინიმალურ ფარგლებში⁹, თუმცა, აშკარაა, მათი დამუშავების შესაძლებლობა და საფუძველი საკმაოდ ფართოა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი არის პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად წინ გადადგმული ნაბიჯი, იმ ხარვეზე-

⁹ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, 2014, გვ 29.

ბის გამო, რომელიც მასშია, ვერ უზრუნველყოფს ამ კონსტიტუციური უფლების დაცვას.

კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის ერთ-ერთი მაგალითია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი“, რომელიც შესაძლოა ითქვას, რომ ვერ იცავს პაციენტის კონფიდენციალურობის უფლებას სათანადოდ. პაციენტის სამედიცინო ისტორია, ჯანმრთელობის მდგომარეობა წარმოადგენს მისი პირადი ცხოვრების ნაწილს, მას სრული უფლება აქვს, რომ ინფორმაცია ამის შესახებ არ გახდეს სხვებისთვის ცნობილი. აუცილებელია, ეს უფლება დაცული იყოს საკანონმდებლო დონეზე. აღნიშნული კანონის 42-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო საიდუმლო, თუმცა ნორმა აქვე უშვებს შემთხვევებს, როდესაც, შესაძლებელია, ინფორმაცია პაციენტის მდგომარეობის შესახებ სხვებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს, კერძოდ, თუ ამას მოითხოვს პაციენტის ნათესავი, კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანო და ა.შ. პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ინფორმაციის მოპოვების (თანაც თავად ამ პირის ყოველგვარი თანხმობის გარეშე) უფლების მქონე პირთა წრის ასე გაფართოება ეწინააღმდეგება ამ მუხლის მიზნებს.

როგორც ვხედავთ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის საკანონმდებლო რეგულირება არც თუ ისე მნირია, თუმცა ეს მოწესრიგება არ არის სრულყოფილი, აქვს ხარვეზები და არ ქმნის ამ უფლების დაცვის ისეთ გარანტიას, როგორიც საჭიროა. ხოლო შელახვის შემთხვევაში, არ იძლევა დარღვეული უფლების სრულად აღდგენის საშუალე-

**სალომე ჩიტორელიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტი
საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

ბას, რაც დასტურდება პრაქტიკაში ამ უფლების დარღვევის სიმრავლით.

7. რეკომენდაციები და დასკვნა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მაღალი სტანდარტი, დემოკრატიულ სამყაროში, საზოგადოების პროგრესისა და თითოეული ინდივიდის განვითარების წინაპირობაა. ამ უფლების რეალიზაცია მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის მიმართულია პიროვნების ინდივიდუალური ავტონომიისა და სხვებთან ურთიერთობის პროცესის ხელშეწყობისაკენ.

ნაშრომში განხილული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო ინდივიდის უპირატესი ინტერესების საფუძველზე განმარტავს აღნიშნულ ნორმას და საქმის გადაწყვეტის პროცესში ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს, დამკვიდრებულ პრაქტიკას. ასევე, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კონსტიტუციური პრინციპის დაცვის და საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაზე მიუთითებს არაერთი საერთაშორისო კონვენცია და სამართლებრივი აქტი. ეს ფაქტი მიანიშნებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით უფლების დაცვის სამართლებრივი გარანტიების შექმნა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების თითოეული წევ-

რის ინტერესია. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სტანდარტის საკონსტიტუციო პრაქტიკის განხილვის სრულყოფილად წარმოდგენისთვის, ნაშრომში ასევე გაანალიზებულია საერთაშორისო გამოცდილება და არსებული საკანონმდებლო ხარვეზები. ტექნოლოგიური განვითარების საუკუნეში, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს თუ რა შეიძლება მოექცეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ცნების დეფინიციის განსაზღვრის პრეროგატივა, ყოველ ჯერზე, სასამართლოს ენიჭება. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებული უფლების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი არამარტო საკანონმდებლო რეგულირება, არამედ სწორი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რადგან სასამართლო უფლების დაცვის მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს.

**დავით ხურციძე –
პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება**

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

დავით ხურციძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

შესავალი

აღკვეთის ღონისძიება არის იძულებითი ღონისძიება, რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ, იმ მიზნით, რომ მან თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიმაღება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩაიდინა დანაშაული.

პატიმრობა აღკვეთის ღონისძების სახეა, რომელიც გულისხმობს ბრალდებული პირის საზოგადოებისაგან იზოლაციას კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას. პატიმრობა მიიჩნევა, რომ ყველაზე მკაცრი აღკვეთს ღონისძებაა. ადამიანის უფლებებში ჩარევა ამ დროს განსაკუთრებით ინტენსიურია. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრობა გამოიყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება.

ნაშრომში მიმოხილულია პატიმრობის, როგორც აღკვე-

თის ღონისძიების შიდა რეგულირება, მისი გამოყენების თავისებურებები და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

აღკვეთის ღონისძიების რეგულირება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიების სახეს. მის გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-უზრუნველყოფელი ხასიათი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.¹

ხელისშემლელი მოქმედებისა თუ უმოქმედობის აღკვეთის ან/და თავიდან აცილების საშუალებაა.²

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფრთხეების პრევენციისათვის. მოწმისა და დაზარალებულის მიმართ კი გამოყენება საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებები.³

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას აქვს შემდეგი მიზნები: ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყო-

¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი №646, II-40.

² გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2003, 5.

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომიტარი (რედ. ნაჭყებია გ., თოლუა ნ.), თბილისი, 2015, 558.

დავით ხურციძე – პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

თა, ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, განაჩენის აღსრულების უზრუნველყოფა. რაც შეეხება საფუძვლებს, საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად და ამომწურავად ჩამოთვლის იმ საფუძვლებს, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, მათ შორის, დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ ბრალდებული მიიმალება, არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებს, ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას სახეზე უნდა იყოს სწორედ აღნიშნული საფუძვლებიდან რომელიმე. ამასთან, მათი არსებობის შესახებ უნდა არსებობდეს მინიმუმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რაც, თავის მხრივ, სათანადო, რელევანტური ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობას მოითხოვს.⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების სახის შერჩევისას მტკიცების ტვირთს მთლიანად ბრალდების მხარეს აკისრებს. საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთს ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, წაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.

აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს,

⁴ ხუციშვილი ე., ვერძეული ს., ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თბილისი, 2012, 46.

ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.⁵ მოსამართლე ვალდებულია, სრულყოფილად შეამონმოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური (საპროცესო) და ფაქტობრივი საფუძველი.

აღკვეთის ღონისძიების სახეები

საქართველოს სსსკ-ი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიებების ორ სახეს: ძირითადი აღკვეთის ღონისძიებები და დამატებითი ღონისძიებები. ძრითადი აღკვეთის ღონისძიებების სახეების ჩამონათვალი ამომწურავია. საქართველოს სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ესენია: გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა. რაც შეეხება დამატებით ღონისძიებებს ისინი შესაძლებელია პირობითად რამდენიმე ჯაგუფად დაიყოს: დაგაადგილების/მიმოსვლის თავისუფლების შემზღვეველი ღონისძიებები, მონიტორინგი, სპეციალური ნებართვის გარეშე გარკვეულ პირებთან შეხვედრის აკრძალვა.⁶

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას აუცილებელია სასამართლომ შეაფასოს საქმის ვითარება, საფრთხეები და ბრალდებულის პიროვნება, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქ-

⁵ საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე [01.03.2019].

⁶ იხ. საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე [14.12.2018].

დავით ხურციძე – პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

ნეს ცალკეული საქმეებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.


ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნეს საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალ-დებულო ხასიათის და არ უნდა იქნეს მიმართული დასჯის მიზნებისათვის. ამასთან, პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია სწორედ უდანაშაულობის პრეზუმაციის კონტექსტში. იმისთვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც, ეროვნული კანონმდებლობით, აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ თრგანოს, ისე სასამართლოს. ამ უკანასკნელთან მიმართებით კანონმდებლობა მიუთითებს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, პატიმრობა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა ღონისძიებით შეუძლებელია.⁷

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკურ მონაცემების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ აღკვეთის ღონისძებების გამოყენების შემთხვევებიდან საკმაოდ დიდი წილი პატიმრობაზე მოდის. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძებებიდან კი ყველაზე ხშირად გამოიყენება გირაო. 2018 წლის (10 თვე) სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავებული აღკვეთის ღონისძებების სტრუქტურა ასე გამოიყურება:⁸

⁷ Recommendation R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial, para.1.

⁸ აღკვეთის ღონისძიების სტრუქტურა, საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2018.

2018 წლის 10 ოქტომბერი



გირაო, მიუხედავად მისი არასაპატიმრო ხასიათისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საპატიმრო ღონისძიებებთან, ვინაიდან გირაოს შეფარდება შესაძლოა მოხდეს პატიმრობის უზრუნველყოფით.⁹ ამასთან, გირაოს გადაუხდელობამ შეიძლება გამოიწვიოს პირისთვის უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, კერძოდ პატიმრობის შეფარდება.

პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და არ ატარებს სადამსჯელო ხასიათს. პატიმრობის გამოყენება წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებას, რომლის მიზანია სისხლისსამართლებრივი დევნის და ზიანის შემ-

⁹ საქართველოს სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე [14.12.20018].

დავით ხურციძე – პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

დღომი მიყენების ან მართლმსაჯულების განხორციელები-სათვის ხელის შეშლის პრევენცია და არა პირის დასჯა.

პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაფიო აღკვეთის ღონისძიებას და გულისხმობს სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადით ბრალდებულის მკაფიო იზოლაციას გარე სამყაროსგან. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენებით იზღუდება ბრალდებულის სხვა უფლებებიც, რომელთა რეა-ლიზაცია ობიექტურად შეუძლებელია თავისუფლების შეზ-ღუდვის ადგილას, მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლება, დასაქმების უფლება და სხვა უფლებები, პირის კავშირი გა-რე სამყაროსთან და სხვ. ამასთან, ზოგიერთი შეზღუდვა, რომელიც ადამიანის პატივის და ღირსების უფლების შემღა-ხვი იქნებოდა, საპატიმრო ცხოვრების თანმდევი შედეგია.¹⁰

სასამართლო პროცესის დამთავრებას გისოსებს მიღმა ყოველდღიურად, დაახლოებით, 3,2 მილიონი ადამიანი ელოდება. ეს კი მსოფლიო ციხის საერთო კონტიგენტის თითქმის 30%-ია. ბრალის დამტკიცებამდე მათ მიმართ სამართლებრივად უდანაშაულობის პრეზუმუცია მოქმედებს, თუმცა შეიძლება, იმაზე უარეს პირობებში იმყოფებოდნენ, ვიდრე მსჯავრდებუ-ლი ადამიანები. წინასწარი პატიმრობა, მისი სიმძიმისა და ხში-რად შეუქცევადი უარყოფით შედეგების გამო, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, უნდა გამოიყენებოდეს არა რო-გორც წესი, არამედ – როგორც გამონაკლისი. როგორც „გაე-როს მინიმალური სტანდარტული წესები არასაპატიმრო ღო-ნისძიებების შესახებ“,¹¹ ასევე „გაეროს წესები ქალ პატიმრებ-თან მოპყრობისა და მსჯავრდებული ქალების მიმართ არასა-

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივ-ნისის №458 II-7, 8 განჩინება.

¹¹ იხ. ტოკიოს წესები, მიღებულია გაეროს გენერალური ანსამბლე-ის 1990 წლის 14 დეკემბრის №45/110 რეზოლუციით.

პატიმრო ღონისძიებების შესახებ¹²,¹³ მოუწოდებს სისხლის სა-
მართლის სისტემებს, პატიმრობის ჭარბი გამოყენების თავი-
დან აცილების მიზნით უზრუნველყონ არასაპატიმრო ღონის-
ძებების ფართო სპექტრის დანერგვა.¹⁴

საქართველოს სსსკ-ის 205-ე მუხლის მიხედვით, პატიმ-
რობა, როგორც ალკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხო-
ლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან
იქნეს აცილებული: ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ
მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა,
ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხე-
ლის შეშლა, ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.

ალკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევის სა-
ფუძველთა კონკრეტიზებულ ჩამონათვალს ევროპული აქ-
ტები არ იძლევა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავი-
სუფლებათა შესახებ ევროპულ კონვენციაში ამ საკითხს შე-
ეხება მე-5 მუხლი, რომელიც პირის მიმართ არსებულ სა-
ფუძვლიან ეჭვთან ერთად, სახელდებით მიუთითებს მხო-
ლოდ ორ საფუძველს: საფუძვლიანი ვარაუდი, რომ აუცილე-
ბელია თავიდან იქნეს აცილებული ამ პირის მიერ სამარ-
თალდარღვევის ჩადენა და ხელი შეუშალონ პირს, მიმაღლოს
სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ.

მიმაღლვის შემთხვევაში, დაპატიმრების გამოყენების მი-
ზანშეწონილობის თაობაზე საქართველოს სისხლის სამარ-
თლის საპროცესო კანონმდებლობა სრულ თანხვედრაშია
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას-

¹² იხ. ბანგკოკის წესები, მიღებულია გაეროს გენერალური ანსამ-
ბლების 2010 წლის დეკემბერის A/RES/65/229 რეზოლუციით.

¹³ წინასწარი პატიმრობა, დაკავების მონიტორინგის ინსტრუმენტი
(მეორე გამოცემა), ციხის საერთაშორისო რეფორმა (Penal Reform
International), თბილისი, 2015.

დავით ხურციძე – პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

თან, რასთან დაკავშირებითაც არაერთი გადაწყვეტილების მოხმობა შეიძლება. მაგალითად, ევროსასამართლომ მიმალ-ვის საფრთხე შეაფასა და პატიმრობის გამოყენებისთვის საკმარისად მიიჩნია ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების ადრინდელი ფაქტის არსებობის საფუძვლით. სასამართლომ მიუთითა, რომ ეს დასაბუთება საკმარისი და რელევანტური იყო და აღემატებოდა განმცხა-დებლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს.¹⁴

დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე გასათვა-ლისწინებელი ფაქტორებია მიმალვის საფრთხის შესაფასებ-ლად, მაგრამ მხოლოდ ამ გარემოებებზე აბსტრაქტულად მი-თითება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პატიმრობის გა-მოყენებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთხელ აღ-ნიშნა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თა-ვის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში და უნდა ითქვას, რომ საქართველოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოე-ბის პრაქტიკაც ძირითადად ამ მიმართულებით მიდის. საქმე-ში „მამედოვა რუსეთის წინააღმდეგ“¹⁵ ევროსასამართლომ მიუთითა: „განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობის კა-ნონიერებისა და გამართლების განხილვისას რაიონული და საოლქო სასამართლოები დაუინებით ეყრდნობოდნენ წარ-დგენილი ბრალდების სიმძიმეს – როგორც განმცხადებლის მიმალვის, სამართალწარმოებისთვის ხელის შეშლის ან და-ნაშაულის ხელახლა ჩადენის რისკის შეფასების უმთავრეს ფაქტორს. თუმცა, სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა, რომ, მართალია, სანქციის სიმძიმე შესაბამისი ელემენტია იმის შეფასებისას, არსებობს თუ არა მიმალვის ან დანაშაუ-ლის ხელახლა ჩადენის საფრთხე, მაგრამ თავისუფლების

¹⁴ Punzelt v. the Czech Republic, 31315/96, 2000 წლის 25 აპრილი.

¹⁵ Mamedova v. Russia, 7064/05, 2006 წლის 01 ივნისი.

აღკვეთის გაგრძელების საჭიროება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ წმინდა აბსტრაქტული მოსაზრებით და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. პატიმრობის გაგრძელება არ შეიძლება ასევე იმ მოტივით, რომ მოსალოდნელია საპატიმრო სასჯელის შეფარდება...“

ანალოგიურად, ერთ-ერთ საქმეში¹⁶ ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების საფრთხე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით და იგი უნდა შეფასდეს სხვა რელევანტურ ფაქტორებზე მითითებით, რაც დამაჯერებელს გახდის მიმალვის განზრახვის არსებობას და ა.შ.¹⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახალი დანაშაულის ჩადენის მიმანიშნებელ გარემოებებად მიიჩნევს სავარაუდო სამართალდარღვევის ხასიათსა და სიმძიმეს, ნასამართლობას და პიროვნულ მაჩვენებლებს.¹⁸

დანაშაულის ხელახლა ჩადენის მოტივით დაპატიმრების შესაძლებობის საკითხზე მსჯელობისას ევროსასამართლომ მიუთითა, რომ „დანაშაულის ხელახლა ჩადენასთან დაკავშირებით პირის წარსულ ცხოვრებაზე მითითება საკმარისი არ არის გათავისუფლებაზე უარის თქმის გასამართლებლად...“¹⁹ განსახილველ შემთხვევაში, ახალი დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის საფუძვლად ბრალდების მხარემ მიუთითა მხოლოდ ბრალდებულის ნასამართლობის ფაქტზე. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება როგორც ბრალდების მხარეს,

¹⁶ W. v. Switzerland, 14379/88, 1993 წლის 26 იანვარი.

¹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 18 დეკემბრის №1გ/1282 განჩინება.

¹⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 3 დეკემბრის №1გ/1226 განჩინება.

¹⁹ Muller v. France, 21802/93, 1997 წლის 17 მარტი.

დავით ხურციძე – პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომ ეს გარემოება მართლაც მიანიშნებს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე, თუმცა საკმარისი არ არის ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად. ამ მიზეზით პატიმრობის შესაფარდებლად საჭიროა ახალი დანაშაულის ჩადენის მომასწავებელი ისეთი უტყუარი გარემოებების წარმოდგენა, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების აღკვეთა მხოლოდ პატიმრობით იქნება შესაძლებელი. მაგალითად, ეს შეიძლება ეხებოდეს ძალადობრივ დანაშაულს, რაც ბრალდებულში ძალადობრივი ფსიქოლოგიის არსებობასა და მოსალოდნელ რეციდივებზე მიუთითებს, რამოდენიმე ერთგვაროვან დანაშაულს, რომელიც ბრალდებულის გარკვეულ მიდრეკილებაზე მეტყველებს, კონკრეტული დანაშაულებრივი გეგმების არსებობა, რაც შეიძლება მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდებოდეს ანდა მოვლენათა განვითარების ისეთი ჯაჭვი, რაც გარდაუვალად ინვეს სხვა დანაშაულის ჩადენას და ა.შ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პატიმრობის გამოყენების საჭიროება უნდა ეფუძნებოდეს დამაჯერებელ და თანმიმდევრულ საფუძვლებს, რომელთა შეფასებაც კონკრეტულ გარემოებებში მოხდება. ხოლო, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გონივრულობა უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოებების მიხედვით. განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა საქმის გარემოებები მიუთითებენ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობაზე და აღნიშნული, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმაციისა, გადაძლევს ინდივიდუალური თავისუფლების დაცულობის ნორმას.²⁰

²⁰ Aleksandr Makarov v. Russia, №.15217/07 12 მარტი, 2009 წელი.

პატიმრობის მოთხოვნის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, ნარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ნორმა ადგენს პროკურორის ვალდებულებას, დაასაბუთოს, თუ რატომ არის საჭირო კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სწორედ ბრალდებამ უნდა ამტკიცოს იმ გარემოებების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზეც და შემდგომშიც, პატიმრობის ვადის ამონურვამდე, ამართლებს პირის თავისუფლების აღკვეთას (*Ilijkov v. Bulgaria*). ამასთან, ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ, შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმუციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან (*Sargia and Yagci v. Turkey*).²¹

პატიმრობის გამოყენებისათვის კანონმდებლობა აუცილებელ სტანდარტად მიიჩნევს სათანადო მტკიცებულებებით გამყარებულ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის სპეციალური ნიშნების არსებობას, რომლებიც უდანაშაულობის პრეზუ-

²¹ თბილისის საპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის №1გ/1244-14 განჩინება.

**დავით ხურციძე –
პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება**

ფციის მიუხედავად, გადაწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებაში „**ალექსანდრე მაკაროვი რუსეთის წინააღმდეგ**“, მითითებულია, რომ სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით. განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობაზე კონკრეტული გარემოებები მიუთითებს და აღნიშნული საჯარო ინტერესი, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმაციისა, გადაძალავს ინდივიდუალური თავისუფლების დაცულობის ნორმას“.

ძველი კანონმდებლობა ითვალისწინებდა დანაშაულის სიმძიმეს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების გარემოებას, რაც მოქმედ კანონმდებლობაში აღარ გვხვდება.²² მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე, ქმედების ხასიათი ან მიმალვის ვარაუდი ცალკეულ შემთხვევებში არ არის გადამწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას, მაგრამ ერთობლიობაში და საქმის სხვა არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებაზე.²³

წინა თავში განვიხილე სტატისტიკა, სადაც ნაჩვენები იყო

²² გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებაზი სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2003, 121

²³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 ივლისის №1გ-714-14 განჩინება.

თუ რაოდენ ხშირად გამოიყენება პატიმრობა, როგორც აღ-
კვეთის ღონისძიების სახე. გარდა აღკვეთის ღონისძიებად პა-
ტიმრობის ხშირი გამოყენებისა, პრობლემაა ვადის ხანგრძლი-
ვობაც. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის
მე-6 პუნქტით წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა 9
თვეა, კანონმდებლობა უშვებდა, რომ სხვა ბრალის წარდგენი-
სა და აღკვეთად კვლავ პატიმრობის მისჯის შემთხვევაში, ის
კიდევ ერთი 9 თვე ყოფილიყო წინასწარ პატიმრობაში. კერ-
ძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-
სის 205-ე მუხლის მეორე ნაწილში წერია: ბრალდებულის პა-
ტიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვა-
დის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პა-
ტიმრობიდან. ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მი-
სი დაკავების მომენტიდან, ხოლო თუ დაკავება არ მომხდარა –
ამ აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს
განჩინების აღსრულების მომენტიდან საქმის არსებითად გან-
მხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩე-
ნის გამოტანამდე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამარ-
თლოს 2015 წლის გადაწყვეტილებით²⁴ ძალადაკარგულად იქნა
გამოცხადებული აღნიშნული ჩანაწერის ის ნორმატიული შინა-
არსი, რომელიც უშვებს კონკრეტული სისხლის სამართლის
საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას, თუ ამ საქმეზე ბრალის
წაყენების ან ბრალის წაყენებისთვის საკმარისი საფულევლის
გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარე-
ბული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის
სამართლის საქმის ფარგლებში.

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება.

კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დებულებების მიხედვით, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარდგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარეობს, რომ პირი პირადად უნდა წარდგეს მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს დაპატიმრების საკითხი. მოსამართლემ ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილმა სხვა მოხელემ სამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა განიხილოს გარემოებები, რომლებიც ამართლებენ პირის დაკავებას. მას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, გაათავისუფლოს პირი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ უნდა იყოს იმგვარად გაგებული, თითქოს სახელმწიფოს შეუძლია პირი პატიმრობაში ამყოფოს განუსაზღვრელი დროის განმავლობაში. საქმეზე – შტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ – ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დასაბუთებული ეჭვი“ აღარ არსებობს, პირის პატიმრობაში ყოფილის გაგრძელება არღვევს მე-5 მუხლს.

ევროპული კონვენცია მოითხოვს, რომ წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა „გონივრული“ იყოს. გონივრულია თუ არა წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა, დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე და ამ საქმის გარემოებების საფუძველზე უნდა შეფასდეს დაკავების ხანგრძლივობის გონივრულობა. საკმარისი არ არის, რომ სახელმწიფომ არ გადაჭარბოს წინასწარი დაკავებისათვის კანონმდებლობით

დადგენილ მაქსიმალურ ვადას. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ, თუ ერთ შემთხვევაში წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა, რომელმაც წელიწადზე მეტს (თითქმის 15 თვეს) გასტანა, მიჩნეულ იქნა არაგონივრულად, სხვა საქმეში ორი წელზე მეტი დრო მან მისაღებად მიიჩნია. საქმეზე – ტოსი ავსტრიის წინააღმდეგ – წინასწარი პატიმრობა ორი წლისა და ერთი თვის განმავლობაში ევროპულმა სასამართლომ არაგონივრულად ჩათვალა. წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა, რომელიც გასტანს 3 ან 4 წელს, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მისაღებად, ზოგიერთში კი მიუღებლად იქნეს მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს შეუძლია კანონმდებლობით დაადგინოს წინასწარი დაკავების მაქსიმალური ვადა, პირის წინასწარი დაკავება ასეთი მაქსიმალური ვადით, კონკრეტული გარემოებებისათვის აუცილებელი დაკავების ხანგრძლივობის გაუთვალისწინებლად, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლს. წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა განისაზღვრება კონკრეტული საქმის გარემოებებით. საქმის სირთულემ, მათ შორის დანაშაულის ხასიათმა და ეჭვმიტანილთა რაოდენობამ, შეიძლება გაამართლოს წინასწარი დაკავებისათვის ხანგრძლივი დრო. დროის იმავე ხანგრძლივობით პირის დაკავება შედარებით მარტივ საქმეზე არ ჩაითვლება გონივრულად და, შესაბამისად, მიიჩნევა კონვენციის დარღვევად. სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს წინასწარი დაკავების ხანგრძლივობის გაგრძელების საჭიროება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განსასჯელი დაკავებული პირის საქმე უნდა სარგებლობდეს უპირატესობით იმ ბრალდებულებთან შედარებით, რომლებიც თავისუფლებაზე იმყოფებიან (ვემჰოფ v. Germany). ევროპულმა

დავით ხურციძე – პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

სასამართლომ დაადგინა, რომ პირი უნდა განთავისუფლდეს სასამართლო პროცესის განმავლობაში, თუ სახელმწიფო ვერ დაამტკიცებს, რომ არსებობს შესაბამისი და საკმარისი მიზეზები პატიმრობის გასამართლებლად.²⁵

დასკვნა

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის დადგენა. სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის ირგვლივ არსებული საერთო მდგომარეობა, რათა პასუხი გასცეს ორ კითხვას: სახეზე არის თუ არა ამ კონკრეტული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი საფუძველი და სახეზე არის თუ არა ამ კონკრეტული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის – პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა.

აუცილებელია, რომ თითოეული საქმის განხილვისას სასამართლომ იხელმძღვანელოს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული საქმიდან გამომდინარე და არა ზოგადი ტენდენციებით (მაგალითად, პატიმრობის გამოყენება მხოლოდ იმის გამო, რომ პირს ბრალად ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა).

იმისათვის, რომ მოხდეს პირის უფლებების დაცვა ევროპული კონვენცია მოითხოვს, რომ წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა „გონივრული“ იყოს. გონივრულია თუ არა წი-

²⁵ კორკელია კ. ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004.

ნასწარი დაკავების ხანგრძლივობა, დამოკიდებულია კონკრეტულ საქმეზე და ამ საქმის გარემოებების საფუძველზე უნდა შეფასდეს დაკავების ხანგრძლივობის გონივრულობა. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ, თუ ერთ შემთხვევაში წინასწარი დაკავების ხანგრძლივობა, რომელმაც წელიწადზე მეტს (თითქმის 15 თვეს) გასტანა, მიჩნეულ იქნა არაგონივრულად, სხვა საქმეში ორი წელზე მეტი დრო მან მისაღებად მიიჩნია.

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

ამინისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევა

**ქეთევან ჩახნაშვილი
მარიამ საკანდელიძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
სამართლის ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტები**

შესავალი

ამნისტია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად მიიჩნევა, რამეთუ წარმოადგენს პირის რესოციალიზაციის ქმედით მექანიზმსა და ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრირების შედარებით ეფექტურ საშუალებას, თუმცა ხშირ შემთხვევაში დამნაშავის მიერ იმავე ან სხვა დანაშაულის ჩადენის საფრთხე იმდენად რეალურია, რომ შესაძლოა მოქალაქეთა სხვა უფლებების დაცულ სფეროში ჩარჩოს არაერთი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდეთ.

ამნისტია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გათავისუფლების შერეულ სახეს, რომლის მეშვეობითაც სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შესაძლებელია პირთა განსაზღვრული წრის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. ამნისტიის აქტი კანონის სახით მიიღება და პარლამენტის კომპეტენციას წარმოადგენს. მისი საშუალებით მსჯავრდებულ, ნასამართლევ ან სისხლის სამართლებრივი დევნის ქვეშ მყოფ პირებს საშუალება ეძლევათ მიეცეთ მეორე შანსი და ისევ ჰქონდეთ შე-

საძლებლობა საზოგადოების ნაწილად იქცნენ. ამნისტიის მამოძრავებელი მექანიზმი ჰუმანიზმის პრინციპი და ადამიანთა განვითარების უფლება წარმოადგენს.

შენყალება ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია სისხლის სამართალში – იგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ხამურაბის ეპოქის ბაბილონში (ძვ. წ-აღ. XVIII საუკუნე). შენყალების ინსტიტუტი არსებობდა ძველ საბერძნეთსა და რომშიც. ამჟამად იგი ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში. შენყალების უფლებამოსილება, როგორც წესი, ერთპიროვნულად აქვს მინიჭებული სახელმწიფოს მეთაურს (პრეზიდენტს – საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, საბერძნეთში, ინდოეთში, ლატვიაში, ყაზახეთში, რუსეთში და სხვ., მონარქს – დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში, დანიაში და ა.შ.). აშშ-ში შენყალების უფლება, გარდა პრეზიდენტისა, მინიჭებული აქვთ ასევე შტატების გუბერნატორებს. ზოგიერთ ქვეყანაში შენყალებას ახორციელებს პარლამენტი (შვეიცარია). არის სახელმწიფოები, სადაც შენყალების ინსტიტუტი არ არსებობს და მის ნაცვლად გამოიყენება სხვა სახის სამართლებრივი მექანიზმები (მაგალითად, იაპონია), ანდა თუმცა ფორმალურად არსებობს, მაგრამ პრატიკულად არ გამოიყენება (ინგლისი).

ამნისტიის ინსტიტუტი საფრთხესაც შეიცავს. კონსტიტუციით გარანტირებულია, რომ ადამიანის სიცოცხლე ხელშეუვალი უფლებაა. აგრეთვე დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა. ეს საფრთხეები განსაკუთრებით ეხება და ვლინდება ბოლო პერიოდში გახშირებულ მკვლელობებს, რომლებიც ჩაიდინეს ამნისტიით გათავისუფლებულმა პირებმა. ამგვარ მკვლელობებს შორისაა ისეთი გახმაურებული საქმე როგორიცაა 2018 წლის 13 აპრილს ბარნოვის ქუჩაზე

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

და 25 ოქტომბერს გორში მომხდარი განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა. ამნისტიის გზით შეწყალებული პირების მიერ გათავისუფლების შემდეგ ხორციელდება სხვადასხვა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედებები რის გამოც ირღვევა საზოგადოებრივი უსაფრთხოება. ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა იცხოვროს უსაფრთხო გარემოში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, ლასავს თუ არა ამნისტიის ინსტიტუტი ზემოხსენებულ ადამიანის უფლებებს. ამგვარ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ არ ვამბობთ, რომ შეწყალების ინსტიტუტი არის პანაცეა და მისი გამოსწორებით ყველაფერი დალაგდება. მართლმსაჯულების ერთიან სისტემაზე ვსაუბრობთ. ჩვენ რომ გადავხედოთ ბოლო წლების განმავლობაში შეწყალების აქტით გათავისუფლებული მსჯავრდებულების რეციდივებს, საკმაოდ საგანგაშო რიცხვებია“. ცხადია, რომ რესოციალიზაციის მიზეზი ხშირად გამხდარა სხვა დანაშაულის ჩადენის რეალური საფრთხე. ამ მხრივ, საინტერესოა შედარებითი ანალიზი, თუ როგორი მიდგომა არსებობს ამ საკითხისადმი საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

ამ ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნას ამნისტიის, როგორც ერთჯერადი გათავისუფლების საშუალების საკანონმდებლო რეგულაცია; მისი მნიშვნელობა ადამიანთა, როგორც მსჯავრდებულთა, ისე მოქალაქეთა უფლებების კონტექსტში; გამოკვლეულ იქნეს რამდენად დეტალიზებული არის და უნდა იყოს კონკრეტული ადამიანის საქმის განხილვის ორგანიზაციული მოთხოვნები; განხილულ იქნეს ის ჰიპოთეტური თუ რეალური საფრთხეები, რაც დამნაშავეთა გათავისუფლებას შეიძლება მოჰყვეს.

ამნისტია, როგორც ჰუმანიზმის პრინციპის გამოვლინება საზოგადოებაში

„ჰუმანიზმის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანობის აღდგენაზე საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, პატიმართა და პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობისა და საზოგადოების უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ კრიმინოგენული სიტუაციის კონტროლისა და პრევენციის სათანადო მექანიზმების არსებობის პირობებში, საქართველოს პარლამენტი ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით აცხადებს ამნისტიას“¹- ასეთი შესავალი გაუკეთა საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონს, რომლის მიხედვითაც, პენიტენციალური დაწესებულება დატოვა, თავისი მასშტაბით, მსჯავრდებულთა ყველაზე დიდმა რაოდენობამ დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში. სანამ უშუალოდ ამ კონკრეტული ამნისტიის განხილვაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რას ნიშნავს პარლამენტის განმარტებით და ზოგადად, ჰუმანურობის პრინციპი და შესაძლებელია თუ არა, ერთი ზოგადი აქტით გათავისუფლდეს ადამიანთა კონკრეტული ჯგუფი იმ სასჯელისგან, რაც ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე კანონმდებლობის საფუძველზე დაეკისრათ, რამდენად არის მათი გათავისუფლება მოქალაქეთა ინტერესში უსაფრთხოების მდგომარეობის გათვალისწინებით, მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების მიზანშეწონილობაზე მითითებისას და ემსახურება თუ არა აღნიშნული ნამდვილად მოქალაქეთა ნა-

¹ საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ, 28/12/2012.

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

წილის მოთხოვნის შესაბამისად, საზოგადოების დარჩენილი ნაწილის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლებისა და ინტერესების გათვალისწინებას.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მონაცემებზე დაყრდნობით, 1995 წლის ივნისის პირველი მასობრივი ამნისტიის აქტიდან მოყოლებული, ქვეყანაში დღემდე სულ 14 მათგანია განხორციელებული. პარლამენტის მიერ მიღებული თითოეულის პრეამბულაში ხაზგასმითაა ნათქვამი ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ აქტის მიღების საჭიროებაზე. ჰუმანიზმი, ზოგადად, ნიშნავს ადამიანის სიყვარულს, მისი პიროვნებისადმი პატივისცემას, მისივე ინტერესების, უფლებებისა და თავისუფლების გათვალისწინებას.² ჰუმანიზმის გამოვლინებად შეგვიძლია ჩავთვალოთ ის უპირატესობები, რაც საკანონმდებლო აქტებით უმეტეს შემთხვევაში გათვალისწინებული აქვთ მოხუცებს, არასრულწლოვნებს, ორსულებს, ადამიანებს შეურაცხადობის გამო. აღნიშნული უპირატესობები გულისხმობს მათთვის შედარებით მსუბუქი სასჯელის დაწესებას იმავე ქმედებისთვის, რაც ამ ნიშნის არმქონე ადამიანებს, არ აქვთ. ცხადია, ჰუმანიზმი სრულიად არ ნიშნავს ცალმხრივ დათმობებს და ზღვარგადასულ მიმტევებლობას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 77 მუხლი ითვალისწინებს ამნისტიისა და შეწყალების შესაძლებლობას. კანონით გათვალისწინებულია, რომ შესაძლოა პირი გათავისუფლდეს სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, ხოლო მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელისაგან ანდა

² <https://geolaw.wordpress.com/2012/10/23/sisxlis-samartlis-principebi/>
ჰუმანიზმის პრინციპი.

მისთვის დანიშნული სასჯელი შეიძლება შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით, ხოლო სასჯელმოხდილს ამნისტიის აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.³

ჰუმანიზმი იმ პირებისთვის, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, რესოციალიზაციისთვის უპირობოდ, სულისჩამდებული პრინციპია. როგორც წესი, სასჯელმოხდილი და ნასამართლევი ადამიანებისთვის ციხის გისოსების თავის დაღწევის შემდეგ რთულია ისეთი ყოფითი ქმედებების გატარება ცხოვრებაში, როგორიც თუნდაც საზოგადოებასთან კომუნიკაცია, სამსახურის დაწყება ან/და ნორმალური წესით ცხოვრების გაგრძელებაა. იმ კატეგორიების დანაშაულისთვის, როგორც წესი, განსაკუთრებულ საშიშროებას არ შეიცავს, კანონმდებელმა დააწესა ე.წ „პატიების“ ინსტიტუტი, რომელიც ამ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება ისევ და ისევ ჰუმანურობის პრინიციპიდან გამომდინარე. თუ საკითხს შევხედავთ დანაშაულის ჩამდენი პირების ინტერესების გათვალისწინებით და მათი გადმოსახედიდან, საზოგადოების თითოეული წევრი მივა დასკვნამდე, რომ ისინიც იმ უმთავრეს ლირებულებას წარმოადგენენ, რასაც ადამიანი ჰქვია და იმსახურებენ ჩადენილის მიუხედავად ერთგვარ მეორე შანსს. ამის საპირისპიროდ, სასწორზე დგება მეორე ლირებულება, სხვა ადამიანთა უსაფრთხო ცხოვრების ინტერესი, რამეთუ ყველაფრის მიუხედავად, საზოგადოებისთვის ეს ადამიანები მაინც წარმოადგენენ პოტენიციური საფრთხის წყაროს. შესაძლებელია იმაზეც ვისაუბროთ, რომ საფრთხის წინასწარი პრევენციისთვის, კარგი იქნებოდა პე-

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 77. [22.07.1999]

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

ნიტენციალურ დაწესებულებებში გაჩენილიყო ის დამოკი-
დებულება, რომელიც ადამიანებს დაეხმარებოდა ცნობიერე-
ბის აღზრდაში. შეთავაზებული ყოფილიყო მათთვის ის პი-
რობები, რაც საშუალებას მისცემდათ დაფიქრებულიყვნენ
ფაქტებზე, ეკითხათ მეტი წიგნები, მიეღოთ მეტი ინფორმა-
ცია, ეზრუნათ თვითგანვითარებაზე და სასჯელის მოხდამდე
იმდენად შეეცვალათ დამოკიდებულება, რომ საზოგადოება-
საც ნაკლებად საფრთხისშემქმენლად აღექვა. საშიშროებე-
ბისა და საფრთხეების შესახებ მოგვიანებით დაწვრილებით
ვისაუბრებთ, თუმცა მანამდე აუცილებელია ითქვას, რომ არ
შეიძლება ჰუმანურობის პრინციპის უგულებელყოფა, რად-
გან ის ხელს უწყობს არა მხოლოდ თავად სამართლის, არა-
მედ საზოგადოების პროგრესულ განვითარებას, რამეთუ იგი
არის პატივისცემა ადამიანის პიროვნების მიმართ.⁴ ჭეშმარი-
ტებაა, რომ საზოგადოების მისწრაფებათა სასწორზე ორი
ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს, თუმცა არ იქნებოდა
სწორი სამართლებრივ ქვეყანაში ხაზი გადავვესვა იმ ძირი-
თადი და ფუნდამენტური პრინციპებისთვის, რომელიც ყვე-
ლა განვითარებული ქვეყნისთვის უპირობო და შეუცდომე-
ლია. შესაბამისად, სამართლის ჰუმანურობის მიღწევა და ამ
გზით მისი განვითარება მუდმივი მიზანია, რომლის ხელშეწ-
ყობა, უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა, თუმ-
ცა, ბუნებრივია, იმ ზღვრამდე, ვიდრე ეს არ დაუპირისპირ-
დება სამართლისა და კანონის სხვა მიზნებსა და ძირითად
ფუნქციას.

⁴ <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal-00-1--0-10-0-0-0---0prompt-10--.%2E-4---4---0-01--11-en-10--10-help-50-00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=CL4.3&d=HASH0162ad5b90a846a66be0fc2c.4.fc>

ამნისტია და მისი საკანონმდებლო რეგულაცია

ამნისტია საქართველოს პარლამენტის კომპეტენციაა და იგი პირთა განუსაზღვრელი წრისადმი გამოიცემა. ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, კანონპროექტის წარდგენის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობა და უმცირესობა ერთად განიხილავს ამ პროექტით განსაზღვრული სისიხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირთა გათავისუფლების თუ ამის უარყოფის საკითხს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პროექტის შინაარსი დასაშვებია განსხვავებული იყოს. შესაბამისად, ერთი ამნისტიის აქტით სრულიად შესაძლებელია პირები გათავისუფლდნენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენისას სასჯელის მოხდისგან ან თუნდაც, ნასამართლებრივისგან, ხოლო სხვა ამნისტიის აქტით, გათვალისწინებული იყოს მსგავსი შინაარსის სამართლებრივი შედეგი სხვა კონკრეტული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. როგორც წესი, პარლამენტს არ აქვს შეზღუდვა, დაუშვას ან არ დაუშვას სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების ჩამდენ პირთათვის ამნისტიის აქტის მიღება, თუმცა ფაქტია, საკანონმდებლო ორგანოც კი ერიდება იმ დანაშაულთა ჩამდენი პირების მიმართ ამნისტიის აქტის გამოცემას, რომელთა მიერ ჩადენილი ქმედება განეკუთნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას. საკამათოა საკითხი, უნდა ხდებოდეს აბსოლუტურად ყველა სიმძიმის დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ამ ღონისძიებების გატარება, თუ მხოლოდ შედარებით მსუბუქ დანაშაულებზე უნდა ვრცელდებოდეს პარლამენტის კომპეტენცია? ამგვარი კითხვა პრობლემური და მეტად საკამათოა, რადგან

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

პარლამენტის კომპეტენციის შეზღუდვის საკითხი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. პარლამენტი იღებს კანონს და მას ემორჩილება მთელი სამართლებრივი სამყარო. ამნისტიაც, სამართლებრივი ბუნებით, არის კანონი. პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებას ამნისტიის შესახებ კანონის ფორმით. ამ ფაქტის მეტად სამართლებრივად და პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა ქართულ რეალობაში თითოეულ დეპუტატს ლრმა ანალიზისა და მონაცემების საფუძველზე გაეაზრებინა ის მდგომარეობა და საფრთხეები, რომელთა წინაშეც განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ჩამდენი პირების გათავისუფლების შემდეგ დავდგებით. პარლამენტის გადაწყვეტილება მისი უფლებამოსილების შესაბამისია, ამიტომ მივიჩნევთ, რომ მიუხედავად რაიმე კონკრეტულ აკრძალვის დაწესების შეუძლებლობისა, პარლამენტმა და თავმჯდომარემ, აუცილებლად უნდა განიხილონ კანონპროექტი მისი სრული სიმკაცრითა და სიმკვეთრით. ამნისტიის საკანონმდებლო რეგულაცია ყოველთვის დამოკიდებულია პარლამენტის გადაწყვეტილებაზე, შესაბამისად დეპუტატების ხმათა უმრავლესობაზე და პირდაპირ რომ ვთქვათ, პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მივიჩნევთ, რომ საქართველოს შემთხვევაში განსაკუთრებული კონტრასტით აღინიშნება ამ საკითხის პოლიტიკურ ჭრილში განხილვა და არა ისე, როგორც ქვეყნის მომავლისთვის იქნებოდა სიკეთის მომტანი. ხშირ შემთხვევებში, პარლამენტი პირდაპირ მიუთითებს ამნისტიის საჭიროებაზე პენიტენციალურ დაწესებულებების გადატვირთვის საბაბით, რაც საერთოდ არ უნდა იყოს ამნისტიის აქტის მიღების საფუძველი. ეს საკითხი არის სახელმწიფოს, ხელისუფლების რისკისა და პასუხისმგებლობის სფეროში

და არა იმ ადამიანების, რომლების უსაფრთხოების დარღვევის ხარჯზეც ხდება პირთა გათავისუფლება. სახელმწიფო და შესაბამისი სამინისტროა ვალდებული უზრუნველყოს ისეთი პირობების არსებობა, სადაც პენიტენციალური დაწესებულებაში ადგილის სიმცირის არგუმენტი ამნისტიის საბაბი არ შეიქმნებოდა. ხაზგასასმელია ამნისტიის აქტის შინაარსი და დანიშნულება, რამეთუ პირთა გათავისუფლების მიზეზი არ შეიძლება იქცეს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა და ადგილების სიმცირე, არამედ პირთა ჩადენილი დანაშაულის შინაარსი, მოხდილი სასჯელის რაოდენობა, ქცევის მართლწესრიგი. აღსანიშნავია, კრიტიკული აზრის მცირე რიცხოვნებაც პარლამენტში, მაგალითად: ცნობილია, რომ კობა დავითაშვილმა და გოგლა უვანიამ, ამნისტიის აქტის მიღებამდე გააპროტესტეს მკვლელობისთვის, გაუპატიურების და სხვა მძიმე დანაშაულების ჩამდენი პირებისთვის სასჯელის მეოთხედით შემცირება, რაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო. ამ საკითხზე უმრავლესობის დანარჩენ წევრებთან კომპრომისის მიღწევა მათ ვერ მოახერხეს.

ამნისტიის პროექტის განხორციელება და აღსრულება

ამნისტიის პროექტის პარლამენტის მიერ მიღების შემდეგ ხდება მისი საჯაროდ გამოქვეყნება და პენიტენციალურ დაწესებულებებთან აღსასრულებლად გადაგზავნა. როგორც წესი, ამნისტიის შესახებ კანონში თავადაა მითითებული აღსრულების ვადებიც, ორგანოებიცა და ხერხებიც. კონკრეტულ შემთხვევაში, ძირითადად კი, აქტის გამოცემის შემდგომ, შინაარსის შესაბამისად, სასჯელაღსრულებისა და

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

პრობაციის სამინისტრო ან სასამართლო არიან უფლებამო-
სილნი მიიღონ გადაწყვეტილება პირების სასჯელისგან, სის-
ხლის სამართლებრივი დევნისგან ან ნასამართლეობისგან
გათავისუფლების შესახებ. ამასთან, შესაძლოა დადგენილი
იყოს განსხვავებული წესიც. მაგალითად, 2015 წლის 24 დე-
კემბრის ამნისტიის აქტში მითითება იყო პირდაპირი, რომ
„განცხადების წარდგენისა და განხილვის, აგრეთვე საქმის
საგამოძიებო ორგანოსთვის განსახილველად გაგზავნის წე-
სი დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანე-
ბით, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის
მოწმობის შესაბამისი ყალბი დოკუმენტის დამზადებასთან,
შეძენასთან, გასაღების ან გამოყენების მიზნით შენახვას-
თან, გასაღებასთან ან გამოყენებასთან, იძულებით გადაად-
გილებული პირის – დევნილის მოწმობის მართლსაწინააღ-
მდეგო მისაკუთრებასთან, გადამალვასთან, განადგურებას-
თან ან დაზიანებასთან დაკავშირებულ ფაქტებზე – საქარ-
თველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადა-
ადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინის-
ტრის ბრძანებით.⁵ აგრეთვე, „საქართველოს იუსტიციის მი-
ნისტრმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები-
დან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და
ლტოლვილთა მინისტრმა ამ კანონის მე-5 მუხლით გათვა-
ლისწინებული ბრძანებები გამოსცენ ამ კანონის ამოქმედე-
ბიდან 15 დღის ვადაში.“ აღსრულების განსხვავებული წესი
დაადგინა საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის 5 ივლისის
ამნისტიის შემთხვევაში, სადაც განსაზღვრა, რომ ბრალდე-
ბულის, მათ შორის, ძებნილი ბრალდებულის, მიმართ ამ კა-

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3326749?publication=0>

ნონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას გამოძიების სტადიაზე იღებს შესაბამისი პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე – შესაბამისი სასამართლო. აგრეთვე, მსჯავრდებულის, მათ შორის, ძებნილი მსჯავრდებულის, მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით გადაწყვეტილებას საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე იღებს შესაბამისი სასამართლო, ხოლო დასრულებული სამართლწარმოების საქმეზე – თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომელსაც პატიმრობაში ან პრობაციის რეჟიმში მყოფი მსჯავრდებულის პირად საქმეს ამ კანონის ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში უგზავნის შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება/არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო, ხოლო ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის აღსრულების მიზნით სასამართლოს იმავე ვადაში მიმართავს საქართველოს პროკურატურა.⁶ კანონით გათვალისწინებული ამნისტია უნდა აღსრულებულიყო ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში. შესაბამისად, პარლამენტის მიერ აქტის მიღებისას, აუცლებლად ხდება მასში იმის მითითება, თუ რა ვადაში, ვინ დარა საშუალებით უნდა აღასრულოს იგი, რა კონკრეტული ქმედების გატარება შეიძლება დასჭირდეს კონკრეტული შინაარსის ამნისტიის აქტის ადრესატს, ვის/რა ორგანოს უნდა მიმართოს მან.

⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3326749?publication=0>

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

ამნისტია და პოლიტიკა

ძალიან მნიშვნელოვანი და საფრთხილო საკითხია პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება სახელმწიფოში, რაც ხშირად ამნისტიის საკითხზეც ისახება. საქართველოს ახსოვს 2012 წლის დეკემბრის ყველაზე მასშტაბური ამნისტიის აქტი, როდესაც თავად პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აღნიშნავდა, ამნისტიის შედეგად პატიმართა დაახლოებით 60% გათავისუფლდა და ის უპრეცედენტო იყო მისი მასშტაბებით. აქტის მირების გამამართლებელი მაშინდელი არგუმენტი იყო წინა ხელისუფლების ნულოვანი ტოლერანტობის დროს გადამეტებული სიმკაცრით დასჯილი ადამიანების საკმაოდ დიდი რიცხვი. საამრთლებრივ ჭრილში რომ განვიხილოთ, მნიშვნელოვანია რამდენად უნდა იყოს სწორი პარლამენტის ის განმარტება, რომ წინა მმართველი გუნდის მიერ გატარებული ღონისძიებები მათთვის არის გადამეტებული სიმკაცრე და ამის გამო ცხადდება ამნისტია. თუმცა, მეორეს მხრივ, თუ პიპოთეტურად დავუშვებთ, რომ ქვეყნის ხელისუფლება ნამდვილად ასეთ პოლიტიკას ეწეოდა, ისევ აქტიურდება ადამიანის უფლება რესოციალიზაციაზე. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პოლიტიკური ამინდი ყოველთვის განმსაზღვრელია საკანონმდებლო რეგულაციებზე. ხმათა რაოდენობა, შესაძლოა არა აქტის სიკარგის მიხედვით გადანაწილდეს პარლამენტი, არამედ იმ პოლიტიკური ძალების ქიშპობის პროპორციულად, რასაც უმცირესობა და უმრავლესობა ქმნის. ეს, სამართლებრივი, განვითარებული ქვეყნისთვის ყოვლად დაუშვებელი უნდა იყოს.

პოლიტიკური შეფასებები მნიშვნელოვანია 2012 წლის

28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონის (თ 202) შესახებ საუბრისას, როცა ოპოზიციონერები განმარტავდნენ, რომ ეს პროცესები მიმდინარეობდა საკსებით სტიქიურად და გარეთ გამოსული ადამიანები იქნებოდნენ საზოგადოებისთვის საშიშნი.⁷ პოზიციის წარმომადგენლები კი მას მხოლოდ იწონებდნენ და საშიშროებას ვერ ხედავდნენ, რადგან მათი თქმით, აღნიშნული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს არ შეეხებოდა. სისხლის სამართლის კოდექსის 12-ე მუხლის თანახმად, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრას ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. ეკა ბესელიას განცხადებიდან გამომდინარე, საინტერესოა, ზემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისების გათვალისწინებით, მოექცა თუ არა ამნისტიის ფარგლებში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე, მაგრამ ძალადობრივი დანაშაულები. პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის განცხადების თანახმად, ამნისტიაში არ იყო არცერთი მუხლი, რომელიც ეხებოდა მკვლელობის, მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირებს. აღნიშნული ჩამონათვალი წარმოადგენს ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და მათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე კარი არეგულირებს. ზემოაღნიშნული დანაშაულების უმეტესობა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება და ამნისტია მათ ჩამდენ პირებზე არ გავრცელებულა. თუმცა, ამნისტია შეეხო ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ ისეთ ნაკლებად მძიმე

⁷ <https://www.youtube.com/watch?v=fZpPiX8xpW4>

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

დანაშაულებს, რომლებიც თავისთავად გულისხმობენ ადა-
მიანის მიმართ ძალადობას:

- 1)ჯანმრთელობის განზრას ნაკლებად მძიმე დაზიანება;
- 2)ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანება;
- 3)ჯანმრთელობის განზრას მძიმე, ან ნაკლებად მძიმე
დაზიანება დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის
გადაცილებით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადა-
ცილებით და ძლიერი სულიერი აღლვების მდგომარეობაში;
- 4)ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებუ-
ლის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია;

5)სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც
დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწ-
ვია.

ამნისტია ასევე შეეხო ისეთ ნაკლებად მძიმე დანაშაუ-
ლებს, როგორიცაა ოჯახში ძალადობა, შიდსის შეყრა, განსა-
კუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა, ადამია-
ნის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძუ-
ლება, იძულება (ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების
უკანონო შეზღუდვა), მუქარა (სიცოცხლის მოსპობის ან
ჯანმრთელობის დაზიანების, ან/და ქონების განადგურების
მუქარა). შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში არის შემ-
თხვევები, როცა სამართლებრივი რეგულირება, პოლიტიკუ-
რი ფონი, სახელმწიფოებრივი ცვლილებები ერთმანეთს პირ-
დაპირპორპორციულად ვერ ემთხვევა. ამის გამოხატულებამ
ამნისტიის აქტში კი შეიძლება როგორც დადებითი, ისე ბევ-
რი უარყოფითი შედეგი მოგვიტანოს.

შენყალების ინსტიტუტი და ხარვეზებთან დაკავშირებით არსებული რეკომენდაციები

როგორც უკვე აღინიშნა, ყველაზე მასშტაბური ამნისტია 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონის საფუძველზე განხორციელდა. ამნისტიის შედეგად პატიმართა დაახლოებით 60%. ამნისტიით გათავისუფლებული ადამიანი, სამწესაროდ, წარმოადგენს სხვა ადამიანების საფრთხეს და სხვის კონსტიტუციური უფლების დარღვევის საფუძველს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამნისტიის ინსტიტუტის გარდა კანონმდებლობა ითვალისწინებს შენყალების ინსტიტუტს. რომელიც არსობრივად ემსგავსება ამნისტიას, განსხვავებაა ის, თუ ვინ ახორციელებს მას. შენყალების ინსტიტუტის გამოყენება წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ კი, ქვეყნის მეთაურის – პრეზიდენტის პრეროგატივა. პრეზიდენტი შენყალებას ახორციელებს შენყალების კომისიის მეშვეობით. ამიტომ უპრიანია ამნისტიასთან ერთად იქნეს გათავისებული შენყალების ინსტიტუტში არსებულ ხარვეზებზე, რამდენადაც არსობრივად ორივე ერთი მიზნისა და ორივე პატიმრის რესოციალიზაციისკენ არის მიმართული. ამნისტიით გათავისუფლებული ადამიანების მსგავსად არაერთი ფაქტი დაფიქსირებულა გაუბატიურების, მკვლელობის, მაკვალიფიცირებელი მკვლელობის, ყაჩაღობის, ქურდობის, ძარცვის და სხვა დანაშაულების ჩადენისა, რომელიც იქნა განხორციელებული შენყალებით გათავისუფლებული ადამიანების მიერ. აქედან გამომდინარე, ცალსახაა უნდა მოხდეს ან ამნისტიის ინსტიტუტის გამოყენების შეზღუდვა, რაც წაკლებსავარაუდოა, რადგან იგი გავრცელებული და ქმედითი ბერკეტია, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებებს, ხოლო მეორე შემთხვევა

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

ვაში აუცილებელია მოხდეს ამ ინსტიტუტის მოდერნიზება და სრულყოფა იმდენად, რათა მოხდეს ამგვარი საფრთხის თავიდან აცილება. ამიტომაც საჭიროა რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

მსჯავრდებულებს მიეწოდოს ინფორმაცია შეწყალების მიზნების, არსის, წესისა და კრიტერიუმების თაობაზე, რათა მათ არ ჰქონდეთ არაოპიექტურობისა და ბუნდოვანების განცდა შეწყალების მექანიზმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. შეწყალების კომისიის მნიშვნელოვანი სტატუსიდან და წევრთა მანდატიდან გამომდინარე, სასურველია, ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს შეწყალების კომისიის ფორმირების წესი, პროცედურა და წევრთა შერჩევის კრიტერიუმები, კომისიის წევრთა რაოდენობა, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას საქართველოში მოქმედ შეწყალების მექანიზმთან დაკავშირებით; განვირეტადად გაიწეროს შეწყალების კომისიის კომპეტენცია და მუშაობის წესი, მისი ანგარიშვალდებულება საზოგადოებისა და შეწყალების მთხოვნელი პირის მიმართ. ამ კუთხით, შესაძლებელია, ბულგარეთის მოდელის გაზიარება კომისიის ფუნქციების რეგლამენტირებასთან დაკავშირებით⁸. აღნიშნული მოდელი ნათლად აყალიბებს შეწყალების კომისიის კომპეტენციას და მის სამართლებრივ სტატუსს. შეწყალების კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტებისას, სასურველია, შეწყალების კომისიის წევრებად იყვნენ: ექიმი, პედაგოგი და ფსიქოლოგი.

შეწყალების კომისიის გვერდის ავლით, კრიტერიუმე-

⁸ ავალიანი თ., ჩიტიძე გ., შეწყალების უფლებამოსილება ქართული მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, ადამიანის უფლებათა ცენტრი. თბილისი, 2016 წელი. გვ 43.

ბის დაუცველად, მსჯავრდებულის პირდაპირი წესით შეწყალების გამომწვევი მიზეზები და განსაკუთრებული გარემოება მოკლედ დასაბუთოს შეწყალების შესახებ კონკრეტულ გადაწყვეტილებაში.

განახორციელოს მის მიერ პირდაპირი წესით მსჯავრდებულთა შეწყალების კომპეტენციის სათანადო სამართლებრივი რეგლამენტაცია, რაც განჭვრეტადი იქნება შესაწყალებელი პირისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის. ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაში არსებული ეჭვის გაქარწყლებას პრეზიდენტის მიერ შეწყალების კომპეტენციის მიკერძოებულად გამოყენების შესახებ; ვინაიდან პრეზიდენტის მიერ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება საკმაოდ ხშირია, სასურველია, პრეზიდენტსა და მის სათათბირო ორგანოს საკითხთა კომისიას შორის არსებობდეს სისტემატიური პირდაპირი კომუნიკაცია. ამ მხრივ, საუკეთესო გამოსავალია, ყოველი შეწყალების აქტის გამოცემის შემდეგ პრეზიდენტი შეხვდეს შეწყალების საკითხთა კომისიას და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს, თუ რატომ მიიღო ესა თუ ის განსხვავებული გადაწყვეტილება. სასულიერო პირები შეწყალების კომისიის მუშაობაში ჩართული უნდა იყვნენ არა როგორც თავიანთი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ როგორც ავტორიტეტული საზოგადო მოღვაწეები, ჰუმანისტები. ამავე დროს, სასურველია, შეწყალების კომისიაში მუშაობის საშუალება ჰქონდეთ სხვადასხვა კონფესიის სასულიერო პირებს, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უთანასწორო დამოკიდებულება სხვადასხვა კონფესიის პატიმართა მიმართ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაჯილდოების, მოქალაქეობისა და შეწყალების საკითხთა დეპარტამენტს: სისტემატიურად განახორციელოს და გამოაქვეყნოს

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

შეწყალების აქტების ანალიზი და გამოკვეთოს ტენდენციები. ამ გზით, საზოგადოება და მსჯავრდებულები მიიღებენ პასუხს სენსიტიურ კითხვებზე, თუ რა გარემოებებს თვლის შეწყალების კომისია განსაკუთრებულად, რა ტიპის დანაშაულებს უფრო ეხება პრეზიდენტის შეწყალება, რა დანაშაულების მიმართ აქვს მკაცრი მიდგომა და ა.შ. სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს შეწყალების კომისიას მსჯავრდებულის ან მისი ოჯახის წევრის მიერ წარდგენილი ყველა დოკუმენტის შესახებ. შეწყალების კომისიის წევრებს გონივრული ვადით ადრე (სულ მცირე 14 დღით ადრე მაინც) შეატყობინოს შეწყალების კომისიის სხდომის გამართვის თარიღის შესახებ, რათა კომისიის ყველა წევრმა შეძლოს სხდომაზე დასწრებ შეწყალების კომისიის წევრი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი, არ უნდა ესწრებოდეს კონკრეტული მსჯავრდებულის საქმის განხილვის პროცესს და არ უნდა მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში.

შეწყალების წესის მომწესრიგებელ დებულებაში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ბუნდოვანი ნორმები, რომლებიც შესაძლოა, მსჯავრდებულთა მიერ არაერთგვაროვნად აღიქმებოდეს. ამასთანავე, სასურველია, აღიარების კრიტერიუმი არ გახდეს პირის შეწყალების გადამწყვეტი ფაქტორი, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო უთანასწორო დამოკიდებულება მსჯავრებულთა მიმართ. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ძალადობრივი დანაშაულების შემთხვევაში, შეწყალების კომისიამ და პრეზიდენტმა მსჯავრდებულის შეწყალების საკითხის გადამწყვეტისას ყურადღება უნდა მიაქციოს დაზარალებულის პოზიციას. სხვა ტიპის დანაშაულების შემთხვევაში, შეწყალების კომისიასა და პრეზიდენტის მიერ მხოლოდ დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინებით,

შენყალებაზე უარის თქმა, შესაძლოა, ენინააღმდეგებოდეს
შენყალების არსს.

საქართველოს პრეზიდენტისა და შენყალების კომისიის
მიერ დეტალურად გაანალიზდეს სახალხო დამცველის მიმარ-
თვა მსჯავრდებულის შენყალების თაობაზე. „სახალხო დამ-
ცველის შესახებ“ ორგანული კანონის 21-ე მუხლის „თ“ ქვე-
პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორ-
ციელებისას, სახალხო დამცველის თანამშრომლობა პრეზი-
დენტთან ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვასა და
შენყალების მექანიზმის ეფექტურ ფუნქციონირებას. აქედან
გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი არ შეიწყა-
ლებს მსჯავრდებულს, რომლის შენყალების თაობაზე მას სა-
ხალხო დამცველმა მიმართა, სასურველია, პრეზიდენტმა სა-
ხალხო დამცველს წერილობით განუმარტოს უარის მიზეზი.
შენყალების კომისიის წევრთა დატვირთული სამუშაო რეუი-
მიდან გამომდინარე, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ იზრუ-
ნოს მათ საპონორარო ანაზღაურებაზე, რაც გაზრდის შენყა-
ლების კომისიის წევრთა მოტივაციას, უფრო აქტიურად და
მეტი დატვირთვით ჩაერთონ კომისიის მუშაობაში. ⁹

⁹ ავალიანი თ., ჩიტიძე გ., შენყალების უფლებამოსილება ქართული
მოდელი და საერთაშორისო გამოცდილება, ადამიანის უფლებათა
ცენტრი. თბილისი, 2016 წელი. გვ. 51-52.

**ქეთევან ჩახნაშვილი, მარიამ საკანდელიძე –
ამნისტია – პირის რესოციალიზაცია თუ ადამიანის
კონსტიტუციური უფლებების დარღვევა**

დასკვნა

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ კვლევაში ნათლად გამოიკვეთა შეწყალების და ამნისტიის, როგორც ჰუმანური აქტის, განხორციელების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობა. ისტორიულად, შეწყალების/ამნისტიის უფლება წარმოადგენდა აღმასრულებელი ხელისუფლის აბსოლუტურ და ექსკლუზიურ პრეროგატივას, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული მიზნებით და დანიშნულებით გამოიყენებოდა. მოცემული ინსტიტუტების დახვენის საჭიროება გამომდინარეობს ამჟამინდელი რეალობიდან გამომდინარე. 2012 წლიდან განხორციელებულმა მასობრივმა შეწყალებებმა განაპირობეს ისევ დანაშაულებრივი სიხშირის ზრდა, რამაც საფრთხე შეუქმნა სხვა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, კერძო საკუთრებას და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, კერძოდ, გახშირდა სხვადასხვა სიმძიმის დანაშაული, მათ შორის, განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამიტომაც პირის რესოციალიზაციის მიზანი წინ ეღლება ქვეყანაში საყოველთაო სიმშვიდესა და სხვა ინდივიდუალური თუ საყოველთაო სიკეთეების დაცვას. ამიტომაც აუცილებელია გონივრული ხაზის გავლება ამ ორ უფლებას შორის. კერძოდ, მოხდეს შეწყალების ინსტიტუტის სხვაგვარი სისტემატიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს იმ ადამიანების ამნისტიას(შეწყალებას), რომლებიც ამისთვის სოციალურად და ფსიქოლოგიურად მზად არიან. სამნუხაროდ, დღევანდელი რეალობა ქმნის მთაბეჭდილებას, რომ კანონმდებლობა ამ მხრივ არ არის დახვენილი და მორგებული საერთაშორისო პრაქტიკას. ამიტომაც საჭიროა მისი პარმონიზაცია, რათა მოხდეს ორივე უფლების შეუფერხებელი დაცვა – როგორც პირის რესოციალიზაციის, აგრეთვე ადამიანის უფლების, იცხოვროს უსაფრთხო გარემოში.

**საკონსტიტუციო სასამართლოს
უფლებამოსილების ფარგლები არჩევნების
მომენტის მომავალ წორმაპთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი
რედაქციის მიხედვით**

მამია ღურწკაია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
IV კურსი

გზა კონსტიტუციურ ცვლილებებამდე

2018 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, მიერ ფიცის დადების მომენტიდან ძალაში საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია შევიდა.¹ ამით დასრულდა ქვეყნის ძირითად კანონზე მუშაობის ის რამდენიმეთვიანი პროცესი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიღებას წინ უძლოდა. მსგავსი მიზნით შექმნი-

¹ ფორმალურად, კონსტიტუცია არ შეცვლილა. თვისებრივად მას შეიძლება ვუწიდოთ „ახალი კონსტიტუცია“, რამეთუ მან საკმაო მოცულობის ცვლილები განიცადა, როგორც შინაარსობორივი და ასევე ფორმალური კუთხით. ეს ეხება როგორც კონსტიტუციის მუხლების ნუმერაციას ასევე მათ შინარსს და ა.შ., თუმცა პარლამენტის შეფასებით კონსტიტუცია არსებითად ახალი არ არის, უბრალოდ მასში ცვლილებების შეტანა მოხდა, ხოლო კონსტიტუცია ში ცვლილებების შეტანა „ახალი კონსტიტუციის“ შექმნას არ ნიშნავს. ამასთან ამ კონსტიტუციას ხელს საქართველოს მეორე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აწერს. მისი შექმნელების განმარტებით ეს დოკუმენტი უპირატესად „კონსტიტუციური ცვლილებების“ პროდუქტად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე „ახალ კონსტიტუციად“.

მამისა ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

ლი კომისია იყო რიგით მეოთხე², რომელსაც ამ მანდატის ფარგლებში უარსებია სახელმწიფოს სინამდვილეში. შეიძლება ითქვას, უშედეგო და „უიღბლო“, ამ ოთხიდან რიგით „მესამე“ კომისია გამოდგა, რომლის მუშაობამაც კონკრეტული შედეგის გარეშე ჩაიარა. პარლამენტის იმუშამინდელი თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის, თაოსნობით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შრომამ ქვეყნის ძირითად დოკუმენტში დოკუმენტალური ასახვა ვერ ჰპოვა. 2013 წლის საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობის ძირითად დამაბრკოლებელ გარემოებას მმართველი გუნდის მიერ კონსტიტუციის გადასინჯვის ხმათა საკმარისი თდენობის არ ფლობა წარმოადგენდა, რაც გულისხმობდა იმას, რომ რიგ პრინციპულ საკითხზე საპარლამენტო უმრავლესობას უმცირესობასთან კონსენსუსი სჭირდებოდა. ვითარება შეცვალა 2016 წლის არჩევნებმა – მმართველი ძალა კონსტიტუციური უმრავლესობით შევიდა პარლამენტში³. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საქართველოს პარლამენტის დადგენილებით⁴ შექმნილმა რიგით მეოთხე საკონსტიტუციო კომისიამ მუშაობა 2017 წლის 22 აპრილს დაასრულა⁵ და მიიღო კონსტიტუციის საბოლოო, შეჯერებული ვერსია ე.წ. „ჩარჩო-პროექტი“,

² პირველი საკონსტიტუციო კომისია 1993-1995 წლებში ფუნქციონირებდა, მეორე 2009-2010 წლებში, ხოლო მესამე კი 2013-15 წლებში.

³ EMC-ის მოსაზრებები კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტთან დაკავშირებით, 2017

<https://emcrights.files.wordpress.com/2017/05/e183a1e183a3e1839ae18390e183aae18390e1839ae18398.pdf>

⁴ იხ., <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3472813?publication=0>

⁵ იხ., <http://parliament.ge/ge/parlamentarebi/chairman/chairmannews/saxelmwifo-sakonstitucio-komisiam-saqartvelos-konstituciis-gadasindjvis-proeqts-mxari-dauchira.page>

რომელიც ვენეციის კომისიას წარედგინა და გარკვეული სახის ცვლილების შეტანის შემდეგ საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული.

**კონსტიტუციური ცვლილებები, როგორც
დემოკრატიული სახელმწიფოს აუცილებელი
დამახასაითებელი ელემენტი**

1995 წლის 24 აგვისტოს შობილ, საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს, ახალგაზრდა კონსტიტუციას შექმნის დღიდან ძალიან ბევრი ქარტეხილის გავლა, ბევრი ცვლილებისა და დამატების გადატანა მოუწია. მას თითქოს, როგორც საოპერაციო მაგიდაზე მწოლიარე ახალშობილს, რომელსაც გარკვეული პრობლემები დაბადებიდანვე აღენიშნა, მისი ასაკისთვის შეუფერებლად ბევრი ქირურგიული ჩარევის გადატანა მოუხდა, რომელთაგანაც ზოგი აბსოლუტური აუცილებლობით იყო გამოწვეული, ზოგი კი საერთოდ გაუმართლებლად უნდა შეფასდეს. წინარე ისტორიისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რთულად სავარაუდო არ არის, რომ ის პროცესი, რომელსაც კონსტიტუციური ცვლილებების განხორციელება ეწოდება შეიძლება მომავალშიც გაგრძელდეს. ერთმნიშვნელოვნად, როგორც ასეთი კონსტიტუციური ცვლილებები უხეშად, „ცუდ“ ან „კარგ“ მოვლენად არ უნდა იქნეს გაგებული და შეფასებული. ზოგადად კონსტიტუციონალიზმის მოძღვრებისთვის მსგავსი ტერმინები უცხოდ უღერს, რადგან საკითხის სპეციფიკურობიდან და შინაარსში მოაზრებული მასშტაბიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ-სამართლებრივ ისტორიაში რთულად მოიძებნება მაგალითები, სადაც შევძლებდით განხორციელებული ცვლილებები გადაჭრით „ცუდ“ ან „კარგ“ ნაწილებად დაგვეყყო. ყოველთვის მნიშვნელოვანია კონტექსტის, წინარე ისტორიისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინება. ყო-

მამია ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

ველი ერის ბუნება, კოდიფიკაციური მიდგომები, ისტორიული გამოცდილება, ისივე როგორც კონსტიტუციური გემოვნება, განსხვავებულია.⁶ კონსტიტუციის „მუშაობა“, ანუ მისი ეფექტიანი არსებობა და ფუნქციონირება სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარ ვითარებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, განვლილი ისტორია აჩვენებს, რომ აზერბაიჯანში კონსტიტუციური ცვლილებების პროცესი უმეტესად უმტკივნეულო საკითხია. აზერბაიჯანში 1995 წლის 12 ნოემბრის კონსტიტუცია⁷ *ad referendum* იქნა მიღებული. შემდგომში, ყველა მასტებური კონსტიტუციური ცვლილება რეფერენდუმის გზით ხორციელდებოდა, ამდაგვარად განხორციელდა 2002, 2009 და 2016 წლის კონსტიტუციური ცვლილებები. მაგალითად, ბოლო 2016 წლის კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტი ილპამ ალიევის ინიციორებით მოხდა, მიუხედავად ვენეციის კომისიის არცთუ აღმაფრთოვანებელი შეფასებისა⁸ იგი მაინც, *ad referendum* უმტკივნეულოდ და მაღალი ლეგიტიმაციით იქნა მიღებული. მოსახლეობას მშვიდ და ნორმალურ ატმოსფეროში ჰქონდა სამუალება თავისი ნება-სურვილი გამოეხატა. ეს ყოველივე, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინასწარი და შემდგომი დასკვნებითაც დადას-

⁶ მაგალითად.: ისრაელს, ახალ ზელანდიას, გაერთიანებულ სამეფოს და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს დაწერილი კონსტიტუცია საერთოდ არ აქვთ.

⁷ https://en.wikipedia.org/wiki/Constitution_of_Azerbaijan

⁸ იხ., ვენეციის კომისიის წინასწარი რეკომენდაცია აზერბაიჯანის კონსტიტუციურ ცვლილებებზე [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2016\)010-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2016)010-e)

ტურდა⁹. თავის მხრივ, განსხვავებული მოდელისაა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია. იგი მისი მედგარი, მყარი ბუნებიდან გამომდინარე დღესაც სამაგალითოდ ითვლება მსოფლიოში. 1787 წლიდან მოყოლებული¹⁰ იგი მხოლოდ 27 ჯერ იქნა შესწორებული¹¹, უფრო ნაკლებჯერ ვიდრე მასზე 208 წლით უმცროსი ქართული კონსტიტუცია. იგი იმდენად სრულყოფილი დოკუმენტია, რომ იურიდიული წრეების და ცნობილი მეცნიერების შეხედულებით ძალიან მაღლა დგას სხვებზე მსოფლიოს სამართლებრივ სივრცეში. როგორც უნგრელი მეცნიერი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ანდრაშ შაიო წერს.: „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია გაცილებით მეტია, ვიდრე ყვითელ პერგამენტზე ამოტვიფრული ლამაზი ხელნაწერი.“¹² აზერბაიჯანისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციების შედარება შეიძლება არ წარმოადგენდეს ორდინალურ სიტუაციაში წარმოსადგენ ან რაიმე ღირებულ ფარდობით მიმართებას, თუმცა კონსტიტუციათა ბუნების სხვადასხვაგვაროვნების შეფასება (იმავე იმპლემენტირებული შესწორებების ნაწილებშიც) ამ მაგალითზე კარგად არის შესაძლებელი. რაც შეეხება კონსტიტუციურ შესწორებებს, იგივე შაიო ამბობს, „როგორც წმინდა ტექნიკურ საკითხადაც არ უნდა გვეჩვენებოდეს კონსტიტუციის შესწორება, ეს არის თვით დოკუ-

⁹ იხ., ევროპის საბჭოს წინასწარი დასკვნა აზერბაიჯანში ჩატარებულ რეფერენდუმთან მიმართებით https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage_en/10667/Referendum%20on%20changes%20to%20the%20Constitution%20of%20Azerbaijan

¹⁰ იხ., <https://constitutioncenter.org/blog/the-day-the-constitution-was-adopted>

¹¹ იხ., https://en.wikipedia.org/wiki/List_of_amendments_to_the_United_States_Constitution

¹² შაიო ა., ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, თევდორე ნინიძის რედაქტორით, თბილისი, 2003, 18.

მამია ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

მენტის და კონსტიტუციონალიზმის არსებითი ელემენტი.¹³ კონსტიტუციური შესწორებებით სულდგმულობს თვითონ კონსტიტუცია, ყოველმა ცვლილებამ ან დამატებამ იგი დროს-თან და მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია და მასში საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი

საქართველოს კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ თითქმის სრულმასშტაბიანი ცვლილებები განიცადა. ზემოთაც აღინიშნა, რომ ამ მასშტაბისა და მოცულობის ცვლილებებისთვის თავისუფლად შეიძლებოდა „ახალი კონსტიტუციის“ დარქმევა¹⁴, თუმცა ეს შეიძლება გემოვნების ან/და სხვა საკითხებსაც მივაწეროთ. მაგალითად, მისი დამწერების სურვილის და მათ მიერ იმის აღნიშვნას, რომ არსებითად ახალი კონსტიტუცია კი არ დაწერილა მათი მმართველობის პერიოდში, არამედ კონსტიტუციაში მხოლოდ ცვლილებები შევიდა, რაც *mutatis mutandis* ჩვეულებრივ აუცილებლობით ნაკარნახევ მოვლენას წარმოადგენს. მოცემულობებში ფაქტობრივი განსხვავებანი კი საკმაოდ დიდია. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ყველა მუხლი დასათაურდა, შეიცვალა ნუმერაცია, მუხლებად ჩამოყალიბდა მანამდე პრეამბულის ნაწილი სამართლებრივი, დემოკრატიული და სოციალური

¹³ ოქვე, გვ 42.

¹⁴ მაგალითად, საფრანგეთში „რესპუბლიკის“ ცვლილებებს მჭიდროდ უკავშირდეობდა „კონსტიტუციური ცვლილებები“. დღევანდელი „მეხუთე რესპუბლიკა“ ახალი კონსტიტუციური წესრიგის პირმშოა, რომელიც დე გოლის მმართველობის დროს 1958 წლის 5 ოქტომბრიდან განხორიელდა.

სახელმწიფოს პრინციპები, ცვლილებები შევიდა პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის და სასამართლო ხელისუფლების მომწესრიგებელ ნორმებში, ასევე სხვა ორგანოთა მომწესრიგებელ დებულებებში. გარდამავალ დებულებებში ჩამოყალიბდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ სწრაფვა და ა.შ. ცვლილებებმა ბევრი კრიტიკა და შეფასებები გამოიარა, მათ შორის ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სამოქალაქო სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის „ვენეციის კომისიის“ მიერ კონსტიტუციის სხვადასხვა დებულებებთან მიმართებაში „პრეზიდენტიები“ თავისი შინაარსის გათვალისწინებით ყველა სხვადასხვა ორგანიზაციასა თუ პირს განსხვავებული სახის ჰქონდა და აქვს დღესაც. ძალიან მწვავედ დგას უკვე კანონის მიერ მოწესრიგებული საარჩევნო და ადამიანის უფლებების მომწესრიგებელი ნორმების, ასევე პარლამენტის, სასამართლოს, პროკურატურის კომპოზიციის საკითხები. კოსტიტუციონალიზმის დარგში ისეთმა ცნობილმა ორგანიზაციამ, როგორიც არის „ვენეციის კომისია“, საბოლოო ჯამში მიუხედავად შენიშვნების სიმრავლის და შინაარსობრივი მრავალფეროვნებისა, აღნიშნული დოკუმენტი მოიწონა.¹⁵

საქართველოს დღევანდელი კონსტიტუციის¹⁶ მეექვსე თავი ეთმობა სასამართლო ხელისუფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო საქართვე-

¹⁵ იხ., ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა.

[https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2017\)013-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2017)013-e)

¹⁶ საქართველოს კონსტიტუცია, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

მამია ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

ლოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი შექმნისა და საქ-
მიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. რაც შე-
ეხება უშუალოდ სასამართლოს ფუნქციასა და როლს, იგი
ჩამოყალიბებულია მე-60 მუხლში, რომლის სახელწოდებაა
საკონსტიტუციო სასამართლო და მასში ჩამოთვლილია მისი
კომპეტენციები. მათ შორის კომპეტენციას საარჩევნო და-
ვებთან მიმართებაში, რომელსაც ქვემოთ დეტალურად გან-
ვიხილავთ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
შეიქმნა 1996 წელს. მისი შექმნისა და საქმიანობის სამარ-
თლებრივი საფუძველია: საქართველოს კონსტიტუცია, სა-
ქართველოს ორგანული კანონი „საკონსტიტუციო სასამარ-
თლოს შესახებ“, საქართველოს კანონი საკონსტიტუციო სა-
მართალნარმოების შესახებ და საკონსტიტუციო სასამარ-
თლოს რეგლამენტი.¹⁷ „ძირითადი უფლებების ძირითადი
მცველი“, ასე შეიძლება ვუწოდოთ ამ ორგანოს, რომელიც
შექმნის დღიდან დგას ადამიანის უფლებების სადარაჯოზე
და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახორციელებს ნორმათ-
შეფარდებას კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებაში.
იგი ერთგვარი საზედამხედეველო ორგანოა, რომელიც
ამონმებს აღმასრულებელი ხელისუფლებისა თუ პარლამენ-
ტის მიერ მიღებული კანონებისა და კანონქვემდებარე ნორ-
მატიული აქტების კონსტიტუციურობას კონსტიტუციასთან
მიმართებაში თანაზომიერების ტესტისა თუ სხვა დადგენი-
ლი პრინციპების შესაბამისად.

დღიდან დაარსებისა, საკონსტიტუციო სასამართლოს
წარმოებაში ყოფილა და არის არა ერთი საქმე. დაახლოებით
22 წლის მანძილზე მას მიღებული აქვს რამდენიმე ასეული

¹⁷ სხვა ინფორმაცია იხ., <https://www.constcourt.ge/ge/court/brief-history>

ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განმარტებები საკ-
მაოდ მნიშვნელოვანია ქართული სამართლის განვითარე-
ბისთვის, გარდა მისი გადაწყვეტილებების სავალდებულო
ძალისა, მისი გადაწყვეტილებები ხშირად ციტირებადია სა-
ერთო სასამართლოების მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვე-
ვაში სხვადასხვა უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმარ-
თებაში. მისთვის კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებ-
ში სასამართლოს მოქმედებები ემსახურება და უნდა ემსახუ-
რებოდეს, ყველა პირისთვის ადამიანის უფლებებისა და თა-
ვისუფლებების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფას.
სასამართლოს მინიჭებული ფართო კომპეტენციის ფარ-
გლებში აქვს მანდატი განიხილოს სხვადასხვა კატეგორიის
და სამართლის სხვადასხვა დარგს მიკუთვნებული საკითხე-
ბი, როგორებიცაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-
სის ნორმების კონსტიტუციურობისა თუ სამოქალაქო კო-
დექსის, ან პატიმრობის კოდექსის თუ ოპერატიულ-სამძებ-
რო ღონიძებების შესახებ საქართველოს კანონის ნორმების
კონსტიტუციურობის შეფასების საკითხები და სხვა. სასა-
მართლოს კომპეტენციის ფარგლები მოწესრიგებულია, რო-
გორც კონსტიტუციით, ასევე საკონსტიტუციო სასამარ-
თლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონით.

**„არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები“
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს
სამართლებრივ სივრცეში, პრაქტიკის ანალიზი**

საარჩევნო სამართალი სამართლის სპეციფიკური დარ-
გია, რომელიც უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან კონსტი-
ტუციურ-სამართლებრივ მოვლენას ქვეყნის სინამდვილეში,
რასაც არჩევნები ჰქვია. საკონსტიტუციო სასამართლოს

მამია ლურწკაია –

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით

განმარტებით, „არჩევნები არის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია, იმისათვის, რომ შედგეს ხალხის მმართველობა, ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია. არჩევნები თავისთავად აჩენს განცდას და რწმენას ადამიანებში, რომ ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში (ირჩევენ რა თავის რჩეულებს ან თავად არიან არჩეული).¹⁸ არჩევნების ჩატარების ძირითადი მარეგლამენტირებელი დოკუმენტი არის საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი. გარდა ამისა, სხვა კანონქვემდებარე აქტები, იქნება ეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება თუ სხვა სამართლებრივი დოკუმენტები რელევანტური მნიშვნელობის მქონენი არიან ამ დარგში¹⁹. ამდენად, ქვეყანაში მისადმი ყურადღება, განსაკუთრებით პოლიტიკური ჯგუფებისაგან და სამოქალაქო საზოგადოებისაგან ყოველთვის მაღალი ხარისხით არსებობს. საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია, როგორც კანონის ასევე, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილება, ამდენად საარჩევნო კანონმდებლობიდან, გასაჩივრებას შესაძლებელია დაქვემდებაროს არა მხოლოდ კანონები (მაგალითად; საარჩევნო კოდექსი), არამედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება ან სხვა სამარ-

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები – „ახალი მემარჯვენებები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 8.

¹⁹ იხ., აქტების სრული ჩამონათვალი <http://cesko.ge/>

თლებრივი აქტიც. თავისთავად, დემოკრატიის ძირითადი საფუძვლებიდან გამომდინარეობს სასამართლოს სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის შემოწმების მანდატი, რამეთუ მიუკერძოებელმა, პოლიტიკური ინტერესის არმქონე ინსტიტუციამ უნდა უზრუნველყოს სწორი სამართლებრივი შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის, ან სხვა ნორმატიული აქტის, რამეთუ პოლიტიკურად „დაინტერესებული“ ინსტიტუციების ხელში მისი არსებობა დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპისთვის ძირის გამოთხრა იქნებოდა. ცივილიზებული სამყაროს უდიდეს ნაწილში აღნიშნული კომპეტენცია სწორედ სასამართლოს ხელშია. საარჩევნო პერიოდი, კენჭისყრის ჩატარებამდე და მას შემდეგაც, განსაკუთრებით საქართველოში, ხასიათდება მღელვარების მაღალი ხარისხით. განსაკუთრებით ხშირია სასამართლო დავები საერთო სასამართლოების სისტემაში, როდესაც საარჩევნო სუბიექტები ასაჩივრებენ სხვადასხვა სამართლებრივ აქტებს ან/და უშუალო მოქმედებებს, მაგალითად ეს იქნება საარჩევნო ბიულეტენების ბათილობა, საარჩევნო კომისიის წევრის საარჩევნო უბნიდან გაძევება და ა.შ. რასაკვირველია, არჩევნების მასშტაბურობიდან გამომდინარე, საარჩევნო დავების სიმრავლე საერთო სასამართლოების სისტემაში არ წარმოადგენს მოულოდნელობას, პირიქით მთელს მსოფლიოში საკმაოდ ხშირი მოვლენა და აპრობირებული პრაქტიკაა საარჩევნო დავების წარმართვა, რამეთუ მასში პროცედურული სახის მოვლენებსა თუ ფაქტებსაც შეიძლება შემდგომი მნიშვნელობა მიენიჭოს. არის შემთხვევები, როდესაც თითოეული ხმისთვის ბრძოლას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, და სასამართლოს როლი სწორედ ნე-

მამია ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

ბისმიერი პროცედურის შემოწმებაშია²⁰. საკონსტიტუციო სასამართლოს დონეზე დავის მასშტაბი და ხასიათი, ცხადია განსხვავებულია. ამ შემთხვევაში, სასამართლო აფასებს კანონის ან/და კანონქვემდებარე აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობას ანუ სასამართლოს უფლებები და ფარგლები თავისთავად ვრცელდებოდა და დღესაც ე.წ „საარჩევნო დავებთან“ მიმართებაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია საკმაოდ მდიდარი პრაქტიკა საარჩევნო დავებთან დაკავშირებით. ძირითად შემთხვევებში დავის საგანი სწორედ საქართველოს ორგანული კანონი, საარჩევნო კოდექსი გახლდათ. საინტერესოა, რომ სასამართლოს პრაქტიკაში არსებული საქმეები შინაარსობრივი მრავლაფეროვნებით საკმაოდ გამოირჩეოდა. სხვადასხვა დროს მოსარჩელები სასამართლოს სთხოვდნენ, „საარჩევნო გეორგრაფიის“ ანუ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების კონსტიტუციურობის შემოწმებას და შემდგომში ცესკოსთვის მინიჭებული უფლებამოსილების გაუქმებას საარჩევნო საზღვრების ნაწილობრივ დადგენასთან დაკავშირებით²¹, ასევე თვითმმართველი ქალაქე-

²⁰ მაგ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, თიანეთის რაიონში, გამარჯვება 1 ხმის უპირატესობით მოიპოვა თამაზ მეჭიაურმა, საარჩევნო დავა რომელიც რამდენიმე ბიულეტენის ბათილობასთან დაკავშირებით ოპონენტი საარჩევნო სუბიექტის, „ქართული ოცნების“ მიერ იყო ნარმართული უშედეგოდ დასრულდა. პირველი და სააპელაციო ინსტანციების მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული ლელა ქიტესაშვილის სარჩელი, რის შედეგადაც თამაზ მეჭიაური თიანეთის მერი გახდა.

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება №1/3/547 საქმეზე მოქალაქეები – უჩა ნანუ-აშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღ-

ბის მერობის კანდიდატების წარდგენის უფლების კონსტიტუციურობის შემოწმებას (იმ ნორმატიული შინაარსით, რომ საინიციატივო ჯგუფებს არ ჰქონდათ უფლება წარეგდინათ მერობისა და გამგებლობის კანდიდატები²²⁾ თუ სხვა.

კონსტიტუციის 60-ე მუხლის მე-6 ნაწილი როგორც სასამართლოს უფლებამოსილების დაუსაბუთებელი შეზღუდვა და საფრთხე თუ ახალი შესაძლებლობა?

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით, 60-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგვარად;

„დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, არჩევნების მომნესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული.“

შესაბამისი ცვლილებები შევიდა აგრეთვე, „საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში და ზემოაღნიშნული ჩანაწერი პირდაპირ გადავიდა მის 19-ე მუხლში. როგორც ვხედავთ, ამ ჩანაწერით საქართველოს კონსტიტუციით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები არჩევნების მომნესრიგებელ

მდევ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილება №3/3/763 საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი, (სულ 42 დებუტატი) – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

²²⁾ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №3/2/588 საქმეზე მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მამია ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

ნორმებთან მიმართებაში კი არ შეცვლილა, არამედ, ასე ვთქვათ შევონროვდა მისი *ratione temporis* ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით (შეცვლა მხოლოდ ამ გაგებით უნდა ვიგულისხმოთ). ანუ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კვლავინდებურად აქვს უფლებამოსილება განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი და ცნოს ნორმა არაკონსტიტუციურად თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, თუმცა შესაბამისი დათქმითა და დადგენილი წესის მიხედვით. მას ამ ჩანაწერით „დროითი იურისდიქცია“ შეზღუდული აქვს და მომავალში სასამართლო მის შემდგომ საქმიანობაში ვალდებული იქნება იხელმძღვანელოს სწორედ აღნიშნული პუნქტით.

რასაკვირველია, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და ფუნქციები სხვადასხვა ქვეყანაში არსებითად სხვადასხვაგვარი ვერ იქნება, და რეალურად დემოკრატიულ სახელმწიფოებში მათ შორის განსხვავებანი მართლაც, რომ ძალიან მცირე არის ხოლმე. თავისთავად ცხადია, რომ ე.წ. „სუპერვიზორული“ ფუნქცია არის ის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც საკონსტიტუციო ან უზენაეს სასამართლოს (ჩვენს შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს) გააჩნია ყველა სახელმწიფოში. ამ პრინციპის მიხედვით სწორედ სასამართლო უნდეს ნორმებს ზედამხედველობას და ამით ახორციელებს კონსტიტუციურ მართლმსაჯულებას. განსხვავებანი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარია, რიგ სახელმწიფოებში სასამართლოებს არ აქვთ კომპეტენცია საერთაშორისო ხელშეკრულებასთან ქვეყნის მიერთების კონსტიტუციურობა შეამონმონ, ზოგი (და პრინციპში უმეტესი) ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი „გადახედოს“ საერთო სასამართლოების მიერ

მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განაჩენებს და ა.შ. თუმცა, თითქმის არ არსებობენ ქვეყნები²³ თუ არ ჩავთვლით საქართველოს, რომელთა კონსტიტუცია საკონსტიტუციო სასამართლოს როლთან და უფლებამოსილებებთა დაკავშირებით „პირობით“ დათქმას აკეთებენ.

გარდამავალი და პირობითი დებულებები, ბუნებრივია ხშირ შემთხვევებში კონსტიტუციის არსებობის სასიცოცხლო ელემენტებიც კი შეიძლება იყვნენ. მათი ქვეყნის ძირითად დოკუმენტში არსებობა ჩვეულებრივი მოვლენას წარმოადგენს. მაგალითად: გარდამავალ დებულებებში საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი გარანტირებს ქვეყნის მისწრაფებას ევრო და ევროატლანტიკურ გაერთიანებებში. ჩანაწერის გარდამავალი ხასიათი იმას გულისხმობს, რომ ზემოაღნიშნული პირობების დადგომის შემდეგ იგი გაუქმებას უნდა დაექვემდებაროს. იგივე ფორმის ჩანაწერი გვხვდებოდა ძველი რედაქციის მე-2 და გვხვდება ახალი რედაქციის მე-7 მუხლში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფო ბრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“. თუმცა, გარდამავალი ხასიათის თითქოს „პირობით“ დებულება, საკონსტიტუციო მართლმასულების განმახორციელებელი ორგანოს შესახებ დებულებების მოწესრიგების ნაწილში ერთობ უცნაურ მოვლენას წარმოადგენს და იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რაც საზოგადოდ ცნობი-

²³ დაახლოებით 40 სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელიც ამ მხრივ დავამუშავე არ შეიცავდა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში „პირობით“ მუხლებს.

მამია ლურწკაია –

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით

ლია, ჩვენი კონსტიტუცია შეიძლება ამ მხრივ ჩაითვალოს,
როგორც ე.წ *Sui generis*.

ნორმასთან დაკავშირებით მსჯელობისას გასათვალის-
წინებელია მისი რეალური შინაარსი და ფარგლები, თუ რა
მასშტაბით შეიძლება იგი იქნეს წაკითხული. ნორმა ამბობს,
რომ „დაუშვებელია არჩევნების მომწესრიგებელი ნორ-
მის არაკონსტიტუციურად ცნობა.....“ ანუ იგი არ უთითებს,
რომ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის გასაჩივრების
შემთხვევაში სასამართლომ იგი წარმოებაში არ უნდა მიი-
ღოს, აღნიშნული პირდაპირ არ იყიდთხება ჩანაწერიდან. მე-
ტიც, შეიძლება ჩანაწერი ისეც იქნეს წაკითხული, რომ სა-
კონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ნორმის კონსტიტუ-
ციურობის თაობაზე მსჯელობა, ოღონდ ეკრძალება ნორმის
არაკონსტიტუციურად ცნობა, ანუ მან ყველა შემთხვევაში
ნორმა კონსტიტუციურად უნდა ცნოს, ან არაფერი უნდა მო-
იმოქმედოს, რადგან ჩანაწერის საწინააღმდეგოდ, არაკონ-
სტიტუციურად ვერ ცნობს. ბუნებრივია, გონივრული და კე-
თილსინდისიერი განმარტების შემთხვევაში, ბოლო დაშვება
უსარგებლო ჰიპოთეტიკადაც (აბსურდად) უნდა მივიჩნიოთ,
რამეთუ ის ყველანაირი იურიდიულ თვალსაზრისს ეწინააღ-
მდეგება, თუმცა საგულისხმოა, რომ წმინდა გრამატიკულ
დონეზე ამის დაშვება თავისუფლად არის შესაძლებელი. გო-
ნივრული და კეთილსინდისიერი განმარტებით კონსტიტუ-
ციური ჩანაწერი ვერც ისე უნდა იქნეს განმარტებული, რომ
საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პირობების არ-
სებობის შემთხვევაში, ასეთ ნორმასთან მიმართებაში სარჩე-
ლის წარმოებაში მიღება შეუძლია. ასეთ შემთხვევაში გამო-
ვა, რომ სასამართლომ სარჩელი წარმოებაში უნდა მიიღოს,

შემდეგ სპეციალურად უნდა დაელოდოს ვადას, რომლის დროსაც კონსტიტუციით დადგენილი ვადები და პირობები ამოინურება და შემდეგ განიხილოს, როდესაც დიდი ალბა-თობით შესაძლებელია ინტერესიც კი ჰქონდეს დაკარგული მხარეს, ხოლო გადაწყვეტილება (თუ გადაწყვეტილებით ნორმა არაკონსტიტუციურად იქნება ცნობილი) მხოლოდ შემდგომი არჩევნებისთვის იყოს პრეცედენტული. ასეთ შემთხვევაში, ეს ყველაფერი მხარეს, ცხადია დიდ ვერაფერ შვებას მოჰვერის და უფრო „უკან მიდევნებული ლამპარი“ შეიძლება იყოს.

განსაკუთრებით საინტერესო იყო საპარლამენტო კომისიის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს თავთან დაკავშირებით წარმოებული განხილვები. აღსანიშნავია ისიც, რომ კომისია განსაკუთრებით ბევრი კონსტიტუციონალისტისგან შედგებოდა. აღნიშნული ნორმის ინიციატორებმა (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და უმრავლესობის რამდენიმე დეპუტატმა) ჩამოაყალიბეს მოსაზრება, რომ აღნიშნული ჩანაწერი საარჩევნო სტაბილურობას შეუწყობდა ხელს. იმისათვის, რომ სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას ქვეყნისათვის უარყოფითი შედეგები არ გამოეწვია, არ დაებრკოლებინა საარჩევნო პროცესი და ამით არ დაეზარალებინა საქართველოს მოქალაქეთა ინტერესები აუცილებლად ჩაითვალა აღნიშნული ჩანაწერის გაკეთება ქვეყნის ძირითად კანონში. ასევე დაშვებული იყო რისკი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლებს შეგნებულად მიეღოთ არასწორი გადაწყვეტილება.

და მართლაც, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თუნდაც არჩევნების წინა დღეს რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადებამ შესაძლებელია, როგორც სამოქალაქო ასევე პოლიტიკური წრეები და ზოგადად ქვეყანა

მამია ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

ჩიხში შეიყვანოს. სხვა საკითხია, რომ ყველა ორგანო, ხელი-სუფლების ყველა შტო, ვალდებულია თავისი უფლებამოსი-ლების განხორცილებით ზიანი არ მიაყენოს ქვეყანას და სახელმწიფოს, ხოლო რაც შეეხება ზიანს, ფორმალურ დონე-ზე მათ უწესრიგობის წარმოშობა ყოველთვის ხელეწიფებათ. „შეკავება-განონასწორების“ მექანიზმის ეფექტიანობა ნაკ-ლებნილ შემთხვევებში იმაშიც მდგომარეობს, რომ ინსტი-ტუციას მართალია, უფლებამოსილება შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მან ამით არ უნდა ისარგებლოს ქვეყნის და სახელ-მწიფოს უპირატესი ინტერესებიდან გამომდინარე. უფლება-თა ზოგი რიგი, დაახლოებით წააგავს იმ „ნაგულისხმევ“ მდგომარეობას, როდესაც სახლში არსებული „ჩაის სერვიზი-დან“, რომლითაც არასდროს არავის უსარგებლია არც შენ უნდა ისარგებლო. იგი ე.წ. „დიდი სუფრისთვის“ ან ამ სიტუა-ციისთვის „ნაცნობი“ თემისთვის „სტუმრის“ ინსტიტუტის-თვის არის გათვლილი და განკუთვნილი, და ივარაუდება ფორმალურ დონეზე, რომ მასთან შეხება „არ შეიძლება“, გა-ნა იმიტომ რომ ამის გამო შეიძლება მშობლები გაწყობის, არამედ იმის გამო, რომ მიზანშეწონილობა და სხვა ასპექტე-ბი ამის საშუალებას არ იძლევიან. მაგალითად.: საქართვე-ლოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტს აქვს უფლებამოსილება, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწ-ყვეტილება და მთელი საქართველოს ციხეების მასშტაბით მყოფი ყველა პატიმარი *proprio motu* შეიწყალოს, თუმცა იგი ამას არ აკეთებს. არ აკეთებს, რადგან ოჯახში არსებული ყველა „ჩაის სერვიზიდან“ სარგებლობა არ შეიძლება, არის რაღაცები რასთან მიკარებასაც „მშობლები“ თუ სხვა ფაქ-ტორები კრძალავენ. საკონსტიტუციო სასამართლოსთან მი-

მართებაშიც იგივე მიმართება შეიძლება დავინახოთ. დიახ, მას ხელენიფება, თუ დაინახავს, რომ არჩევნების მომწესრიგებელი ესა თუ ის ნორმა არაკონსტიტუციურია ის ასეთად ცნოს (ეს ვალდებულების ტოლფასი ოფციაა), თუმცა ვალდებულება, რომ ამით უწესრიგობა არ იქნეს გამოწვეული ასევე მას აკისრია. კონსტიტუციური ნდობის მანდატი ასე გაიგება ყველგან, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომ „ნორმა კონსტიტუციურია, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ ცნობს მას არაკონსტიტუციურად“, „აქტი ძალაშია, თუ სასამართლო არ აქცევს მას ბათილად“, „პირი უდანაშაულოა, სანამ მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება“ „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (თუ საპირისპირო ან სხვა რამ არ დადგინდება)“. ამდენად, ვითარება/პრეზუმიცია, როდესაც გვაქვს მოცემულობა, რომ აქტი კონსტიტუციურია, სანამ მასზე საკონსტიტუციო სასამართლო არ იტყვის საპირისპიროს, პირდაპირ მოქმედებს საქართველოს სამართლებრივ სივრცეში მოქმედ ყველა აქტთან მიმართებაში. ამრიგად ეს იძლევა საფუძველს, რომ საარჩევნო სამართლის მომწესიგებელი ნებისმიერი ნორმა შეიძლება ერთ დღეს სასამართლომ, შესაბამისი საფუძვლების დადგენისას გააუქმოს და ბუნებრივია ეს ასევე შეიძლება გახდეს არჩევნების ჩაშლის ან ვერ ჩატარების საფუძველი. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ კონკრეტული ისეთი ნორმა ცნო არაკონსტიტუციურად, რის გარეშეც კენჭისყრა ფიზიკურად ვერ ჩატარდება.

ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ჩანაწერი, კანონის მიმღებებთა მიერ, ამდაგვარი და სხვა დასაბუთებით, გარკვეული საფრთხეების თავიდან ასარიდებლად იქნა მიღებული და იგი სხვა არგუმენტებითაც იქნა გამყარებული. თუმ-

მამია ლურწკაია –

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით

ცა, მისი მიღების მონინააღმდეგეთა არგუმენტაციაც წონა-დი იყო. როგორც კომისიის ფარგებში, ასევე მის გარეთ, რამ-დენიმე ცნობილი იურისტის, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლის მიერ, ეს ჩანაწერი საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული და რეალურადაც ნორმა თავისი შედგენილობით, რთულია კრიტიკული თვალით მის-თვის შეხედვის შესაძლებლობას არ ითვალისწინებდეს. არ-გუმენტების ერთი ნაწილი ეხებოდა იმას, რომ თუ სასამარ-თლოს ნორმასთან მიმართებაში სარჩელის მიღება და შესა-ბამისად წარმოების დაწყება შეეძლო, რატომ არ უნდა შეძ-ლებოდა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა და რატომ იზღუდებოდა გარკვეული პირობითა და ვადით. ასევე გაუ-დერებული იყო სხვა დამხმარე თუ დამოუკიდებელი არგუ-მენტებიც. მაგალითად.: საკონსტიტუციო სასამართლოს ყო-ფილი მოსამართლე ქეთევან ერემაძე წერს, „...ნორმები ავ-კარგიანობას ავლენენ მათთან შემხებლობისას. ამიტომ მიუ-ხედავად იმისა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის ნაკლოვა-ნებების განჭვრეტა, ძირითადად, წინასწარ შესაძლებელია არ უნდა გამოირიცხოს ისეთი ნორმების არსებობის ალბა-თობა, რომელთა სავარაუდო არაკონსტიტუციურობა გამოვ-ლინდება უკვე საარჩევნო პროცესში როდესაც ისინი უშუა-ლოდ გავრცელდება კონკრეტულ სუბიექტებზე. შედეგად მა-თი კონსტიტუციური კონტროლიდან სრულიად გაყვანა ნიშ-ნავს დაშვებას, არაკონსტიტუციურ ნორმებზე დაყრდნობით ჩატარებული არჩევნების ხელოვნური ლეგიტიმაციისა“²⁴.

²⁴ ერემაძე ქ., თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, თბილისი, 2018, 28-29.

დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს როლი განუზომლად დიდია ხელისუფლების დანანილების ქმედითობის უზრუნველყოფაში. ხელისუფლების დანანილების სისტემა, აგრეთვე მოიაზრებს ხელისუფლების მოპოვების პროცედურების წმინდად ჩატარებას, რისი წყაროც უპირველეს ყოვლისა არის არჩევნები. ქვეყანაში შესაძლო უწესრიგობის და შფოთის ძირითადი გამომწვევებ მიზეზებს, რიგ შემთხვევებში „თავშივე“ დაშვებული შეცდომები იწვევენ ხოლმე. არჩევნების პროცესში დაშვებული შეცდომები, შესაძლებელია როგორც სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს ასევე მოსახლეობასა და ზოგადად ქვეყანას ძვირფასად დაუჯდეს, ამრიგად, როგორც ფორმალურ ასევე შინაარსობრივ დონეზე სკულპულოზური პროცედურების ზედმინევნითი დაცვა, ყველა შესაბამისი პირობის დაკმაყოფილება ყველა შტოსა და ინსტიტუციის მიერ კრიტიკულად აუცილებელ მოთხოვნად რჩება დემოკრატიულ საზოგადოებებში. კონტროლისა და ბალანსირების მექანიზმის შესაძლო ნაწილობრივი მორღვევა, ასეთ სიტუაციებში, როგორიც კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 ნაწილში არის ფორმულირებული შესაძლებელია აშკარა და პირდაპირი საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს მომავალში. წმინდა ვინრო კონსტიტუციურ სამართლებრივი გამართლება, თუ რა შეიძლება ჰქონდეს აღნიშნულ ნორმას არსებითად შეიძლება გასაგები იყოს, ეს არის შესაძლო, სავარაუდო უწესრიგობის თავიდან არიდება და სხვა ფაქტორებიც, არჩევნების ჩაშლა და ა.შ. (რაც ზემოთაც იქნა ჩამოთვლილი), თუმცა გასაზრებელია რომ ამით შეიძლება ახალი უწესრიგობის წარმოსაქმნელად უფრო მეტი სივრცე დარჩეს. ცალსახად კონსტიტუციის ეს ჩანაწერი რისკის და

მამია ლურწკაია –

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით

საფრთხის შემცველად შეიძლება იქნეს მონათლული. შაიო-
სეული „შიში“²⁵ კონსტიტუციის შექმნისას, ბუნებრივი მამოძ-
რავებელია ყველა დროის კონსტიტუციის შემქნელთა მიერ,
თუმცა შიშები ობიექტურად უნდა იქნენ გაბათილებული. ის
შიში, რომ მოსამართლებმა შეიძლება განზრახ არასწორი
გადაწყვეტილება²⁶ მიიღონ, ან არჩევნების ჩატარებას შეიძ-
ლება ხელი შეუშალოს სასამართლოს გადაწყვეტილებამ უფ-
რო ლირებული უნდა იყოს, თუ ის რომ გამომჟღავნდეს არა-
კონსტიტუციური ნორმა თუკი იგი იარსებებს, და თუნდაც
არაკონსტიტუციური ნორმის აღმოჩენა დაჯდეს ის ფასი,
რომელიც არჩევნების ჩატარების გადადებას თუ სხვა მსგავს
მოვლენებს გამოიწვევს? მსჯელობისას, ამოსავალ ნერტილს
მაინც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რო-
ლისა და ფუნქციის სწორი გააზრება ნარმოადგენს. მისი ძი-
რითადი ფუნქცია კი არაკონსტიტუციური ნორმების აღმო-
ჩენას და გაუქმებას ნარმოადგენს. ამრიგად თუ თავის მხრივ
დასაშვებია არაკონსტიტუციური ნორმა არსებობდეს, რაიმე
პირობა ან ვადა, რომელიც მის დაფიქსირებას დააბრკოლებს
თავისთავად არის გაჯერებული არაკონსტიტუციური უღე-
რადობით. თუმცა ამ შემთხვევაში, საინტერესოა, რომ მოცე-
მული სახის ნორმა პირდაპირ კონსტიტუციაში გვაქვს. მო-
ცემული შეზღუდვის პირობებში პირები მოკლებულნი იქნე-
ბიან შესაძლებლობას, თავიანთი კონსტიტუციური უფლება,

²⁵ საუბარია ანდრაშ შაიოზე, იგი „ხელისულფების თვითშეზღუდ-
ვა“-ში საუბრობს შიშის ქმნილებების შესახებ, მისი აზრით კონსტი-
ტუციი მათ შორის იქმნება შიშის გამოც.

²⁶ ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ამ გამონათქვამის უკიდურესი
კონსტიტუციური მნიშვნელობითი სერიოზულობის არ არსებობა.

იდამონ ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე და მათი აზრით არაკონსტიტუციური ნორმის უფლების დამრღვევი ეფექტი დაანახონ სასამართლოს აშკარად ვერ იქნება რეალიზებული. თანაც მაშინ, როდესაც ამის საჭიროება სუბიექტებს ყველაზე მკვეთრად და მნვავედ შეიძლება პქონდეთ გამოხატული. სწორედ საარჩევნო პერიოდში ვლინდება ხოლმე ნორმათა ავკარგიანობა, როგორც ქეთევან ერემაძეს აქვს აღნიშნული, ამ დროს კითხულობენ პოლიტიკური პარტიები თუ დაინტერესებული პირები კანონმდებლობას უფრო დეტალურად და უჩინდებათ სურვილი ნორმის სასამართლო რენტგენიზაციისაა, და ამ შემთხვევაში სასამართლოსთვის „ხელ-ფეხის შეკვრა“ შესაძლებელია ძალიან საზიანო აღმოჩნდეს, როგორც თავად სასამართლოსთვის ასევე პირების-თვის/პირთა ჯგუფისთვის. ამასთანავე, შესამჩნევია, რომ კონსტიტუციური ჩანაწერი, რომელიც ხაზს უსვამს, რომ არ შეიძლება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, და შემდეგ პირობას აყენებს რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია. როგორ შეიძლება ძირითადი უფლებების დამცველმა დოკუმენტმა აკრძალოს მასთან შეუსაბამო ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადება დროითი იურისდიქციით? თუ ნორმა არაკონსტიტუციურია დღეს, ის არაკონსტიტუციური იქნება ხვალაც და ზეგაც, მანამ სანამ აღნიშნული არ იქნება დამოწმებული. ხოლო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მას შემდეგ, რაც მისადმი ინტერესი ამოინურება ან შენელდება, ცხადია, ბუნებრივია დადებითი ფაქტი იქნება, მაგრამ ეს თავისთავად შედეგობრივად ღირებულებას მოკლებული შეიძლება იყოს მთლიანი კონტექსტისთვის. აღნიშნული ჩანაწერი უშვებს უფლების დარღვევის განგრძობადი ფაქტის არსებობის შესაძლებლობას, ჩანაწერი ამბობს, რომ შეიძლება ნორმა მართლაც არაკონსტიტუციური იყოს, თუმცა მის გაუქმე-

მამია ლურწკაია –

**საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები
არჩევნების მომწესრიგებელ ნორმებთან მიმართებით
საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მიხედვით**

ბაზე ერთგვარ მორატორიუმს აცხადებს/აწესებს. ძირითადი უფლებების საწინააღმდეგოდ მორატორიუმის დაწესება კი თავად კონსტიტუციის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ შეიძლება ჟღერდეს. არ შეიძლება ძირითადი უფლებები მექანიზმების განსაზღვრული კონსტიტუციური მოთხოვნებისა და მკაფიოდ დასაბუთებული აუცილებელი საჭიროებების გარდა კომპრომისზე წავიდნენ. კონსტიტუციის აღნიშნული დღევანდელი რეგულაცია გარკვეულწილად ორმაგ სტანდარტის დაწესებას ემსგავსება და ესადაგება ბლეზ პასკალის გამონათქვამს. „ის რაც ჭეშმარიტებად ითვლება პირენეების იქით, შეცდომად ითვლება პირენეების აქეთ“. მწყობრი კონსტიტუციური ლოგიკის მიხედვით თუ ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობის ღირსი შეიძლება იყოს, იგი ასეთად უნდა იქნეს შერაცხული მაშინათვე, როდესაც ამის შესაბამისი პირობები იქნება შექმნილი დროითი ან/და სივრცითი ან სხვაგვარი შეზღუდვა ლოგიკურია, რომ არ უნდა არსებობოდეს.

პირადი ცხოვრების ხელშეხებლობა ციფრულ სამყაროში

მარიამ კახიძე
მარიამ კაპანაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
მე-3 კურსის სტუდენტები

შესავალი

მოცემული ნაშრომი შეეხება ისეთ პრობლემურ და აქტუალურ საკითხს, როგორიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში, მისი დაცვის ბერკეტებსა და დარღვევათა სამართლებრივ შეფასებას.

ნაშრომი დაეყრდნობა კვლევებს, ასევე როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურას. აღნიშნული საკითხი განხილული იქნება სასამართლო პრაქტიკის შეფასებებთან ერთად.

კომპიუტერული ტექნიკისა და ტელეკომუნიკაციების განვითარებით განპირობებულმა ინფორმაციულმა რევოლუციამ მიგვიყვანა ინტერნეტ სივრცის ელვისებურ განვითარებამდე, რაც მომავალში წარმოშობს გიგანტურ საინფორმაციო მაგისტრალებს და გამოიწვევს საზოგადოების გლობალიზებას. განვითარების არსებული ტენდენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის ფუნდამენტური უფლებების დაცვას და კერძოდ, პიროვნების ხელშეუხებლობას, რადგან არასოდეს ყოფილა ასე ადვილი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გზით საჯარო თუ კერძო სექტორში პიროვნე-

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

ბის ხელშეუხებლობის ფუძემდებლური პრინციპის ხელყოფა, როგორც დღეს.

ბოლო წლებში, ონლაინ მედიასივრცეში გავრცელებული პროცესების ფონზე, საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მოლოდინი და დაცულობა.

ბუნებრივია, ნებისმიერი მოქალაქის აღმფოთებას ინვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა. ამასთან, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა თავისუფლებისა და დემოკრატიის დედაბოძია. როდესაც ამ უფლებების რღვევა იწყება, ჩნდება ტირანიის ჩანასახი.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თემატიკა და პრობლემატიკა თანამედროვე სამართლის თეორიისა და პრაქტიკის კონტექსტში – განსაკუთრებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში-ძალზედ აქტუალური საკითხია. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ამჟამად არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ინტენსიურად ვითარდება, როგორც ცალკე აღებული ქვეყნების ფარგლებში, ისე რეგიონალურ დონეზეც. შეიძლება იმის მტკიცება, რომ პერსონალურ მონაცემთა სამართლის განვითარების დინამიკა თითქმის სარკისებურად ასახავს ადამიანთა პირად ცხოვრებაში საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართულობის განუხრელ ზრდას.

ევროპის სასამართლოს პრაქტიკამ დაამკვიდრა პირადი ცხოვრების ფართო გაგება. იგი არ ფარავს მხოლოდ პიროვნების შინაგან სამყაროს, ე.წ. „შინაგან წრეს“, არამედ პირის შესაძლებლობას იქონიოს კონტაქტი გარესამყაროსთან, სხვა ადამიანებთან. პირადი ცხოვრების კატეგორიაში სასამართლომ აგრეთვე მოაქცია პირის პროფესიული საქმინო-

ბის ფარგლებში დამყარებული ურთიერთობებიც. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში, სადაც ციფრული კომუნიკაციები კომუნიკის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა, რაც აადვილებს მთელ რიგ ოპერაციებს, დაცული იყოს ადამიანის პირადი ცხოვრება.

ავტორთა მიზანია, განიხილოს ზემოთ აღნიშნული საკითხი საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში, გააკეთოს აქცენტი მთავარ პრობლემურ და აქტუალურ საკითხებზე, წარმოაჩინოს პირადი ცხოვრების დაცვის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბების სამართლებრივი, ინსტიტუციური ან, თუნდაც, პოლიტიკური გამოწვევები, დაასაბუთოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო დონის უზრუნველ-საყოფად გასატარებელი ცვლილებების აუცილებლობა სწორედ ადამიანის უფლებათა სამართლის მიმდინარე განვითარების ჭრილში. მიაწოდოს მკითხველს ახალი შეხედულებები და მიდგომები, რათა ჩამოყალიბონ სწორი პოზიცია.

1. პირადი ცხოვრების, როგორც ტერმინის, სამართლებრივი განმარტება

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში. საერთაშორისო კონვენციებით აღიარებული ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის იდეა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლითა და სხვა საკანონმდებლო აქტებითაა განმტკიცებული.

ის, რომ ინდივიდს თავისი პიროვნებისა და საკუთრების დაცვის სრული უფლება აქვს, უძველესი პრინციპია. მიუხე-

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

დავად მისი სიძველისა, ეს პრინციპი დროთა განმავლობაში მუდმივად ახლდებოდა და მისი ხელახალი ინტერპრეტირება ხდებოდა.

პირადი ცხოვრება გულისხმობს ინდივიდის ცხოვრებისა და განვითარების კერძო სფეროს. უფლება პირად ცხოვრებაზე, ერთი მხრივ, ნიშნავს ინდივიდის შესაძლებლობას, პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ხოლო, მეორეს მხრივ, იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირის ჩარევისაგან. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, პირადი ცხოვრება ფართო ცნებაა, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას, თუმცა იგი აუცილებლად მოიცავს ინდივიდის უფლებას ცხოვრობდეს არჩეული პირადი ცხოვრებით და პქონდეს სხვა ადამიანებთან, არალეგიტიმური კონტროლის გარეშე, ურთიერთობისა და კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა.¹

ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, რაც გულისხმობს მარტოდ დარჩენისა და სხვებისგან განცალკევების უფლებას. პიროვნების კერძო სფერო, რომლის მოწყობაც მხოლოდ მას, სახელმწიფო კონტროლისგან დამოუკიდებლად, სხვათა თვალთახედვისგან ფარულად შეუძლია,²

¹ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა

და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2015, 471.

² Hummerich, Boecken, Duwell, Anwaltkommentar, Arbeitsrecht Band 2, 2008, S. 3075.

მის ინდივიდუალურ განკარგულებაში უნდა იყოს. „პირადი სფეროს“ დაცვაში იგულისხმება ინდივიდის ცხოვრების წარმართვის ავტონომიური სფეროს აღიარება, რომელშიც იგი საკუთარ თავთან რჩება და საკუთარ ინდივიდუალურობას ავითარებს სხვათა მონაწილეობის გარეშე“.³

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი „არა მხოლოდ ავალდებულებს სახელმწიფოს, თავი შეიკავოს შეზღუდვისგან - ამ ძირითად ნეგატიურ ვალდებულებასთან ერთად, შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულება პირადი და ოჯახური ცხოვრების ეფექტიანი პატივისცემისა“.⁴

1976 წელს კომისიამ პირადი ცხოვრება შემდეგნაირად განმარტა: მრავალი ანგლოსაქსური და ფრანგი ავტორების-თვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება არის უფლება პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობისა, უფლება, ყოველმა ადამიანმა იცხოვროს თავისი სურვილის მიხედვით, იყოს საზოგადოებისგან დაცული... კომისიის აზრით, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განმარტება აქ არ მთავრდება. ის მოიცავს ასევე სხვა ადამიანებთან განსაკუთრებული ემოიციური ურთიერთობების დამყარებას.⁵

³ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოვადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი, 2009, 148-149.

⁴ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2015, 471.

⁵ C. Ovey and R. White., *The European convention on human rights*, Oxford University, 2002, 220.

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

ევროსასამართლომ ნიმიტცის საქმის⁶ განხილვის დროს განაცხადა: „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა ძალზე შეზღუდული იქნებოდა ამ კონცეფციის შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარესამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა აგრეთვე უნდა მოიცავდეს ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებასხვა ადამიანებთან.“⁷

კლეიტონი და ტომილსონი მიიჩნევენ, რომ პირადი ცხოვრების პატივისცემა და ხელშეუხებლობა მოიაზრებს ადამიანის მორალურ და ფსიქიკურ ერთიანობას, პერსონალურ იდენტობას, პერსონალურ მონაცემებს, ინტიმურ ცხოვრებას, და პირად ან კერძო სფეროს. ფსიქიკური ჯანმრთელობა პირადი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განაცხადა, რომ შესაძლოა „პირადი ცხოვრება“ საკმაოდ ფართო ცნებაა იმისათვის, რომ მისი ზუსტი განმარტება განვსაზრდვროთ, თუმცა ის აუცილებლად მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ელემენტებს, როგორიცაა, გენდერული იდენტობა, სახელი, სექსუალური ორიენტაცია და ინტიმური ცხოვრება.⁸

პირადი ცხოვრების კატეგორიაში სასამართლომ აგრეთვე მოაქცია პირის პროფესიული საქმინობის ფარგლებში დამყარებული ურთიერთობებიც. სახელმწიფოს ან მესამე პირის მიერ პირადი ინფორმაციის შეგროვება ითვლება პი-

⁶ იგივე., 220.

⁷ იგივე., 220.

⁸ იგივე., 220.

რად ცხოვრების არეალში შეჭრად. პირადი კომუნიკაციების დარღვევა ამ კომუნიკაციის შინაარსის მიუხედავად ასევე ხვდება მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში. სახელმწიფო ორგანოში შენახულ საკუთარ პირად მონაცემებზე ხელმისაწვდომობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ნაწილია. სქესობრივი ურთიერთობები, მათ შორის ორიენტაცია, პირის ინტიმურ სამყაროს წარმოადგენს და შესაბამისად მასში ჩარევა უფლების დარღვევად ჩაითვალა.⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოიშველია „პირადი ავტონომია“, როგოც კონვენციის მე-8 მუხლით დაცულია თითოეული ინდივიდის პირადი სფერო, მისი, როგორც ინდივიდუალური ადამიანის, იდენტურობის დეტალების დადგენის უფლების ჩათვლით. თავად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა შინაარსის მიხედვით შეიძლება რამოდენიმე ძირეულ ელემენტად დაიყოს: პირადი ინფორმაციის შეგროვება დამუშავება და შენახვა; სქესობრივი ურთიერთობების თავისუფლება; სახელის უფლება; ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა.

2. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლების იტორიული საფუძვლები

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქვს. საინეტერსოა ანალიზი, თუ, როდის გაჩნდა პირველად საუბარი იმაზე, რომ ადამიანს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება?

⁹ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2005, გვ. 48. <http://www.nplg.gov.ge>

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

როგორი ფორმით იყო ის? სად წარმოიშვა და როგორია მისი ევოლუცია?

უძველესი დროიდან მოყოლებული პირადი ცხოვრების კონცეფცია ჩამოყალიბდა სხვადასხვა ქვეყანაში. მისი რეგულირების მცდელობა განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო პერიოდში. ეს უშუალოდ უკავშირდება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას და ორგანიზაციებისა და კომპანიების მონაცემების ზრდას. გარდა ამისა მონაცემთა ბაზრის ღირებულება არის დამატებითი საკითხი, რომელიც არ-თულებს საერთაშორისო მარეგულირებელ კონსენსუსს.¹⁰

პირადი ცხოვრების ცნების შინაარსი პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა სივრცის შემადგენელი ნაწილია, რომლის საზღვრების კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პიროვნებისა და სახელმწიფოს ინტერესთა ურთიერთობით განისაზღვრებოდა. ამიტომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ისტორიულად ადამიანის უფლებათა წარმოშობის და განვითარების საერთო პროცესთან, სმარტლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნასთანაა დაკავშირებული.¹¹

მართალია, მეცნიერები ხშირად მსჯელობენ „პირველ-ყოფილ თანასწორობაზე“, მაგრამ გვაროვნული წყობილების დროს მოქმედი ე.წ. „მონონორმებით“ თემის ინტერესი და ინდივიდის ინტერესი ერთმანეთთან იყო გაიგივებული და მცირედი სივრცეც არ რჩებოდა ინდივიდს თავისუფლებისთვის.

¹⁰ Mendel p., puddephatt A., Wagner B., Torres D., Etude Mondiale Sur, Le respect de la vie privée sur l'internet et la liberté d'expression, collection unesco sur la liberté de l'internet, 2013, 19.

¹¹ ცაცნაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი პრობლემები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998 წლის მეოთხე კვარტალი, 51.

ფეოდალიზმის ხანაში კერძო საკუთრებაზე დამკვიდრებული ურთიერთოებების გარკვეული ნაწილი საახელმიწიფოს, საზოგადოების ან ეკლესიის მხრიდან რეგულირების გარეშე ვითარდებოდა. ურთიერთობათა ეს ნაწილი ქმნიდა „თავისუფლებათა სივრცეს“, სადაც შენარჩუნებული იყო „პირადი ცხოვრების“ ელემენტები. შუა საუკუნეების კორპორაციები (მხედართა და მონაზონთა ორდენები და სხვა მათი მსგავსი ორგანიზაციები) ის საზოგადოებრივი ინსტიტუტები იყო, რომლებიც თანასწორობის იდეის დეკლარირებას ახდენდნენ. ადამიანის უფლებების განვითრების საეტაპო აქტებად ითვლება 1215 წლის „თავისუფლებათა“ დიდი ქარტია“, 1628 წლის „პეტიცია უფლებათა შესახებ“, 1679 წლის „ბილი უფლებათა შესახებ. ამასთან, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე დიდი გავლენა იქონია ქრისტიანობის მიერ დამკვიდრებულმა ღვთის წინაშე ადამიანთა თანასწორობის იდეამ. თანასწორობის შიდაკორპორაციული და შიდაკონფესიური ცნებების გავწითარებამ ხელი შეუწყო ჯ. ლოკის, პ. გროციუსის, შ. მონტესკიეს, უ. რუსოს, ბ. სპინზასა და სხვათა მიერ ადამიანის უფლებათა პრიორიტეტულობის თეორიული იდეების დასაბუთებას. მათ პრაქტიკულ განხოციელებად უნდა ჩაითვალოს „ბილი უფლებათა შესახებ“ და საფრანგეთის 1789 წლის „ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. ორივე აქტი ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგია და გამოხატავს ინდივიდის „ნეგატიურ“ თავისუფლებას, ანუ თავისუფლებას ყველაგან და ყველაფერში, რაც ლიტერატურაში „პირველი თაობის უფლებებად“ არის ცნობილი. სწორედ ასეთი „ნეგატიური“ უფლებების ერთობლიობამ შეადგინა „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება“.¹²

¹² ცაცანაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამარ-

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

ადამიანის „უფლებათა და თავისუფლებათა სივრცის“ განსხვავებული შინაარსი დაამკვიდრა კომუნისტურმა იდე-ოლოგიამ. კერძო საკუთრების უარყოფამ მინიმუმამდე და-იყვანა ადამიანთა პირადი ურთიერთობების მატერიულური საფუძველი. მარქსის პოზიტიური კონცეფცია ამტკიცებდა, რომ უფლებებს ადამიანს სახელმწიფო „ჩუქნის“ და ამიტომ სახელმწიფოს შუღლია და ვალდებულია განსაზღვროს ადა-მიანთა უფლებების მოცულობა და შინაარსი.¹³

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ფორმალური, იურიდიული დაცვის მექანიზმები პირველად მეოცე საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა. ტერმინი „privacy“ სწორედ აქედან განვითარდა. თუმცა, უძველეს დროშიც არსებობდა ის ისტორიული და ინტელექტუალური საფუძვლები, რაც შემდგომ იურიდიულ მექანიზმებს დაედო საფუძვლად. ბერძნული და რომაული პოლიტიკური ფილო-სოფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს სწორედ კერძო სფეროს ცნების დადგენა და მის დაცვის ბერკეტების ჩამო-ყალიბება წარმოადგენდა. სოკრატესა და არისტოტელეს დროიდან მომდინარეობს დისკუსიები პიროვნებისა და სა-ხელმწიფოს როლის შესახებ, რამაც გარკვეულად გამიჯნა კერძო და საჯარო სფეროები.¹⁴

ამერიკაში, ერთ-ერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში მოსამართლემ განმარტა, რომ ადამიანს აქვს მარტო დარჩე-

თლებრივი პრობლემები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998 წლის მეოთხე კვარტალი, 52.

¹³ იგივე, 52.

¹⁴ ოქროუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფ-ლების ინსტიტუტი, 2005, 9.

ნის უფლება (to be let alone).¹⁵ რაც ფართო გაგებით უნდა გავიგოთ, ანუ მოცემული დებულების მიხედვით, ადამიანს უფლება აქვს იყოს მარტო იმ ვარაუდით, რომ მისი პირადი ცხოვრება იქნება დაცული. მარტო დარჩენის უფლებაზე (The right to be alone), ასევე საუბარია თომას ქულის ტექსტში. 1873 წელს გამოქვეყნებულ ფიცჟეიმს სტეფანის ნაშრომში საუბარია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე. პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის სამართლებრივი დაცვის თეორიულ საფუძველს უორენი და ბრანდეისი პირველ რიგში საერთო სამართლის სფეროში ეძებდნენ.¹⁶ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით. მოგვიანებით – 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც ითვალისწინებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. მსგავს უფლებას, თითქმის ყველა ქვეყნის კონსტიტუცია ითვალისწინებს. მაგ.: თურქეთის რესპუბლიკის 1982 წელს მიღებული კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. საქართველოში, პირველად პირადი ცხოვრების დაცვაზე საუბარი იყო 1921 წლის კონსტიტუციაში. ამავე კონსტიტუციის 22-ე მუხლის მიხედვით: „პიროვნება ხელშეუვალია; არ შეიძლება შეპყრობილ ან სხვამხრივ თავისუფლებას მოკლებულ და პირადად გაჩერეკილ იქნეს ვინმე, თუ არ სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს დასაბუთებული ბრძანების ძა-

¹⁵ ვეატონი პეტერსის წინააღმდეგ, *WHEATON v. PETERS*, (U.S. Supreme Court January 1834), 591.

¹⁶ ცაცანაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი პრობლემები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998 წლის მეოთხე კვარტალი, 54.

ლით“. 28-ე მუხლით კი, იკრძალებოდა ბინის გაჩერეცვა, ამისთვის საჭირო იყო სასამართლოს დადგენილება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.¹⁷

3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ელემენტები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მიხედვით

ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია იცავს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. კონვენციის მე-8 მუხლი განმარტავს: „1. ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. 2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.

როგორც კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით ჩანს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა რამოდენიმე ელემენტისაგან შედგება. ესენია: 1. პირადი ცხოვრება; 2. ოჯახური ცხოვრება; 3. საცხოვრებელი ადგილის უფლება; 4. მიმოწერა.

¹⁷ ჯგუფების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარეთ ასევე საჯარო სამსახურის მიერ და საერთაშორისო ასპექტები, თბილისი, 2012, 5.

3.1. პირადი ცხოვრება

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის მიხედვით: „ არავის მიმართ არ შეიძლება თვით-ნებური ჩარევა მის პირადსა და ოჯახურ ცხოვრებაში, თვით-ნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლო-ბის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პა-ტივისა და რეპუტაციისა. ყოველ ადამიანს აქვს უფლება და-ცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისა-გან.“¹⁸ როგორც უკვე აღინიშნა, ევროპის სასამრთლოს პრაქ-ტიკამ დაამკვიდრა პირადი ცხოვრების ფართო გაგება. იგი არ ფრავს მხოლოდ პიროვნების შინგან სამყაროს, არამედ მოიცავს ინდივიდის შესაძლებლობას იქონიოს კონტაქტი გა-რე სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან.

პირადი ცხოვრების ზუსტი დეფინიცია არ გვაქვს მო-ცემული. მისი განსაზღვრის შესახებ არსებობს გარკვეული „მითითებები“ სხვადასხვა სასამართლო პრაქტიკიდან.¹⁹ იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც ფიზიკური და სულიერი სფერო, რომელიც კონტროლირდება თვით პიროვნების მიერ და თავისუფალია ყოველგვარი გარეგანი ჩარევისგან. ცხოვ-რებაში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანის შესა-ხებ სავსებით უტყუარი და ნამდვილი ცნობების გამუღავნე-ბაც კი აკრძალული უნდა იყოს სასჯელის მუქარით. რუსი მეცნიერის, სერგეევსკის მიერ მრავალი წლის წინ გამოთ-

¹⁸ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, General Assembly resolution 2017 A, პარიზი, 1948, მუხლი 12.

¹⁹ ჯგურენაია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გა-რანტიული საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, თბილი-სი, 2012, 8.

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

ქმულმა ამ მოსაზრებამ, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ჩვენს ინფორმაციულ საუკუნეში. სიტყვა საიდუმლო ეს არის „რასაც სხვებს არ უმუდავნებენ, გარეშეთაგან დაფარული რამ, რაც მხოლოდ ზოგმა იცის“. პირადი ან ოჯახური ცხოვრების საიდუმლოს წარმოადგენს ცალკეული პიროვნების ცხოვრება საზოგადოების, სახელმწიფოს „თვალს მიღმა“. ეს არის ეს აზრები, შეხედულებები, ორიენტაციები, ჩანაწერების, დღიურები, დოკუმენტები, პირადული და ინტიმური ცხოვრების ის დეტალები, რომლებსაც ერთი კონკრეტული ადამიანისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და არ სურს საზოგადოების განსჯის საგნად აქციოს იგი. პირადი და ოჯახური ცხოვრების ის დეტალები, რომელიც ერთი ადამიანისთვის საიდუმლოს წარმოადგენს, მეორემ შეიძლება საგაზითო პუბლიკაციის თემად აქციოს, ამიტომ, დანაშაულის კვალიფიკაციისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება „საიდუმლოთა“ იმ ნუსხას, რომლის უკანონო ხელყოფაც დააყენებს ხელმყოფის პასუხისმგებლობის საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ „პირადი საიდუმლო“ და „პირადი ცხოვრების საიდუმლო“ განსხვავებული ცნებებია. „პირადი საიდუმლო“ შეიძლება იყოს ცნობები ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროდან. მაგ.: ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული. პირადი საიდუმლოს გამუდავნებას არ შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს პიროვნების ცხოვრებას. გაცილებით შეზღუდულია „პირადი ცხოვრების საიდუმლოს“ ცნება. „პირადი ცხოვრების საიდუმლო“ ეს არის კერძო ცხოვრების ისეთი ინტიმური მხარეები, რომელთა ოდნავ გულგრილი და უხეში შეხება აუტანელ ტანჯვას გამოიწვევს“. განარჩევენ პირადი და ოჯახური ცხოვრების ორ სახეს. პირველი, ეს არის საიდუმლო, რომელიც მხოლოდ ერთ

ადამიანს ეკუთვნის, მეორე კი - პროფესიულად მინდობილი სადიუმლოებები, ანუ ის ფაქტები, რომელიც მიანდეს, ან ცნობილი გახდა სხვა პირისათვის პროფესიული მოვალეობის შესრულებისას და რომლის გახმაურებამაც შიძლება გამოიწყოს მიმნდობის კანონიერი უფლებებისა დაინტერესების შეღახვა.²⁰

თავად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც შინაარსის მიხედვით შეიძლება რამოდენიმე ელემენტად დაიყოს:

პატივი და ღირსება:

ადამიანის პატივი და ღირსება პირადი ცხოვრების უფლებით დაცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიკეთეა. ამ სიკეთის კერძოსამართლებრივი დაცვა ტექნოლოგიურ და ინტერნეტებოქაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რადგან უნდა დადგინდეს უპირატესობა, ერთი მხრივ, პერსონალური მონაცემების დაცვას, მეორე მხრივ კი, საზოგადოების ინტერესს, მიიღოს ინფორმაცია. უნდა განისაზღვროს, როგორია კერძო სფეროს დაცვის ფარგლები, სად იწყება და წყდება საზოგადოების ინფორმირების ინტერესი.²¹

ადამიანის პატივსა და ღირსებასთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე რეპუტაციის ლეგიტიმური დაცვა. რეპუტაციის დაცვის ნიადაგზე აზრის გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვაც კანონიერია თუ მის რეალურ მიზანს წარმოადგენს ლეგიტიმური რეპუტაციის დაც-

²⁰ შაყულაშვილი თ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არსი და მნიშვნელობა, სამართალი, №12, 2001, 48-49.

²¹ ბიჭია მ., პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა ინტერნეტსამყაროში, IINSO 2017, მერვე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, 1.

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

ვის ინტერესი.²² პირის რეპუტაციას დიდი ზიანი შეიძლება მიადგეს სოციალური ქსელების მეშვეობით.

**ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პირადი
მონაცემები**

ზოგადი წესის შესაბამისად პირის სამედიცინო ინფორმაცია პირადი საიდუმლოს კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ასეთი ინფორმაციის გამუღავნება დასაშვებია დანაშაულის ეფექტურად გამოძიების და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად. ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ თითოეული ასეთი შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იქნეს განხილული ვითარების და კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე.²³

სხეული და სიშიშვლე

სასამართლოს განმარტებით, ინდივიდის ფიზიკური ხელშეუხებლობა, პირველ რიგში, გულისხმობს პირის სხეულს, რომელიც ადამიანის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. პირის თანხმობის გარეშე მის სხეულთან მიმართებით განხორციელებული ნებისმიერი ხასიათის სამედიცინო მანიპულაცია, რაოდენ მცი-

²² გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები, თავისუფლების ინსტიტუტი, რედ. სოზარ სუბარი, თბილისი 2004, 40.

²³ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 51.

რე მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ის, ითვლება პირად ცხოვრებაში ჩარევად.²⁴

პირადის ცხოვრების ხელშეუხებლობაზე საუბრისას საინტერესოა გავარკვით, რა წარმოადგენს პირად საიდუმლოებას. პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც იცავს ამა თუ იმ ფიზიკური პირის პერსონალურ მონაცემებს, ხოლო პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს თვით ის პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში.²⁵

3.1.1. პირადი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან წარმოჩნდა გლობალური ინტერნეტსივრცის საფრთხეები: პორნოგრაფიული მასალების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის, ოჯახის საიდუმლოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების, შეურაცხმყოფელი გამონათქვამების, დომენური სახელების უკონტროლო განაწილების, პოლიტიკურ სივრცეში თვითრეგულირებადი ინტერნეტ-პოლიტიკისა თუ სხვა მავნე კონტექსტის სახით. ამასთან, მთავრობების მიერ

²⁴ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი, 2017, 94.

²⁵ ინფორმაციის თავისუფლება, სკოლის სფერიზიკა, თავისუფლების ინსტიტუტი, თბილისი, 2005, 23.

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

კიბერსივრცის რეგულირების პროცესი 1998 წლიდან იწყება (აშშ, ევროპის ქვეყნები).²⁶

დღეს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროში, ინტერნეტი ქმნის ორი სახის გამოწვევას:

1. პირველი წარმოქმნება კერძო სექტორში, სადაც კომუნიკაციები web საიტების მიერ გროვდება დიდი მოცულობის პირადი ინფორმაცია კონკრეტულ პირებსა და ჯგუფებზე (მაგალითად, საძიებო, სავაჭრო და სხვა ინტერნეტკომპანიების მიერ). შესამისად, აღნიშნული ინფორმაციის გამოყენების რეგულირების და კონტროლის საჭიროება მნიშვნელოვანი ხდება;

2. მეორე, წარმოქმნება სახელმწიფო სექტორიდან. აღნიშნული მოიცავს თითოეული მოქალაქის პირად ინფორმაციას, რომელიც გროვდება სახელმწიფო უწყებების მიერ. ამ პროცესში ფორმირდება უზარმაზარი მოცულობის პერსონალური ინფორმაცია.²⁷

სახელმწიფო მოხელეთა მიერ პირის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და გამოყენება მისი თანხმობის გარეშე წამოჭრის პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხს. პირადი ცხოვრების საკითხს ასევე უკავშირდება სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული პირადი ინფორმაციის გაცნობის შეუძლებლობა. როგორც აღინიშნა, პირადი ცხოვრება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ „შიდა“ წრით. პირადი ცხოვრება ასევე მოიცავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობას, მათ შორის სამსახურეობრივ ურთი-

²⁶ აბულაძე რ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2016, <http://kvira.ge/243890>

²⁷ აბულაძე რ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, 2016, <http://kvira.ge/243890>

ერთობებსაც გარკვეულ ფარგლებში. ყოველდღიურ ცხოვ-
რებაში პირს უწევს გარკვეული საქმიანობის წარმართვა,
ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, საზოგა-
დოების სხვა წევრებთან, რაც ასევე ექცევა პირადი ცხოვრე-
ბის პატივისცემის უფლების სფეროში. ევროპული სასამარ-
თლოს განმარტებით, ასეთი ურთიერთობების შესახებ ან ინ-
დივიდის სხვა პირადი მონაცემების სისტემატურად შეგრო-
ვება და შენახვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არის
პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვა, ამი-
ტომ იგი ჯეროვნად უნდა იყოს გამართლებული და დასაბუ-
თებული. იგივე ვალდებულებები ეკისრება ხელისუფლების
ორგანოებს, თუნდაც პირადი მონაცემები შეგროვებული
იყოს საჯარო ადგილებში, ეხებოდეს ექსკლუზიურად პირის
პროფესიულ ან საჯარო საქმიანობას, პირის გადაადგილების
მარშრუტს ან მის ადგილსამყოფელს, ასევე გულისხმობდეს
პირის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას თუნდაც უახლოესი
სისხლით ნათესავისთვის, ან იყოს პირის ბიოლოგიური
იდენტიფიცირების საშუალება.²⁸

პირად მონაცემთა დამუშავება არის მონაცემთა მი-
მართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ: შეგ-
როვება, ჩანერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო ან ვიდეოჩანე-
რა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გა-
მოყენება ან გამუდავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცე-
ლების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით,
დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკა, წაშლა ან განადგუ-
რება. მონაცემთა დამუშავება მოიცავს პირადი მონაცემების

²⁸ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პა-
ტივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი,
2017, 69.

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ მოქმედებას. მაგალითად, შეხვედრაზე მონაწილეთა სიის წარმოება, დაწესებულებაში შემსვლელ პირთა აღრიცხვა, სტუდენტების, პაციენტების ან დაზღვეული პირების შესახებ მონაცემების აღრიცხვა, მაღაზიის მიერ საკუთარი მომხმარებლების საკონტაქტო ინფორმაციის შენახვა და სხვა.²⁹

ხშირად სხვადასხვა ორგანოები ადამიანის შესახებ პირად ინფორმაციას აგროვებენ. ასეთია მაგალითად აღნერა. ასეთი ინფორმაციის შეგროვება პირის თანხმობის გარეშე ხვდება ევროკონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სფეროში. თუმცა, არსებობს ამავე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებიც. პირის თანხმობის გარეშე ინფორმაციის შეგროვება დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში: 1. დანაშაულთან ბრძოლა და გამოძიების ინტერესები; 2. ევრონული უსაფრთხოება და ეროვნული უშიშროება.³⁰

კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო ამონმებს თავად ინფორმაციის მოცულობას და ადგენს, რამდენად აუცილებელი იყო დემოკრატიული საზოგადოებისათვის ამ შეზღუდვის დაწესება.³¹

პირადი ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა

ევროპის სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე პირადი ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემა ითვლება

²⁹ <https://personaldata.ge/ge/for-public-bodies/monatsemta-damushavebis-printsiubebi-da-safudzvlebi>

³⁰ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 49.

³¹ იგივე, 50.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ამ ინფორმაციის მესამე პირებისთვის გადაცემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა გა-დანონის პირადი ინფორმაციის დაცვის ინტერესს. საქმეში Z v. Finland³² ევროპის სასამართლომ ეჭვმიტანილის ფოტო-სურათის მესამე პირებისთვის გადაცემა ლეგიტიმურად ჩათვალა ვინაიდან ეს ემსახურებოდა დანაშაულის გამოძიე-ბას და თავად ფოტოსურათი მოპოვებული იყო პროცესუა-ლური ნორმების დაცვით. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან პრესისათვის პირადი ინფორმაციის გადაცემა და-იშვება მხოლოდ ზოგადი ფაქტებისა და ინფორმაციის ფარ-გლებში.³³

პირადი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება და გავ-რცელება განსაკუთრებით მარტივია თანამედროვე ტექნო-ლოგიური პროცესის პირობებში. ხშირია ისეთ შემთხვევები, როდესაც ჰაკერები მოიპოვებენ პირად ინფორმაციას და ავ-რცელებენ მას. განსაკუთრებით რთულია ამ დროს დავადგი-ნოთ ჰაკერების ვინაობა და ადგილმდებარეობა, რაც კიდევ უფრო რთულს ხდის ამ დანაშაულის პრევენციას და აადვი-ლებს პირადი ინფორმაციის მოპოვების ფაქტების გაზრდას.

აღსანიშნავია მსოფლიოს ზოგადი პრაქტიკა პირადი მო-ნაცემების დამუშავების ფორმებთან მიმართებაში, რომელიც ვრცელდება როგორც ელექტრონულ, ისე სხვაგვარ დამუშა-ვებაზე. საკითხის მნიშვნელობა განაპირობებს ისეთი მოთ-ხოვნების დადგენას როგორიცაა, მაგალითად პირადი მონა-ცემების სამართლიანი და კანონიერი დამუშავება, დამუშავე-

³² http://www.hrcr.org/safrica/privacy/z_finland.html

³³ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფ-ლების ინსტიტუტი, 2005, 51.

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

ბის კანონიერი მიზნით შეზღუდვა, მისი მასშტაბების განსაზღვრა, შენახვის პირობების დადგენა და სხვა. პრინციპები, რომელიც დადგენილია და აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული პირად მონაცემებთან კავშირისას მოიცავს გამჭვირვალეობას, კანონიერებასა და პროპორციულობას. ამასთანავე, იმ პირს, რომლის პირად ინფორმაციასთანაც მყარდება კავშირი, აქვს უფლება იცოდეს, რომ მისი პირადი მონაცემების დამუშავება ხდება, მათ შორის დამუშავების მიზანი, დრო, საჭიროება და სხვა. აგრეთვე, პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს მის პირად მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ.

აღსანიშნავია პირად საიდუმლოებასთან დაკავშირებული საკითხებიც. პერსონალური მონაცემის პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია. საჯარო დაწესებულებას ეკისრება პროპორციულობის დაცვის ვალდებულება. მაგალითად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად. საჯარო დაწესებულებებს ეკრძალებათ დაუშვას ისეთი სახის პირადი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან. აგრეთვე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე მესამე პი-

რის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ. ხოლო მონაცემების სხვისთვის გადაცემამდე, კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა ისინი ზუსტი, საქმესთან დაკავშირებული, დროული და სრული; გარდა ამისა, ზოგადად, პირს აქვთ უფლება იცოდეს მისი პირადი ინფორმაციის განკარგვის შესახებ. პირადი ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს შესაბამის პირს. პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში მოიაზრება ყოველი ადამიანის ცხოვრება, საქმიანობის ადგილი, ჩანაწერს, მიმოწერას, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, ისევე როგორც ტექნიკური საშუალებებით მიღებულ შეტყობინებები. დაუშვებელია აღნიშნული უფლების შეზღუდვა, გარდა ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევისა. მოცემული ვალდებულება ვრცელდება, როგორც საჯარო სამართლის, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე და სწორედ ამ მუხლის ინტერპრეტაციის შედეგად, სამოქალაქო კოდექსის დებულებებთან ერთობლიობაში, შესაძლებელია დავადგინოთ, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს ეკრძალებათ ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა, რომელშიც შესაძლებელია მოაზრებულ იქნას პირად მონაცემთა დაცვაც.³⁴

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე საუბრისას აუცილებელია განვიხილოთ ინტერპოლის საქმიანობა. ინტერპოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, ორგანიზაციის

³⁴ ტაბიძე ა., პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოს კანონმდებლობაში, 2009, <http://www.mkd.ge>

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

საერთაშორისო ცირკულარების სისტემის გამოყენებით მიაწოდოს წევრი ქვეყნების პოლიციას (სამართალდამცავ ორგანოებს) კრიმინალთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაცია ეხება ძებნილ პირებს, დაკარგულ პიროვნებებს, ამოუცნობ გვამებს, შესაძლო საფრთხესა და დამნაშავე პირების საქმის ფაბულას.

წითელი ცირკულარი

მოახდინოს ძებნილი პირების დაპატიმრება/წინასწარი დაპატიმრება მათი შემდგომი ექსტრადიციის მიზნით. **ყვითელი ცირკულარი** უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა (უმეტესწილად, მცირენლოვანთა) ადგილმდებარეობის დადგენა ან იმ პირთა იდენტიფიკირაცია, რომლებიც თავად ვერ ახერხებენ საკუთარი პიროვნების დასახელებას. **ლურჯი ცირკულარი** შეაგროვოს დამატებითი ინფორმაცია პიროვნების ვინაობისა და დანაშაულთან დაკავშირებული ქმედებების შესახებ.³⁵

3.1.2. სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლება

სქესობრივი კავშირი ექცევა პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ სექსუალური ორიენტაციის გამო სანქციების დაწესება წარმოადგენს პირადი

³⁵ <http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/interpolis-erovnulitsentraluri-biuro-saqartveloshi?sub=4971>

ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას.³⁶ გან-
საკუთრებით პრობლემურია პირის სქესობრივი ცხოვრების
საიდუმლოების დაცვა თანამედროვე ციფრულ სამყაროში.
ინტერნეტსივრცეში ხშირად ვრცელდება საჯარო თუ კერძო
პირების პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, რაც მიუ-
ლებელია და მკაცრ კონტროლს საჭიროებს. ამის ნათელი მა-
გალითი იყო 2016 წლის 14 მარტს ქართულ ინტერნეტსივ-
რცეში გავრცელებული ვიდეო მასალა, რომელიც მოიცავდა
სავარაუდოდ ქართველი პოლიტიკოსებისა და სხვა ცნობადი
სახეების პირადი ცხოვრების ამსახველ კადრებს. ამ ფაქტზე
პროკურატურამ გამოძიება სკ-ს 157-ე მუხლით დაიწყო, რაც
პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების უკანონოდ გავ-
რცელებას გულისხმობს.³⁷

3.1.3. სახელის უფლება

მართალია პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუ-
ხებლობის უფლების დისპოზიცია არ შეიცავს სპეციალურ
მითითებას სახელთან დაკავშირებით, მაგრამ თუ გადავხე-
დავთ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ეს მაინც ექცევა
კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის სფეროში. სახელი და გვა-
რი პირის იდენტიფიცირების კუთხით ასრულებს მნიშვნე-
ლოვან როლს, თუმცა სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზ-
ღუდვები გვარის შეცვლასთან დაკავშირებით, შეიძლება ემ-

³⁶ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პა-
ტივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი,
2017, 164.

³⁷ პროკურატურამ პირადი ცხოვრების ამსახველ მორიგი ვიდეოს
გავრცელებაზე გამოძიება დაიწყო, 2016, <https://on.ge>

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

სახურებოდეს საზოგადოების ინტერესებს.³⁸

3.1.4. ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობა

ევროპის სასამართლო მე-8 მუხლის დაცვის სფეროდ თვლის ფიზიკური ან ფიქტური ძალადობის მსხვერპლს. სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება დაზარალებული უზრუნველყოს ეფექტური დაცვის საშუალებით. არ აქვს მნიშვნელობა ძალადობა განახორციელა სახელმწიფოს წარმომადგენელმა თუ კერძო პირმა.³⁹ იძულებითი სახის სამედიცინო ღონისძიებები არ ითვლება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად, თუ ამას მოითხოვს ჯანსაღი გარემოს და ჯანმრთელობის დაცვის ინტერესი.

3.2. ოჯახური ცხოვრება

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ოჯახურურთიერთობებს მიაკუთვნებს ადამიანის შინაგანი სამყაროს, პრივატულობის ნაწილს და შესაბამისად მას აქცევს მე-8 მუხლის დასცვის ქვეშ. თუმცა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში არ შედის ოჯახის შექმნისა და შვილების ყოლის უფლება, რაც კონვენციის სხვა მუხლითაა მოწესრიგებული. „ოჯახურ“ ურთიერთობებს სასამართლო განმარტავს ფართო კონტექსტში. სასამართლოს მიერ ოჯახურ ცხოვრებად აღიარებულია ქორწინების ფარგლებში არსებულ მეუღლე-

³⁸ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი, 2017, 128.

³⁹ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 52.

ეპსა და შვილებს შორის ურთიერთობა, როცა ქორწინების მიზანია ოჯახის შექმნა. ოჯახური ცხოვრების კატეგორიაში შედის ასევე რეგისტრაციის გარეშე პირთა ცხოვრება მათ შვილებთან ერთად, თუ ამ თანაცხოვრებას აქვს ხანგრძლივი და სტაბილური ხასიათი.⁴⁰ ოჯახური ცხოვრების შესახებ ინფორმაციები ხშირად ვრცელდება ინტერნეტ სივრცეში და იწვევს პირად სფეროში გაუმართლებელ ჩარევას.

3.3. საცხოვრებელი ადგილის უფლება

საცხოვრებელი ადგილი არის კერძო ტერიტორია, სადაც ადამიანს აქვს „მარტო“ ყოფნის პრივატულობის მოლოდინი. სტრასბურგის სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალა მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვის გავრცელება საცხოვრებელ ადგილზე. სასამართლომ საცხოვრებელი ადგილის ცნება ფართოდ განმარტა. საცხოვრებელ ადგილად ითვლება აგარაკი, დროებითი საცხოვრებელი ადგილი, დამხამრე შენობა-ნაგებობები. გადამწყვეტია პირს ჰქონდეს სტაბილური კავშირი საცხოვრებელ ადგილთან.⁴¹ ადამიანს უნდა ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილით მშვიდობიანად სარგებლობის უფლება. პირი დაცული უნდა იყოს ტერიტორიის კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან.⁴²

⁴⁰ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 53.

⁴¹ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 56.

⁴² იგივე, 56.

3.4. მიმოწერა

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს განმარტებით, მიმოწერა არ გულისხმობს მხოლოდ წერილობითი კორესპონდენციის გაცვლას, არამედ ინფორმაციის, ტელეკომუნიკაციის მეთოდების, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით გაზიარებას. სასამართლომ განაცხადა, რომ მიმოწერა სარგებლობს კონვენციის დაცვით, მიუხედავად მიმოწერის შინაარსისა.⁴³ ადამიანის კორესპონდენცია შედის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში. რაც შეეხება წერილობით მიმოწერას, მათგან უნდა გამოვყოთ პირადი მიმოწერები. ამ სიტყვებში იგულისხმება არა მხოლოდ პირადი წიგნაკები, ჩანაწერები და დღიურები, არამედ გამგზავნსა და მიმღებს შორის მოძრავი ყველა სახის წერილობითი ინფორმაცია და შეტყობინება. გარდა ამისა, დაცულია ამ ინფორმაციისა და შეტყობინების გაგზავნა, როგორც ფოსტის (საფოსტო გზავნილების, პაკაეტების და ბანდეროლების და სხვა სახით), ისე ნებისმიერი სხვა საშუალებით.⁴⁴

⁴³ ოქროაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 58.

⁴⁴ კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, თბილისი, 2008, 157.

4. კომპიუტერები, ციფრული ტექნოლოგია, ინტერნეტი და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება

ინტერნეტის ხელმისაწვდომობა სწრაფად ვითარდება მთელს მსოფლიოში. UIT-ის სტატისტიკის მიხედვით, 2005-2010 წლებში ინტერნეტმომხმარებლების რაოდენობა გაორმავდა. 1995 წელს ინტერნეტით სარგებლობდა მოსახლეობის მხოლოდ 0,4 %, ხოლო 2011 წლის მარტში ამ მაჩვენებელმა 30,2 % შეადგინა.⁴⁵ კომუნიკაციების სფეროში მომხდარმა რევოლუციებმა დიდი გავლენა მოახდინა მონაცემთა შეგროვების და გადამუშავების საყითხზე. ამ რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ინტერნეტი. ინტერნეტი ერთმანეთთან დაკავშირებული კომპიუტერების ქსელია, რომელთა შორის კავშირია დამყარებული და ხდება მონაცემთა გაცვლა. მონაცემთა გაცვლის ამ საშუალებას კიბერსივრცე ეწოდება. 1972 წელს არტურ მილერი წერდა: დღეს მსოფლიოში 100 000 მდე კომპიუტერი მუშაობს. იგი ვარაუდობდა, რომ 1995 წლისთვის ეს რიცხვი მილიონ-ნახევრამდე გაიზრდებოდა. ასეც მოხდა და თან ეს კომპიუტერები ინტერნეტშია ჩართული. ინტერნეტისა და კიბერსივრცის არსებობა დამოკიდებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე. სწორედ ამ ტექნოლოგიების, ინტერნეტმოხმარებისა და კიბერსივრცის ზრდამ გამოიწვია ის, რომ 70-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად დაიწყო დებატები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლებაზე. ციფრულმა ტექნოლოგიებმა გაზარდა მონაცემთა შეგრო-

⁴⁵ Mendel p., puddephatt A., Wagner B., Torres D., Etude Mondiale Sur, Le respect de la vie privée sur l'internet et la liberté d'expression, collection unesco sur la liberté de l'internet, 2013, 13.

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

ვების პოტენციალი. მონაცემები შეიძლება შეგროვდეს, გადა-
მუშავდეს და გავრცელდეს სხვა პირებთან. პირები ცხოვრება
უპრეცედენტოდაა დაუცველი ციფრული ტექნოლოგიების პი-
რობებში. ციფრული ტექნოლოგიის მეშვეობით შესაძლებელია
გამოიყოს მონაცემთა გადაცემის სამი სტადია: 1. მონაცემთა
შეკრება; 2. მონაცემთა შეერთება და შედარება; 3. მონაცემთა
დახარისხება. ციფრული ტექნოლოგიების წყალობით, მას შემ-
დეგ რაც ერთ კომპიუტერში გაჩნდება მონაცემები, შესაძლე-
ბელია მისი გადაცემა და ინკორპორირება სხვა მონაცემებთან.
ციფრული ტექნოლოგიების გამოგონებამდე პირადი მონაცე-
მების ამგვარი მოძრაობა შეუძლებელი. როჯერ კლარკი ამ-
ბობს, რომ მონაცემის ამგვარი მიმოცვლისა და შერწყმის პი-
რობებში გაჩნდა „ციფრული ადამიანის“ ცნება. ამ ტერმინის
განმარტება შემდეგნაირადაა მოცემული - ციფრული ადამიანი
არის ინდივიდის საზოგადოებრივი პიროვნულობის მოდელი,
რომელიც ეფუძვნება ამ პირის მიერ განხორციელებული
ტრანსაქციების მონაცემებს. პიტერ სუაირი განსაკუთრებულ
ყურადღებას აქცევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის
დაცვას ფინანსური ტრანსაქციების კუთხით. მისი აზრით, ნაღ-
დი ფულიდან საკრედიტო და სადებეტო ბარათებზე გადას-
ვლამ შესაძლებლობა მისცა სხვადასხვა კომპანიებს, რომ პი-
რის მონაცემები ავტომატურად შეიყვანონ მონაცემთა ბაზაში,
საიდანაც შეიძლება მოხდეს მათი დაკავშირება პირის მისამარ-
თთამ და საბოლოოდ შეგვიძლია მივიღოთ პირის მიერ სხვა-
დასხვა ნივთისა და მომსახურების შეძენის საკმაოდ დეტალუ-
რი ისტორია. ამგვარი გარემოებები საფრთხეს უქმნის პირადი
ცხოვრების ხელშეუხებლობას.⁴⁶

⁴⁶ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფ-
ლების ინსტიტუტი, 2005, 26.

ინტერნეტი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საშუალებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა ამავე დროს ის თავისი ხასიათით პირადი ცხოვრების ხელყოფის საფრთხეს შეიცავს. რამდენიმე დღის წინ კომპანიები Facebook და Cambridge Analytica სკანდალში გაეხვნენ. Cambridge Analytica-ს Facebook-ის მეშვეობით მილიონობით მომხმარებლის პირადი მონაცემების მოპოვებასა და შემდგომ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებაში ადანაშაულებენ. Facebook-ის დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი პრიტანეთის საპარლამენტო კომიტეტმა და ამერიკის კონგრესმა დაკითხვაზე დაიბარა. კომპანიის პოლიტიკიდან და მიზნებიდან გამომდინარე, Cambridge Analytica-ს შეუძლია მონაცემთა გადამუშავებით შესაბამისი საარჩევნო კომუნიკაციის წარმართვა. შესაძლოა კომპანიას Facebook-სგან მიღებული მონაცემები უფრო პერსონიფიცირებული მესიჯების შესაქმნელად და სამიზნე აუდიტორიის უკეთესად განსაზღვრისთვის უნდოდა. ამ სკანდალის გამო Facebook-ის აქციების ფასი 50 მილიარდით, ანუ 6,8 %-ით დაეცა.⁴⁷

ევროპის საბჭოს 108-ე კონვენცია და მონაცემთა დაცვის ახალი ევროპული რეგულაცია – ზაგრებში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანამაშრომლებისათვის 2 დღიანი სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობს. შეხვედრის მონაწილეები მსჯელობენ თემაზე „ზიანის არიდება ციფრულ სამყაროში: საბოლოო მზადება ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციისთვის“.⁴⁸

სოციალურ ქსელებში ხმირად ვრცელდება ადამიანე-

⁴⁷ ბაჯელიძე მ., სკანდალი, რომლის გამოც Facebook-ის აქციები მკვეთრად ეცემა – მარტივად, 2018, <https://on.ge/>

⁴⁸ <https://personaldatalge.ge//843>

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

ბის პირადი ინფორმაცია: მათი ოჯახური ცხოვრების, ინტი-მური სფეროს, მიმოწერების და სხვ. შესახებ, რაც ხშირად ზიანს აყენებს პირის პატივსა და ღირსებას. ამ საკითხზე საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვების უსაფრთხოებას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები მასიურად სარგებლობენ ინტერნეტით, ძალიან ცოტა რამ კეთდება ციფრულ სამყაროში არსებული საფრთხეებისაგან ბავშვების დასაცავად - ნათქვამია გაეროს ბავშვთა ფონდის მთავარ წლიურ ანგარიშში. გაეროს ბავშვთა ფონდის აღმას-რულებელი დირექტორი ენტონი ლეიკი აცხადებს: „სასიკე-თოდაც და საზიანოდაც, ციფრული ტექნოლოგიები ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.“ ანგარიში სწავ-ლობს თუ რამდენად ზრდის ინტერნეტი რისკისა და ზიანის საფრთხეს ბავშვებისთვის მათი პირადი ინფორმაციის ბო-როტად გამოყენების საზიანო შინაარსის შემცველი ინფორ-მაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ციფრული ქსე-ლები, როგორიცაა Dark Web და ასევე ვირტუალური ფული, ხელს უწყობს ექსპლუატაციის და ძალადობის უკიდურესი ფორმების არსებობას. ანგარიშში მოცემულ ფაქტებს შორის აღსანიშნავია, რომ არსებული ინტერნეტგვერდების დაახ-ლოებით 56% ინგლისურ ენაზეა და ბევრ ბავშვს არ ესმის ასეთ გვერდებზე მოცემული ინფორმაციის შინაარსი ან ასეთ ინფორმაცია შეუსაბამოა მათი კულტურული გარემოს-თვის. ანგარიშში ასევე მოცემულია ციფრული პოლიტიკის გატარების აუცილებლობა ბავშვთა ინტერესების გათვა-ლისწინებით.⁴⁹

ამ საკითხზე საუბრისას საინტერესოა გავიზიაროთ საფრანგეთის გამცდილებაც. საფრანგეთის ნაციონალური

⁴⁹ http://unicef.ge/44/tsifruli_samkaros_usaprtkhoeba_bavshvebistvis/522

უანდარმერია აფრთხილებს გულუბრყვილო მშობლებს, რომ საკუთარი შვილების პირადი სურათების დადება Facebook-ზე ან სხვა სოციალურ ქსელში ძალიან საშიშია, რადგან ამ სურთების ნახვა დამნაშავეებსაც შეუძლიათ. დამნაშავეებს შეუძლიათ ამ ფოტოების მიხედვით დაადგინონ თუ სად არის ის გადაღებული, ასევე გაარკვიონ საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილების მარშრუტიც, რაც ძალიან სახითათოა.⁵⁰ სოციალური ქსელის დანაშაულებრივი მიზნით გამოყენების ფაქტად აშშ-ში მომხდარი ბინების ძარცვის მაგალითიც გამოდგება. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატიც მოგვიწოდებს, რომ გარკვეული სახის ინფორმაცია არ განვათავსოთ სოციალურ ქსელებში. სპეციალისტი აღნიშნავს, რომ „როცა ბავშვის ფოტოს სოციალურ ქსელში ვასაჯაროვებთ, უნდა განვსაზღვროთ რისკები.“ მას მოჰყავს ერთ-ერთი მაგალითი „კერძოდ, პირები, მეტროსა და ავტობუსებში მოწყალებას ითხოვდნენ და სპეციალური ყუთებით გადაადგილდებოდნენ, რომლებზეც ბავშვების ფოტოები იყო დატანილი, რაც სინამდვილეში სოცრუეს წარმოადგენდა. სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებლის მონათხობის მიხედვით, მან ასეთ ყუთზე საკუთარი შვილის ფოტო ამოიცნო, რომელიც Facebook-ზე თავად ჰქონდა ატვირთული.“ ეს ინვესტ ბავშვის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელ ჩარევას. ამ თემას უცხოური გამოცემები, მაგალითად The Guardian და Kids Health ვრცელ სტატიებსაც უძლვნიან

⁵⁰ არ დადოთ საკუთარი ბავშვის სურათები სოციალურ ქსელში!, 2016, <http://mpress.ge>

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

და მოგვიწოდებენ, დავიცვათ ბავშვების პირადი ცხოვრება.⁵¹

ხშირად ინტერნეტსივრცეში ადამიანები უკანონოდ იყენებენ სხვის სახელსა და გვარს, ფოტო და აუდიო მასალას. გარდა ამისა, ხშირად ირღვევა პირის პირადი ცხოვრება სახელმწიფოს მხრიდანაც. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირის მიმართ არსებობს დასაბუთებული ეჭვი მისი ბრალეულობის შესახებ, პირადი მონაცემების მოპოვება უნდა მოხდეს კანონით მკაცრად განსაზღვრული პირობებით, ისე, რომ პირის პატივსა და ღირსებას ზიანი არ მიადგეს.

5. ტელემარკეტინგი და ინფორმაციის მეორადი გამოყენება

ბოლო წლების მანძილზე პირადი მონაცემების დაცვაზე საუბრისას საკმაოდ პრობლემატური გახდა ინფორმაციის ე.წ „მეორადი გამოყენების“ პრობლემა. ტერმინი „ინფორმაციის მეორადი გამოყენება“ ნიშნავს ინფორმაციის გამოყენებას იმ მიზნისთვის, რომელიც ამ ინფორმაციის მოპოვების თავდაპირველი მიზანი არ გახლდათ. ინფორმაციის მეორადი გამოყენება ძირითადად შესაძლებელი გახდა ციფრული ტექნოლოგიების გაჩენის შედეგად. ადამიანი, რომელიც რეკავს ტელეფონზე რაიმე პროდუქტის შესაძნად, მისი პირადი ინფორმაცია შეიძლება გახდეს ხელყოფის საგანი. ოპერატორს, რომელიც ზარს იღებს ტელეფონის ნომრის ამომცნობი აპარატის მეშვეობით შეუძლია თავის კომპიუტერში გადაიტანოს აბონენტის ტელეფონის ნომერი. ტელეფონის ნომერთან ერთად შესაძლებელია ამ პირის საიდენტიფიკაციო და საკრედი-

⁵¹ მენაბდიშვილი მ., დაფიქრდით სანამ “ფეისბუქზე” ბავშვის ფოტოს გააზიარებთ, 2017, <https://www.allnews.ge/sazogadoeba/154162>

ტო პარათების ნომრების შეტანაც ელექტრონულ ბაზაში. ეს ინფორმაცია შესაძლოა შეუერთდეს მანამდე არსებულ ინფორმაციას და შეიქმნას სია მომხმარებელთა პერსონალური მონაცემებით, რომელსაც სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლები ტელემარკეტინგით დაკავებულ ფირმებს მიჰყიდიან. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი დამცავი მექანიზმი ინფორმაციის მეორადი გამოყენების წინააღმდეგ არის წერილობითი თანხმობის წესი: იმისათვის, რომ ინფორმაცია პირის შესახებ კვლავ გამოიყენონ სარეკლამო თუ სხვა მიზნებისთვის, საჭიროა ამ პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა.⁵²

6. სატელეფონო საუბრები, ელექტრონული ფოსტა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უფლება

ჯერ კიდევ 1928 წელს მოსამართლე ტაფტი გადაწყვეტილებაში საქმეზე ომსტელდი შეერთებული შტატების წინააღმდეგ, აღნიშნავდა, რომ რადგან ტელეფონის მოსმენაზე არ ვრცელდებოდა კონსტიტუციის მეოთხე შესწორება და ნორმების ჩხრეკის შესახებ, საჭირო იყო გარკვეული ახალი კანონმდებლობის მიღება, რომლებიც სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობას დაიცავდა. 1934 წელს კონგრესმა მიიღო პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც სატელეფონო საუბრების დაცვას ისახავდა მიზნად. თუმცა, იგი არ ვრცელდებოდა შტატების მიერ ტელეფონის მოსმენაზე, რაც უპრობლემოდ დაიშვებოდა კანონიერ მტკიცებულებად სასა-

⁵² ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 30-31.

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

მართლო პროცესებზე. შეერთებული შტატების სასამართლომაც საკმაოდ შეზღუდა აქტის მოქმედება, როდესაც გადაწყვეტილებაში საქმეზე გოლდმანი შეერთებული შტატების ნინააღმდეგ, დაადგინა, რომ ოფისის კედლის გარეთ მიმაგრებული დიქტოფონით საუბრის ჩაწერა არ წარმოადგენდა საუბრის მოსმენას. ლინდონ ჯონსონის პრეზიდენტობისას შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო პირველი სრულყოფილი ფედერალური კანონი, რომელიც მოიცავდა დაცვის მექანიზმებს თითქმის ყველა ფორმის საუბარსა და ელექტრონული თვალთვალის ფორმაზე. დანაშაულის კონტროლისა და უსაფრთხო ქუჩების შესახებ აქტით დაცული გახდა როგორც ფედერალური და შტატის მთავრობის, ასევე კერძო პირთა მიერ საუბრის მოსმენა და ფარული ელექტრონული თვალთვალი. აქტით რეგულირდება სახელმწიფოს მიერ სატელეფონო საუბრების მოსმენა და ფარული თვალთვალი, აგრეთვე ისეთი ქმედებები, რომლითაც ხდება საფოსტო და ისეთი კომუნიკაციის კონტროლი, რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი, მაგრამ მის შესახებ ინფორმაცია ინახება. ასევე, სატელეკომუნიკაციო ოპერატორების მიერ განხორციელებული ზარების, საბილინგო ინფორმაციის გამოთხოვა და ტელეფონის მეშვეობით პირის ადგილსამყოფელის დამდგენი აპარატურის გამოყენება.⁵³

⁵³ იგივე., 33-34.

7. პირად მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო რეგულირების შედარებით- სამართლებრივი მიმოხილვა

„ყოველ ადამიანს აქვს კონკრეტული მოწოდება ან მისია ცხოვრებაში. თითოეულმა ადამიანმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული პროექტი, რომელიც მოითხოვს მის შესრულებას. ამ გზით თითოეული ადამიანის ამოცანაა უნიკალური, ასევე კონკრეტული შესაძლებლობა განახორციელოს.“⁵⁴ - ვიქტორ ფრანკლი ამ სიტყვებით იწყებს თავის წიგნს და მასში ვრცლად საუბრობს ადამიანის უფლებებზის დაცვის აუცილებლობაზე.

ცივი ომის დასასრულს ახალი პარადიგმების ეფექტური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სამყარო წარმოადგენს ადამიანის საერთაშორისო უფლებათა დაცვის შესძლებლობასაც და გამოწვევასაც ერთდროულად.⁵⁵ მე-20 საუკუნეში ტერმინმა „ადამიანის უფლებები“ ჩაანაცვლა ადრე მოქმედი „ბუნებითი უფლებები“. ⁵⁶ თუმცა ამ უფლებების აღიარება ჯერ კიდევ მე-17-18 საუკუნეებში ინგლისსა და საფრანგენ-თში მიმდინარე რევოლუციების პერიოდიდან იწყება. განმანათლებლები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანს აქვს ბუნებითი უფლებები და ისინი თანდაყოლილია. ეს არის „ჯანსაღი გო-

⁵⁴ Trepaud V., Proyecto de vida y planeamiento estrategico personal, Lima, Peru, 2005.

⁵⁵ Slye R., *Human Rights in Theory and Practice: A Review of On Human Rights*, 1994, Fordham International Law Journal is produced by The Berkeley Electronic Press (bepress), 1566.

⁵⁶ Walter G., *INTRODUCTION: HUMAN RIGHTS IN THEORY AND PRACTICE*, Professor Saint Paul University, Ottawa, K1S 1C4 Canada gwalters@ustpaul.ca.

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

ნების წინაპირობა“, რაც ღმერთის მიერაც კი არ შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს.⁵⁷

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველყოფისკენ მიმართულია მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება: „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-8 მუხლში ნათქვამია:

1. ყველას აქვს უფლება პატივი სცეს პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდანასაცილებლად, ჯამრთელობის, მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.⁵⁸

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლის თანახმად: „არავის მიმართ არ შეიძლება თვითნებური ჩარევა და მის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, თვითნებური ხელყოფა მისი საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის, მისი კორესპონდენციის საიდუმლოების, ანდა მისი პა-

⁵⁷ რუსიაშვილი ნ., ღლოონტი ნ., ადამიანის უფლებათა ისტორია, მოსწავლის სახელმძღვანელო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, თბილისი, 2014, 3.

⁵⁸ ჯგურენაია ლ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის გარეთი საქართველოში და საერთაშორისო ასპექტები, თბილისი, 2012, 7.

ტივის და რეპუტაციის, ყოველ ადამიანსუფლება აქვს დაცუ-
ლი იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისგან“.

უსაფრთხოება, როგორც ცნება სამართლის ნაწილი
გახდა მას შემდეგ, როდესაც ბრიტანულმა პარლამენტმა გა-
მოსცა მშვიდობის აქტი 1361 წელს. ეს წელი ითვლება ინდი-
ვიდუალური უფლებების მიყურადებისგან დაცვის აღიარე-
ბის თარიღად.⁵⁹ პირადი ინფორმაციის, როგორც ფუნდამენ-
ტალური უფლების მნიშვნელობა, აღიარებულია არა მხო-
ლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზე. გაეროს
გენერალური ასამბელის მიერ 2013 წლის დეკემბერში მიღე-
ბული რეზოლუცია 68/167 ადასტურებს, რომ ინტერნეტ კავ-
შირის გარეთ მყოფი ადამიანების უფლებები ისევე უნდა
იყოს დაცული, როგორც ონლაინ სისტემაში. ყველა სახელ-
მწიფომ პატივი უნდა სცეს და დაიცვას ციფრულ სამყაროში
მოქმედი პირადი ცხოვრების დაცვის პრინციპები. OECD-ის
სახელმძღვანელოები პირადი ცხოვრების შესახებ არის
აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური კოოპერაციის ფორუმის
მიერ შემუშავებული პირადი ცხოვრების დაცვის სტრუქტუ-
რის განვითარებისთვის არსებული ინსტრუმენტი.⁶⁰

8. სასამართლო პრაქტიკა

პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ ქვეყნების პრაქტი-
კა ძირითადად ორი მიმართულებით განვითარდა: ერთის
მხრივ Data Protection Act (მონაცემთა დაცვის აქტი) და მეო-
რეს მხრივ Information Act (ინფორმაციის თავისუფლების აქ-

⁵⁹ Weber R., and Staiger N., *Privacy in international law regulating the internet*, Groningen Journal of International Law, volume 2, issue 2, 14.

⁶⁰ ოგივე.., 10.

მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე – პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში

ტი) ტიპის აქტების მიხედვით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავსტრიის 1978 წლის კანონი „მონაცემთა დაცვის შესახებ“, საფრანგეთის 1978 წლის კანონი „მონაცემთა დამუშავების შესახებ“, დანიის 1979 წლის კანონი „საჯარო და კერძო რეგისტრაციის შესახებ“, იაპონის 1989 წლის კანონი „კომპიუტერით დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა აღმინისტრაციულ ორგანოებში შენახვის შესახებ“ და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია ევროპარლამენტის 1991 წლის 11 მარტის დირექტივა „მონაცემთა პაზების სამართლებრივი დაცვის შესახებ“, 1991 წლის 14 მაისის დირექტივა „კომპიუტერული პროგრამების დაცვის შესახებ“ და სხვა აქტები.⁶¹

8.1. ამერიკის შეერთებული შტატები

1976 წელს ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მოხსენება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ნიუ-იორკის შტატში რამდენიმე რესტორანს ბრალად ედება ჯანდაცვისა და სანიტარული წესების დარღვევა. ამავე წლის 6 ივლისს სატელევიზიო კომპანია სი-ბი-ეს-მა თავისი თანამშრომელი, ქალბატონი რიჩი, ოპერატორის თანხლებით, ფრანგულ რესტორან Le Mistral-ში გაგზავნა სიუჟეტის მოსამზადებლად, რადგან ეს რესტორანი მოხსენიებული იყო ჯანდაცვის დეპარტამენტის მოხსენებაში. რესტორნის მეპატრონეს კორესპონდენტის მისვლამდე რესტორნის მოწესრიგება რომ არ მოესწორ, ტელეკომპანიის წარმომადგენლები რესტორანს ნი-

⁶¹ ცაცანაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი პრობლემები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998 წლის მეოთხე კვარტალი, 55.

ნასწარ არ შეუთანხმდნენ და იქ ისე მივიღნენ. მისვლისთანავე რესტორნის პრეზიდენტმა კორესპონდენტს და ოპერატორს რესტორნის დატოვება მოსთხოვა, მაგრამ ისინი სასადილო ოთახში მაინც შევიდნენ და გადაღება დაიწყეს. კორესპონდენტმა და ოპერატორმა რესტორნანში დაახლოებით ათი წუთი დაყვეს. ამ ხნის განმავლობაში კამერა ჩართული იყო და იღებდა. მოწმეების თქმით, რესტორნანში მყოფი კლიენტები მაგიდის ქვეშ იმაღლებოდნენ. ნაწილი რესტორნიდან გაიქცა ისე, რომ არც გადაუხდია, მათ კი, ვინც მაგიდას ელოდებოდა, სასწრაფოდ დატოვა იქაურობა. რესტორნის მეპატრონებმ სიბიეს-ის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში. საქმის განხილვისას სი-ბი-ეს-ის მთავარმა მოწმემ, კორესპონდენტმა, ქალბატონმა რიჩმა განაცხადა, რომ მათ ინსტრუქცია ჰქონდათ მიღებული, რომ ამგვარ შემთხვევაში გადაღების ან სადმე შესვლის წებართვა კი არ ეთხოვათ, არამედ შეუმჩნევლად შესულიყვნენ და გადაღება ისე დაეწყოთ. ამ ჩვენების საფუძველზე ნაფიცი მსაჯულები დარწმუნდნენ, რომ ქალბატონი რიჩი და ოპერატორი რესტორნანში ძალით შევიდნენ და გადაღება ისე დაიწყეს, ე.ი. ისინი კერძო საკუთრებაში უკანონოდ შეიქრნენ. ნაფიცი მსაჯულებმა სი-ბი-ეს-ს მოსარჩელის სასარგებლოდ ზარალის ანაზღაურება და სადამსჯელო ჯარიმის გადახდა დააკისრეს, რაც ტელეკომპანიამ გაასაჩივრა. გასაჩივრებისას სასამართლომ ძალაში დატოვა ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილება ზარალის კომპენსაციის შესახებ, მაგრამ გააუქმა სადამსჯელო ჯარიმის დაკისრება. რესტორნის მეპატრონებმა კვლავ გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება ნიუ-იორკის შტატის უზენაეს სასა-

**მარიამ კახიძე, მარიამ კაპანაძე –
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ციფრულ სამყაროში**

მართლოში, სადაც ითხოვდნენ სადამსჯელო ჯარიმის დაკის-
რებას ტელეკომპანია სი-ბი-ეს-ისათვის.⁶²

**8.2. ევროპის ადამიანის უფლებათა
სასამართლო**

პეკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ:

1998 წლის აგვისტოს ერთ საღამოს ქუჩაში დამონტაჟე-
ბულმა კამერამ (CCTV) დააფიქსირა ბატონი პეკის გამოსახუ-
ლება სამზარეულოს დანით ხელში, როდესაც ის ბრენტვუდ ჰაი
სტრიტზე მიდიოდა. ბატონმა პეკმა თვითმკვლელობა სცადა
და დანით მაჯაზზე ვენები გადაისერა, რაც სამართალდამცა-
ვებს კამერის მეშვეობით არ უნახვათ. მათ პოლიციის მანქანა
გაგზავნეს შემთხვევის ადგილზე, მას შემდეგ, რაც დანით შეია-
რაღებული პეკი დაინახეს ქუჩაში. როდესაც პოლიცია ადგილ-
ზე მივიდა, მათ ვენებდასერილი ბატონი პეკი დახვდათ, რო-
მელსაც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ამ ამბის შემდეგ
ადგილობრივმა საბჭომ გამოაქვეყნა პრესრელიზი, სადაც ლა-
პარაკი იყო ქუჩაში დამონტაჟებული კამერების ეფექტურობა-
ზე და საილუსტრაციოდ ამ კამერით გადაღებული ბატონი პე-
კის ფოტოებიც იყო მოყვანილი, სადაც მისი სახე სათანადოდ
დაფარული არ გახლდათ. ამ პრესრელიზის საფუძველზე ორმა
გაზიერმა სტატია გამოაქვეყნა ფოტოებით. ასევე რეპორტაჟი
მომზადდა და გადაიცა ანგლია TV-სა და BBC-ზე, სადაც ნაჩვე-
ნები იყო ვიდეომასალა, რომელიც ადგილობრივმა საბჭომ ტე-
ლევიზიებს მიაწოდა და რომელიც ბატონი პეკის თვითმკვლე-

⁶² ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფ-
ლების ინსტიტუტი, 2005, 68.

ლობის მცდელობას ასახავდა. ადგილობრივმა საბჭომ ვიდეო-მასალის გადაცემისას ტელევიზიის გააფრთხილა, რომ ასახულ პირთა სახეები სათანადოდ უნდა დაფარულიყო, რათა შესაძლებელი არ გამხდარიყო მათი იდენტიფიცირება. მიუხედავად ამისა, ბატონი პეკის მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა BBC-ზე გადაცემის ხილვისას ის მაშინვე ამოიცნეს.

ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლოს გადაწყვეტილება:

სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ბატონი პეკი გადაღებისას ქუჩაში იყო, არ ართმევს მას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩა ტრადიციულად საჯარო ადგილია, ამ საქმეში მოსარჩელე ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ქმედებები ცნობილი გახდებოდა იმ დროს ქუჩაში გამვლელების გარდა კიდევ სხვა პირებისათვისაც. სასამართლო ადგენს, რომ მერვე მუხლთან ერთად დარღვეულია კონვენციის მეცამეტე მუხლიც (უფლება ეფექტურ შიდა მექანიზმებზე). ბატონი პეკი წარუმატებლად ეცადა სასამართლოში გაესაჩივრებინა პრესის საჩივრების საბჭოს გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში შიდა სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ საბჭომ „არარაციონალურად“ იმოქმედა. სასამართლო ადგენს, რომ ბატონი პეკის მიმართ დაირღვა ევროპის ადამიანის უფლებების კონვენციის მერვე მუხლი.⁶³

⁶³ ოქრუაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თავისუფლების ინსტიტუტი, 2005, 147.

დასკვნა

ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში არსებული კრიტიკული სიტუაცია საზოგადოებას უბიძებებს სწორად შეაფასოს „privacy“-ის კონცეფციის როლი, ხოლო ხელისუფლებამ პირადი ცხოვრების დაცვის სფეროში მთავარი ძალისხმევა „პერსონალურ მონაცემთა“ დაცვისაკენ მიმართოს. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პერსონალური მონაცემები ტრანსსა-საზღვრო ნაკადით საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელებში გაედინება, პრობლემის აქტუალობა და სირთულე კიდევ უფრო ცხადი ხდება. აუცილებლად უნდა ვალიაროთ პირადი ცხოვრების დაცვის გარანტიების შექმნის აუცილებლობა საერთაშორისო სახელშეკრულებო ვალდებულებებისა და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საფუძველზე. პერსონალური ინფორმაციის კომპიუტერული სისტემებით დამუშავებამ კიდევ უფრო გაზარდა პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის დაცვის მექანიზმის საჭიროება. ისეთ ტიპის პროგრამების გამოჩენამ, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ბაზებიდან, ბანკებიდან თუ ფილიალებიდან პერსონალურ მონაცემთა შეერთებასა და შედარებას (data matching) გამოიწვია ინდივიდის პირადი ცხოვრების პრაქტიკულად ამომწურავი სურათს შექმნის შესაძლებლობა. პირად მონაცემთა ბანკების შექმნაში დაინტერესებულია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კორპორაციები. ამ პირობებში პერსონალური ინფორმაციის დაცვას საკმაოდ რთული და მრავალმხრივი სამართლებრივი მექანიზმი სჭირდება, რადგანაც ინფორმაცია პიროვნების შესახებ, დღევანდელ პირობებში, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ეკონომიკურად

სასარგებლო პროდუქტი და ხელისუფლების წყარო.⁶⁴ მიუხედავად ამ გამოწვევებისა, რასაც ციფრული სამყარო გვთავაზობს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა აუცილებლად უნდა იყოს დაცული. სახელმწიფოს, საერთაშორისო დაცვის ორგანიზაციებს, ადამიანის უფლებათა ადგილობრივ დამცველებს და ყოველ მოქალაქეს საკუთარი წილი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რადა დაიცვან და გააძლიერონ პირადი ცხოვრები ხელშეუხებლობა-„ცივილიზებული ადამიანის მიერ ყველაზე უფრო დაფასებული უფლება“.⁶⁵

⁶⁴ ცაცანაშვილი მ., პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სამართლებრივი პრობლემები, ქართული სამართლის მიმოხილვა, 1998 წლის მეოთხე კვარტალი.

⁶⁵ ოლმსტიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, *Olmstead v United States*, 1928.

შემთხვევა - თანამედროვე სამყაროს გამოწვევა

მარიამ გაბუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
მე-4 კურსის სტუდენტი

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა არის საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში გენდერული ნიშნით ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელი ყველა ქმედება, რომელთა შედეგადაც შეიძლება მოჰყვეს ან მოჰყვება ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვა ან ეკონომიკური ზიანი, მათ შორის მსგავსი ქმედების მომავალში ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათ-თვის თავისუფლების აღკვეთა.¹ ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ თანამედროვე სამყაროში, 21-ე საუკუნეში, კაცობრიობის ცივილიზაციის ამ ეტაპზე, კვლავ გვიხდება საუბარი იმ თემაზე, რომ ძალადობა, ძალის გამოყენებით რაიმე უპირატესობის მიღწევის მცდელობა, არის დასაგამობი. სამარცხინოა ის გარემოება, რომ მოცემული თემა არ კარგავს აქტუალობას, პირიქით დღითიდღე სოციალურ ქსელებში, მასმედიაში, ბეჭდვით ორგანოებში უფრო ხშირად

¹ საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დახმარების შესახებ“, მუხლი 3¹.

ვხვდებით ქალებს, ბავშვებს, რომლებიც ამ „სენის“ მსხვერ-პლი გახდნენ და დახმარებას ითხოვენ.

რეალობა ცხადყოფს, რომ მთავარი პრობლემა კვლავ გენდერული როლები და სტერეოტიპებია, რომლებიც სამწუ-საროდ იმდენად ღრმად არიან ფესვგადმულნი ჩვენს საზოგა-დოებაში, რომ არა ძალადობა, არამედ ჩაგვრაც კი, უმეტეს შემთხვევაში, ყოფიერების ჩვეულ მოვლენად მიიჩნევა და მი-სი იგნორირება იმპერატიულ ხასიათს ატარებს. საბოლოოდ, უყურადღებობას სავალალო შედეგამდე მივყავართ, რამაც შესაძლოა ადამიანის სიცოცხლეც იმსხვერპლოს. ფემიციდი, ზოგადი განმარტებით, არის ქალის განზრახი მკვლელობა, მისი სქესის გამო. საქართველოს პროკურატურის ოფიცია-ლურ ვებ-გვერდზე განთავსებული სტატისტიკის თანახმად 2014 წელი განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა ქალ-თა მკვლელობების რიცხოვნებიდან გამომდინარე.

ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული გამოკვლევის მიხედვით, რომელიც გაეროს ქალთა ორგანი-ზაციამ გამოაქვეყნა, ქალთა მიმართ ძალადობა საქართვე-ლოში კვლავ მისაღებ ფენომენად რჩება. კაცების 31%-ს, ხო-ლო ქალების 22 %-ს მიაჩნია, რომ ცოლის ცემა გარკვეულ გა-რემობებში გამართლებულია. მეტიც, ქალების მეოთხედი დ კაცების თითქმის ნახევარი (42 %) მიიჩნევს, რომ ცოლი ქმარს უნდა დაემორჩილოს მაშინაც კი, როცა მას არ ეთანხმება, თუმცა, როგორც გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომად-გენელმა საქართველოში ერიკა კვაპილოვამ გამოკვლევის პრეზენტაციაზე განაცხადა, 2009 წელთან შედარებით, იმ ქა-ლების რაოდენობა, ვინც მიიჩნევდა, რომ ოჯახში ძალადობა და, საერთოდ, ქალთა მიმართ ძალადობა მათი პირადი საქმეა, 50 %-ით შემცირდა და ეს დადებით ტენდენციაა.²

² <https://www.radiotavisupleba.ge/a/29082705.html>.

**1. ზიანის ანაზღაურების და მოძალადისაგან
დაცვის მოთხოვნის უფლება ეროვნული
კანონმდებლობის საფუძველზე**

რეალობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი პოტენ-
ციური მსხვერპლისა და მისი ოჯახის წევრების ინფორმირება
კანონმდებლობით გათვალისწინებულ დამცავ ან ზიანის ასა-
ნაზღაურებელ საშუალებათა შესახებ. ძალადობის მსხვერ-
პლი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დად-
გენილი წესით მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ან სასამარ-
თლო ორგანოს და მოითხოვოს მისი კონსტიტუციით გამტკი-
ცებული უფლებების დარღვევის ფაქტის აღმოფხვრა ან შესა-
ბამისი კომპენსაცია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია დამცავი და
შემაკავებელი ორდერების არსებობდა, რომელთა არსი გან-
საზღვრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21¹³,
21¹⁵, 21¹⁴ და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალა-
დობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახ-
მარების შესახებ კანონის 10,11,12 მუხლებით.

პოლიციის შესახებ კანონის მე- 17 მუხლი თანამშრო-
მელს ავალდებულებს საკუთარი ფუნქციების შესრულების
უზრუნველსაყოფად თავისი კომპეტენციის ფარგლებში და-
უყოვნებლივ რეაგირება მოახდინოს სამართალდარღვევის
ფაქტებზე. კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახ-
ში ძალადობისას ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერ-
პლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების
შეზღუდვის უზრუნველსაყოფად გამოსცეს დროებითი ღო-
ნისძიების სახით შემაკავებელი ორდერი და ზედამხედველო-
ბა განახორციელოს მის შესრულებაზე. შეტყობინების მიღე-
ბისთანავე პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოც-
ხადდეს შემთხვევის ადგილზე, მიუხედავად მიმართვის სუ-
ბიექტისა, იყო იგი დაზარალებული, ძალადობის მოწმე თუ
მისი ოჯახის წევრი, ან მსხვერპლის თანხმობით პირი, რომე-

ლიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ, ფსიქოლოგურ დახმარებას, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში - ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, გამოსცემს შემაკავებელ ორდერს, რომელიც ამოქმედდება გამოცემისთანავე. თუ შემაკავებელი ორდერის გამოცემისას სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, საქმეზე იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა.

შემაკავებელი ორდერი, რომელსაც ხელს აწერენ მისი გამოცემის უფლების მქონე პირი, პატრული და მსხვერპლი, შეიძლება ითვალისწინებდეს: 1) მოძალადის იმ სახლისაგან მოშორების საკითხს, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, იგი ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა; 2) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას; 3) მოძალადის ბავშვისაგან განცალკევების საკითხებს; 4) მოძალადის მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება, მიახლოების საკითხებს;

ოჯახში ძალადობის ფაქტზე უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე სასამართლოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გამოცემულ იქნეს დამცავი ორდერი. დამცავი ორდერი შეიძლება ითვალისწინებდეს: 1) მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან დაცვის ზომებს; 2) მსხვერპლის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მოთავსების საკითხებს; 3) მოძალადის ვალდებულებას - არ შეზღუდოს მსხვერპლი, ისარგებლოს პირადი ნივთებით, ავტომანქანით ან სხვა იმ ქონებით, რომელიც

**მარიამ გაბუნია –
ფემიციდი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა**

აუცილებელია პიროვნების ნორმალური არსებობისათვის; 4) მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვას; მიუხედავად იმისა, რომ დამცავი და შემაკავებელი ორდერების არსი და ბუნება სრულყოფილად არის მოწესრიგებული საკანონდმებლო სფეროში, გარკვეულ შემთხვევებში პრაქტიკაში იგი არ გვევლინება დაცვის ეფექტურ საშუალებად, რის შედეგადაც მსხვერპლს ან მისი ოჯახის წევრებს უჩინდებათ იმის უფლებამოსილება, რომ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება უშულოდ მოძალადისგან ან ფემიციდის დადგომის შემთხვევაში სახელმწიფოსგან. სასამართლოში მიმართვა ხორციელდება სარჩელის წარდგენის გზით. დაცვის სამართლებრივი საშუალებებიდან ჩვენთვის ზიანის ანაზღაურების კუთხით მნიშვნელოვანია სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი ანაზღაურების შესაძლო ვარიაციები, სწორედ მოპასუხის განსაზღვრა წარმოადგენს დავის სამართლებრივი ხასიათის რაობის დადგენას.

სამოქალაქო კანონდებლობის საფუძველზე, მატერიალური ზიანი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ჯანმრთელობის დაზიანების სამკურნალოდ, განადგურებული ნივთის საფასურის ასანაზღაურებლად. განსხვავებულია მორალური ზიანის ნაწილი, რის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ხშირად დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორი დიდიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, როგორც ზოგადი დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღა-

ურების მოთხოვნის საფუძველი. აგრეთვე, სსკს 408 მუხლი. დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, აგრეთვე მე-18 მუხლი. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის კომპენსაცია ხდება ფულადი სახით. საერთო პრაქტიკის გათვალისწინებით სასამართლო, პირველ რიგში, მხედველობაში ღებულობს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხს. ბრალი სამოქალაქო სამართალში არის პასუხისმგებლობის პირობა და არა ზომა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში დაშვებულია გამონაკლისი, ამიტომ, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ზიანის მიმყენებლის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი.

განსაკუთრებით საინტერესოა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ადმინისტრაციულ სამართლებრივი კანონდებლობის საფუძველზე. ადმინისტრაციული ურთიერთობის-თვის დამახასიათებელია ძალადობის ფაქტის შემდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ადმინისტრაციული ორგანოსგან, რაც დღესდღეობით საქართველოში პრაქტიკის სახით უკვე არსებობს. იმისთვის, რომ დავა ადმინისტრაციულსამართლებივად ჩაითვალოს და შესაბამისად, სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ განიხილოს, აუცილებელია მოპასუხე იყოს ადმინისტრაციული ორგანო. სახსენებელია ისიც, რომ მოძალადის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ავტომატურად არ ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ აღნიშნული უფლების არარსებობას. შესაძლოა პირს ჰქონდეს როგორც მოძალადის, ისე ადმინისტრაციული ორგანოსგან მოთხოვნის უფლება და როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე სოლიდარულად დაა-

**მარიამ გაბუნია –
ფემიციდი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა**

კისრებთ მხარეებს მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებას. თუ სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობისათვის შესაბამისი საფუძვლები, რაც შეიძლება იყოს თუნდაც ზემოთ განხილული დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოუცემლობა, ნარმოიშვება ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. განსაკუთრებით რთულია ის შემთხვევები, როდესაც ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტიდან გამომდინარე, ფატალური შედეგის დადგომისას, კონკრეტულად კი მსხვერპლის გარდაცვალებისას, მემკვიდრე პასუხისმგებლობას აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც შეიძლება იყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ან/და საქართველოს შსს სხვადასხვა პოლიციის დეპარტამენტები მისთვის კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. წინა განხილული შემთხვევისგან განსხვავებით, სახეზე გვაქვს შედეგი-მსხვერპლის გარდაცვალება, რის გამოც შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნარმოიშვება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით, რომლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია როგორც მატერიალური, ასევე, პროცესუალური ხასიათის კონსტიტუციური გარანტიები. ამ სახით ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ნორმა კანონმდებელს უტოვებს თავისუფალი მოქმედების ვიწრო არეალს, რაც, უპირატესად, კონსტიტუციური მოთხოვნების დაცვით პროცედურული საკითხების მოწესრიგებას მოიცავს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სახელმწიფო ორგანოსგან გარანტირებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით - „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“.

სასამართლოს მიერ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სახეზე იყოს

შემდეგი გათვალისწინებული წინაპირობები: 1) უნდა არსებობდეს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სახელით მოქმედი პირის ქმედებით პირისათვის ზარალის მიყენების ფაქტი; 2) ხსენებულ პირთა ქმედების უკანონო ხასიათი დადგენილი უნდა იყოს სათანადო წესით; 3) პირისათვის მიყენებული ზარალი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში მითითებული სუბიექტების უკანონო ქმედებით და უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი უკანონო ქმედებასა და დამდგარ ზარალს შორის;

2. საერთაშორისო კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციები და დამცავი ღონისძიებები

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელი და სავალდებულოა ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა და საერთაშორისო აქტებთან, რეგულაციებთან შესაბამისობა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში საქართველოს კანონმდებლობაში შეიმჩნევა ამ პრობლემის აღმოფხვრის გარკვეული პოზიტიური მცდელობები, თუმცა ეს ნორმები მიმართულია ამწუთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და არა აქვს სამომავლო ხასიათი. მაგალითად: სისხლის სამართლის კოდექსში ვხვდებით მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებებს, თავშესაფრებს და ა.შ. თუმცა მათი არსებობა არ მიგვიყვანს ძალადობის მოვლენების პრევენციამდე. აქედან გამომდინარე, საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა პრობლემის გადასაწყვეტად, განათლებული საზოგადოების არსებობა, არა მხოლოდ სახლენითო დონეზე, არამედ საერთაშორისო, სახელმწიფოთაშორის მასშტაბებში. მოცემულ ფაქტებზე ეფუქტიანი რეაგირების კუთხით მნიშვნელოვანია შემდეგი სტანდარტები: ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ორგანოების რეკომენდაციები და ანგა-

**მარიამ გაბუნია –
ფემიციდი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა**

როშები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW) და „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, რომელიც სტამბოლის კონვენციის სახელწოდებით არის ცნობილი.³ ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტები სახელმწიფოებს აკისრებენ პოზიტიურ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს ვალდებულებას, დაიცვას პირთა უფლებები და თავისუფლებები სხვა პირთა მხრიდან ჩარევისაგან და გაატაროს ღონისძიებები ამ თავისუფლებათა დაცულობის უზრუნველსაყოფად, უფლებების აღსადგენას და ზიანის ასანაზღაურებლად. პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს აიძულებს ჩაერიოს მოქალაქეთა პირად სფეროში, სადაც ისტორიულად იგი არ ერეოდა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს მოვალეობაა ერთი მხრივ მიიღოს ყველა სათანადო ზომა, ადამიანის უფლებათა დარღვევის, მათ შორის ფემიციდის აღსაკვეთად, მისცეს დამნაშავე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს დარღვეული უფლების აღდგენა, მორალური თუ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების გზით. საკმაოდ მნიშვნელოვანია მოცემული მექანიზმის სრულყოფა, რადგან სამართლიანი, კანონიერი კომპენსაციის მიღება ემსახურება როგორც ინდივიდის, მსხვეპლის, მისი ოჯახის წევრის, აგრეთვე საზოგადოების ინტერესებს, რადგან მისი მიზანის სამართლიანობის აღდგენა, რეტრიბუცია და დანაშაულის პრევენცია. სტამბოლის კონვენცია სწორედ ამ პროცესის „კატალიზატორად“ გვევლინება, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ევროპისა და მის ფარგლებს გარეთ მდებარე ქვეყნების უსაფრთხო ადგილად ქცევისათვის. კონვენცია ვრცელდება ქალთა მიმართ ძალადობის

³ <http://www.parliament.ge/uploads/other/75/75715.pdf>.

ყველა ფორმაზე, მათ შორის ოჯახურ ძალადობაზე. უფრო მეტიც, კონვენცია მიესალმება ხელმომწერი მხარეების მიერ სამოქმედო არეალის გაფართოებას და პოტენციური მსხვერპლების დაცვას, რომლებსაც შეადგენენ არა მხოლოდ ქალები, არამენ მამაკაცები, ბავშვები და ხანდაზმული ადამიანები.

2017 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოში ამოქმედდა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია. მისი ქვაკუთხედია საკითხები: ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მსხვერპლისთვის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება, რაც გათვალისწინებულია აღნიშნული კონვენციის 30-ე მუხლში. კონვენცია მოსთხოვს ქვეყანას შეიცვალოს წარმოდგენა, გენდერული როლები და სტრუქტიპები. მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც იმუშავებენ მსხვერპლთან, აამაღლებენ საზოგადოების ცნობიერებას ძალადობის ფორმებსა და სახეებთან დაკავშირებით, უზრუნველყოს მსხვეპლთა საჭიროებისა და უსაფრთხოების მხედველობაში სრულად მიღება კონვენციის გათვალისწინებული ყველა ღონისძიების გატარებისას, შეიტანონ სწავლება ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ სასწავლო პროგარამაში, განათლების ყველა დონეზე, უზრუნველყოს სხვა ეფექტური დაცვითი მექანიზმების არსებობა და ა.შ. ⁴ კონვენციაში გაცხადებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ზოგადად ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. ოჯახის შიგნით მომხდარ დანამაულს უფრო ძლიერი ტრავმის გამონვევა, ოჯახში არასრულწლოვნის არსებობის შემთხვევაში კი მის ფსიქიკაზე წარუშლელი კვალის დატოვება შეუძლია, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია მისი საჯაროდ გამოტანა. საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული რეგულაციე-

⁴ <https://rm.coe.int/1680464e72.>

**მარიამ გაბუნია –
ფერიცილი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა**

ბის შესრულება და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა
ეფექტურ შედეგამდე მიგვიყვანს.

3. სასამართლო პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა
დაცვის კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებულია ადამია-
ნის უფლება ისარგებლოს დაცვის ეფექტიანი საშუალებით.
კერძოდ, ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწი-
ნებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამარ-
თლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელი-
სუფლებისგან, რაც გამოიხატება დამნაშავის სისხლისამარ-
თლებრივ დევნაში, მორალური, მატერიალური ზიანის ანაზღა-
ურებაში. მოცემული მუხლის გამოძახილია ფერიცილის მორი-
გი მსხვერპლის მარიკა წივწივაძის საქმე. მარიამ წივწივაძე
არარეგისტრირებულ ქორნინებაში იმყოფებოდა მოქალაქე
ლაშა მაღრაძესთან. თანაცხოვრების პერიოდში მარიკა ხში-
რად გამხდარა მეუღლის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი.
სწორედ ამან მიაღებინა ცალკე ცხოვრების გადაწყვეტილება.
მიუხედავად ამ ნაბიჯისა ლაშა კვლავ განაგრძობდა ფსიქო-
ლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, მეტიც, ქალის მობილურზე
ხშირად მოდიოდა მუქარის შემცველი მესიჯები, კერძოდ ყო-
ფილი მეუღლე მას მკვლელობით ემუქრებოდა. პოლიციისადმი
ყოველი მიმართვა უშედეგო იყო, სამართალდამცველები აპე-
ლირებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ვინაიდან მოძალადე რუს-
თავში ცხოვრობდა მის მიმართ შემაკავებელი ორდენი სწორედ
რუსთავში უნდა გამოწერილიყო, ანდა ლაშა მაღრაძის დაკავე-
ბა მოხდებოდა მხოლოდ ფაქტზე წასწების შემთხვევაში. შე-
დეგმაც არ დააყოვნა 2014 წლის 17 ოქტომბერს მარიკა წივწი-
ვაძე ცეცხლსასროლი იარაღით ყოფილმა მეუღლემ მოკლა. მა-
რიკა წივწივაძის დედამ მოითხოვა მორალური და მატერიალუ-
რი ზიანის ანაზღაურება და სასამართლოში შეიტანა სარჩელი

შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. გადაწყვეტილების გამოტანისას პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელ-მძღვანელა: საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით, მე-15 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით, 413-ე მუხლით, მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით, რომლის თანახმად ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის XIV თავის დებულებებით, 207-ე, 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით, ამავე კანონის მე-16 მუხლით, რომელიც განსაზღვრავს პოლიციის უფლება-მოსილების ფარგლებს, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით, რომელიც განამტკიცებს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით, რომელშიც საუბარია ადამიანის სიცოცხლის უფლების კანონით დაცვაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მე-2 მუხლის პირველი წინადადება სახელმწიფოს აკისრებს განზრახი და უკანონო სიცოცხლის მოსპობისაგან არა მარტო თავის შეკავებისა, არამედ სათანადო ნაბიჯების გადადგმის ვალდებულებასაც, რათა უზრუნველყოს მის იურისდიქციაში მყოფ პირთა სიცოცხლის დაცვა⁵. შესაბამისად, მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ ვალდებულებას - არ ხელყოს ადამიანის სიცოცხლე, ასევე, პოზიტიურ ვალდებულებას - იზრუნოს სიცოცხლისათვის საფრთხის ასაცილებლად და დაიც-

⁵ <https://www.legal-tools.org/doc/8f2c19/pdf/> L.C.B. v. the United Kingdom.

**მარიამ გაბუნია –
ფერიციდი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა**

ვას იგი მესამე პირთა მიერ ხელყოფისაგან. საქმეში სასამართლომ იმსჯელა სახლმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლებზე და განმარტა, რომ მე-2 მუხლით სახელმწიფოს-თვის დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების დარღვევის შეფასებისას უნდა დაადგინეს, იყვნენ თუ არა ან უნდა ყოფილიყვნენ თუ არა ხელისუფლების ორგანოები ინფორმირებული სიცოცხლის ხელყოფის რეალური საფრთხის არსებობის შესახებ, რომელიც ემუქრებოდა კონკრეტულ პირს მესამე პირისგან და განახორციელეს თუ არა მათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ის ღონისძიებები, რომლებიც გონივრულად შესაძლოა მიჩნეულიყო ამ საფრთხის აღმოსაფხვრელად. ამავდროულად პოზიტიური ვალდებულების არსი არ უნდა იყოს განმარტებული იმგვარად, რომ სახელმწიფოს შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი დაეკისროს. ⁶ სიცოცხლისადმი გაცხადებული ყოველი სავარაუდო საფრთხე, შესაბამისად, ვერ დააკისრებს ხელისუფლებას კონვენციისეულ ვალდებულებას მიიღოს დაუყოვნებელი ზომები საფრთხის მატერიალიზაციისაგან დასაცავად. სასამართლომ განმარტა, როდესაც არსებობს პრეტენზია, რომ ხელისუფლებამ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება სასამართლო ვალდებულია განსაზღვროს იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა კონკრეტულ დროს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მესამე მხარის სისხლსამართლებრივი ქმედებებით შექმნილი რეალური და დაუყოვნებელი საფრთხლის არსებობა და თუ რამდენად არ გამოიყენა მისი უფლებამოსილების ფარგლებში არსებული ზომები, რომლიც გონივრულად განხილვისას, შესაძლებელია გამოყენებულ ყოფილობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.⁷ საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მარიკა წივნივაძემ მრავალჯერ მი-

⁶<http://www.equalrightstrust.org/ertdocumentbank/opuz%20v%20turkey%20case%20summary%20erl%20edit.pdf> Opuz v. Turkey.

⁷ <https://swarb.co.uk/osman-v-the-united-kingdom-echr-28-oct-1998/> Osman v. the United Kingdom.

მართა შესაბამის ორგანოებს, თუმცა მოპასუხეთა მხრიდან არ მომხდარა არსებული საფრთხის სათანადო შეფასება და კანონმდებლობით მათვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ადეკვატური რეაგირება. სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით და უმოქმედობით, მოსარჩელისთვის მიყენებულ იქნა მორალური ზიანი, რომელიც ექვემდებარება ანაზღაურებას. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც პირი განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით და მის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება ასეთი ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე, ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება, მისი ამ კუთხით შეფასება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მორალური ზიანის არსებობა და მისი გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების კრიტერიუმები. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მსჯელობის შედეგად დაადგინა, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა მორალური ზიანი 10 000 ლარის ოდენობით.

2014 წლის 25 ივნისს საქართველო ფემიციდის მორიგმა შემთხვევამ შეძრა. სერგი საცერაძემ საკუთარი მეუღლე საალომე ჯორბენაძე მოკლა. თანაცხოვრების დასაწყისიდან სერგი მუდმივად ძალადობდა ქალზე, რის გამოც სალომე იძულებული გახდა მშობლების სახლში დაბრუნებულიყო, თუმცა როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს მსგავსი ნაბიჯის გადადგმა, ერთი მხრივ დადებით შედეგს იწვევს, მეორე მხრივ, კი არსებულ მდგომარეობას რადიკალურად არ ცვლის. არც სალომეს შემ-

**მარიაშ გაბუნია –
ფემიციდი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა**

თხვევა ყოფილა გამონაკლისი. ერთ-ერთი ასეთი ფაქტის შემდეგ მსხვეპლი იძულებული გახდა გამოეძახა პოლიცია, თუმცა მათი მხრიდან არ მოხდა გულმოდგინედ გამოკვლევა გარემონებების, არ გამოწერეს შემაკავებელი ორდერი და სერგი საცერაძისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით არ გაატარეს მათ უფლებამოსილებას მიკუთვნებული ღონისძიებები. მოცემულმა გულგრილობამ ფატალურ შედეგამდე მიგვიყვანა. დავა მსხვერპლის დედამ დაინტერაციაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების სამართლებრივი შეფასებასთან და ზემოთ აღნიშნულ წომრატიულ აქტებთან ერთად აგრეთვე იხელ-მძღვანელა საქართველოს კანონით „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობა, რასის, კანის ფერის, ენის სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. მითითებული კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება მოახდინოს, რაც კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხე მხარის მიერ უგულებელყოფილი იქნა. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის,

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლით ცალსახად არის განსაზღვრული პოლიციის მოვალეობები, კერძოდ; პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. მოცემულ მუხლში არსებობს პოლიციელის უფლებათა და მოვალეობათა ჩამონათვალი, რომელიც მან უნდა გამოიყენოს ოჯახური ძალადობის დროს, კერძოდ: განცალკევებულად გამოკითხოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლი, მოწმე, მოძალადე, მათ შორის, არასრულწლოვანი, რაც წერილობით უნდა დაფიქსირდეს; ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, ამ კანონით დადგენილი წესითა და პირობებით გასცეს შემაკავებელი ორდერი... როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, მათ დაარღვიეს ჩამოთვლილი მოვალეობები. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია რომ სალომე ჯობენაძის დედის სარჩელი დასაბუთებული და სათუმავლიანია, შესაბამისად მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 20 000 ლარის გადახდა.

2014 წლის 6 მარტს, ყოფილმა მეუღლემ ბელა ძამისაშვილს მოკვლის მიზნით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა, ქალი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. განხილული შემთხვევების მსაგვასად, მეუღლე თანაცხოვრების პერიოდში ხშირად ახორციელებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ბელაზე. ამ ყველაფრის გამო მსხვერპლმა მიიღო ცალკე ცხოვრების გადაწყვეტილება, თუმცა მუქარა მეუღლის მხრიდან არ წყდებოდა ბელა იძულებული იყო არაერთხელ გამოეძახა საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს მოხდა ფაქტზე წასრება, თუმცა პოლიციის თა-

**მარიამ გაბუნია –
ფემიციდი – თანამედროვე სამყაროს გამოწვევა**

ნამშრომლებმა საფუძვლიანად არ შეისწავლეს საქმის გარემო-ებები და არ ჩათვალეს საჭიროდ შემეკავაბელი ორდერის გა-მოცემა ან სხვა დამცავი ღონისძიების განხორციელება. თუმ-ცა, დაიწყო საქმის „წინასაგამოძიებო განხილვა“, რომლის ფარგლებშიც მოხდა გასაუბრება ოლეგთან და ბელასთან. იქ-დან გამომდინარე, რომ ქალი შეშინებული იყო ყოფილი მეუღ-ლის მხრიდან მომდინარე მუქარისგან, მან სავარაუდოდ ბო-ლომდე არ გაამზილა დეტალები, თავის მხრივ კი სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენელმა პირებმა გამოძიება შეწ-ყვიტეს, ისინი არც თვითმხილველებს გასაუბრებიან და არც შემთხვევის ადგილი დაუთვალიერებიათ. აქედან გამომდინა-რე, ნათლად ჩანს, რომ სამართალდამცავების მხრიდან მოხდა კანონმდებლობით მათვის მინიჭებული ვალდებულების დარ-ლვევა, რამაც ფემიციდის კიდევ ერთ შემთხვევამდე მიგვიყვა-ნა. ალსანიშნავია, რომ ბელა ძამსაშვილის დედის მიერ შეტა-ნილ სარჩელზე დღემდე მიმდინარეობს სასამართლო განხილ-ვა პირველი ინტანციის სასამართლოში. თუ გადავხედავთ აქამდე არსებულ პრაქტიკასა და იმ ნორმატიულ აქტებს, რომ-ლებიც განამტკიცებენ ეფექტუარი დაცვის უფლებას, შეგვიძ-ლია ვივარაუდოთ, რომ მოპასუხეს დაეკისრება მოთხოვნილი მორალური ზიანის-20 000 ლარის ანაზღაურების ვალდებულე-ბა მოსარჩელესთვის.

საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაშიც ხშირად შევ-ხვდებით მსგავსი ხასიათის საქმეებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kontrova v. Slovakia დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაი-დან სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სათანადო ზომების მი-ლება აპლიკანტის შვილების სიცოცხლის დასაცავად.⁸ კონვენ-ციის მე-2 მუხლის დარღვევა დადგინა საქმეში Civek v. Turkey,

⁸ https://www.coe.int/t/dg2/equality/domesticviolencecampaign/resources/Kontrova%20v.%20Slovakia_en.asp.

ვინაიდან თურქეთის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მის ხელთ არსებული გონივრული ზომების მიღება და განხორციელება, რათა თავიდან აერიდებინა ქმრის მიერ აპლიკანტების დედის მკვლელობა, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების-თვის ცნობილი იყო მომჩივანთა დედის სიცოცხლის მიმართ განხორციელებული აშკარა და სერიოზული მუქარის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე წარდგენილი იყო არაერთი საჩივარი.⁹ საქმეში Halime Kilik v. Turkey სასამართლომ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ სათანადოდ ვერ დაიცვა მომჩივანის ქალიშვილი მეუღლის მხრიდან განხორციელებული ძალადობისგან. ამავე საქმეში სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია ის გარემოება, რომ მომჩივანის ქალიშვილი ქმრის ძალადობრივი ქცევის პირისპირ დაცვის გარეშე დარჩა. სასამართლომ განმარტა, რომ განმეორებით ძალადობრივ ქმედებებსა და მსხვერპლის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზე თვალის დახუჭვით, ეროვნულმა ხელისუფლებამ შექმნა გარემო, რომელიც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობას.¹⁰ ზემოთ აღნიშნულ საქმეებში, სახელმწიფომ ვერ შეძლო სათანადო ზომების გამოყენება, აქედან გამომდინარე მოსარჩელე მხარისთვის დადგინდა მორალური ზიანისთვის კომპენსაცია.

⁹ <https://www.legal-tools.org/doc/ef9472/pdf/>.

¹⁰ http://www.errc.org/uploads/upload_en/file/third-party-intervention-pastrama-v-ukraine-18-november-2016.pdf.

დასკვნა

ფემიციდი-ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე საშიში ფორმაა, რომელსაც ევროპაში ყოველწლიურად 3500 ადამიანის სიკვდილს უკავშირდება. მოცემული სტატისტიკა არ იძლევა დამამდებელ პროგნოზებს, ნათლად ჩანს, რომ საჭიროა ზემოთ აღნიშნული აქტების სრულყოფა და რეალობაზე მორგება, ინფორმაციული ვაკუუმიდან თავის დაღწევა და კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რათა სიკვიდილიანობის მაჩვენებელმა იკლოს. ნათელია, რომ სწორედ მოქალაქეთა ძალადობისგან დამცავი მექანიზმები საჭიროებენ სრულყოფას და რეფორმირებას, რადგან შემდგომში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება და მისი რეალიზაცია კანონმდებლობასა და პრაქტიკაში უპრობლემოა. უნდა გაიზარდოს სამართალდამცავის უფლებამოსილება, აგრეთვე გამკაცრდეს ვალდებულებები, უნდა გადაიხედოს დამცავი და შემაკავაბელი ორდერების პრაქტიკაში ეფექტურობის საკითხი, რადგან ხშირ შემთხვევაში მათი გამოწერაც კი არ იწვევს დამნაშავის შეყოვნებას, ქმედებათა სიხშირემ მიგვიყვანა იმ გარემოებამდე, რომ როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო ნორმატიულ აქტებში განსაზღვრულია მსხვერპლისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს მდგომარეობა მოსახლეობის დაცვის კუთხით საჭიროებს სრულყოფას, რაც უნდა იქნას მიღწეული, საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობის, მათი შეცდომების შესწავლისა და გამოსწორების, ვალდებულებების შესრულებისა და კონვენციის მოთხოვნების გათვალისწინების გზით.

ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი მოხარული იქნება და მიესალმება პუბლიკაციაში გამოქვეყნებულ სტატიებზე მიღებულ ნებისმიერ შენიშვნას, რჩევას, რეკომენდაციასა და ჯანსაღ კრიტიკას. საჭიროების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ, ინსტიტუტის ელექტრონულ ფოსტაზე: lawinstitute@yahoo.com

სტატიაში გამოხატული აზრები და შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ სტატიის ავტორს. ქართული და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი არ არის პასუხისმგებელი სტატიის შინაარსზე.

The views and ideas expressed in these articles are owned only by the authors. Institute of Georgian and International Law is not therefore liable for the content, views and the expressions contained in the articles.



გამომცემლობა „ერებულსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com